გელა ღვინეფაძე

Ἐν ἀρχῇ ἦν…

–

დასაბამიდან იყო …

წ ა ბ

Ἐν ἀρχῇ ἦν…

ნაშრომში განიხილება ენის (ენების) წარმოშობის შესახებ ახალი შეხედულება, წარმოდგენილი სამსაფეხურიანი სქემის სახით, რომელშიც წამყვანი როლი დაკისრებული აქვს *წყლის თეორიას.*

აღნიშნული თეორიის არსი შემდეგ მტკიცებაშია - ადამიანის მეტყველების სათავე არის წ ყ ა ლ ი, ოღონდ, არა როგორც ამა თუ იმ ენაში არსებული კონკრეტული ტერმინის, არამედ - ც ნ ე ბ ი ს სახით.

P.S. სვოდეშის სიაში წყალი 150-ე პოზიციას იკავებს.

ISBN 978-9941-8-8030-8

I ნაწილი

შესავალი

ლინგვისტიკა იმ მცირერიცხოვანი სამეცნიერო დარგების არეალში მოიაზრება, რომელთა მიმართ ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა მიმართულება იჩენს პირდაპირ ან ირიბ ინტერესს, მაგალითად, საკუთარ სფეროში ტერმინოლოგიის შემუშავების საკითხების გადასაჭრელად, ტექნოლოგიების წარმოშობა-განვითარების გზების დასადგენად და სხვ.

ხდება პირიქითაც:

1. პრაქტიკა აჩვენებს, რომ თვით წმინდა ლინგვისტიკური პრობლემების გადაჭრის მცდელობისას ამ პროცესის წარმატებულობას ხშირად მნიშვნელოვნად განაპირობებს ენათმეცნიერთა და სხვა სამეცნიერო დარგების სპეციალისტების ურთიერთთანამშრომლობა.
2. გარდა ამისა, მეტად საინტერესო, თვისებრივად ახალი შედეგები მიიღება არა მხოლოდ ასეთი სახის კომუნიკაციების წყალობით.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცდებით, ვაჩვენოთ, რომ ენათმეცნიერების დარგის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია:

- ფუნდამენტურ რელიგიურ სწავლებებს, პირველ რიგში, ბიბლიას;
- დედამიწის მასშტაბით ტერიტორიულად და დროში „მიმოფანტულ“ უძველეს ხალხთა მითოლოგიებს;
- ასევე, არასპეციალისტი, ჩვეულებრივი ადამიანების კოლექტიური არაცნობიერის შესაძლებლობებზე დაყრდნობით მიღებულ ინფორმაციას!

მკითხველთა სამსჯავროზე წარმოდგენილი ნაშრომის მთავარი მიზანია, გავაცნოთ მათ ენის წარმოშობის საკითხზე ახალი ხედვა.

სიახლე სიახლედ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაშიც იმუშავა ცნობილმა გამონათქვამმა:

„ახალი არის კარგად დავიწყებული ძველი!“

თუმცა, განსახილველი თემისათვის მიგვაჩნია, რომ ეს სენტენცია ამგვარად უნდა დაზუსტდეს:

ახალი არის თითქმის კარგად დავიწყებული ძველი.

ენის წარმოშობის საკითხზე მუშაობამ სწორედ ამ დასკვნამდე მიგვიყვანა როგორც ზემოთ აღნიშნული წყაროების, ასევე, ქართველი ენათმეცნიერის ნიკო მარის შრომებში მოძიებული მასალების ჩვენს მოსაზრებებთან შეჯერების შედეგად.

ველოდებით შეკითხვას, რომელიც ჩვენთვის დაუსვამს აპრიორი მიუკერძოებელ მსმენელსა თუ მკითხველს:

„რატომ გადავწყვიტეთ, რომ არასპეციალისტს (ამ შემთხვევაში არალინგვისტს) შეეძლო ენის წარმოშობის თაობაზე ახალი თეორიის წამოყენება? “

პასუხი (პასუხები) გახლავთ:

1. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ ლინგვისტიკის სფეროში ჯერ კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა.

   მოგვყავს ციტატა წყაროდან [1]:

   „... ყველაზე რთული კითხვები ხშირად ყველაზე გულუბრყვილო, 'ბავშვური' კითხვებია:

   - *რამდენი ენა არსებობს მსოფლიოში?*
   - *როგორ უნდა დავეუფლოთ მშობლიურ ენას?*
   - ***რა გზებით წარმოიშვა თავდაპირველი ენა?*** *(ხაზგასმა ჩვენია).*

   უცნაურია, რომ მეცნიერებს არ აქვთ გაცემული ამ კითხვებზე მკაფიო პასუხი, მაგრამ მათი დასმა მაინც საჭიროა, რადგან კარგი შეკითხვა ზოგჯერ უფრო ფასეულია, ვიდრე მასზე გაცემული პასუხი“.

2. საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როდესაც მეცნიერების სხვადასხვა სფეროში გარღვევას სწორედ მოყვარულები ახდენდნენ.

   პარადოქსულად გამოიყურება, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ სწორედ მოცემულ სფეროში ფართო ცოდნა *(და, ერთი შეხედვით, სავსებით მართებული მოსაზრება - რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს ცოდნა და დავიწყოთ ძიება სწორედ ამ პოზიციებიდან!), ასევე, მოცემულ* დარგში აღიარებული სპეციალისტების *(აქ ენათმეცნიერთა)* ავტორიტეტის ზემოქმედება *(მას ზეწოლაც შეიძლება ვუწოდოთ)* ხელს უშლის ახლად გამოჩეკილ სპეციალისტს, განსხვავებული გზები მოიძიოს ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად!

არსებობს შესანიშნავი ნაშრომები, რომლებშიც საფუძვლიანად განიხილება ეს თემა [2-3].

3. შემდეგ, სიტყვა „მოყვარული“ ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ყოველი ასეთი ადამიანისათვის სრულიად უცხო გახლავთ მისთვის საინტერესო მეცნიერების სფერო.

   რაც მთავარია, ამა თუ იმ კონკრეტული დარგის სპეციალისტი ხშირად ცდილობს, ახალ სფეროშიც გამოიყენოს სწორედ ის მეთოდები და მიდგომები, რომლებმაც კარგად წარმოაჩინეს თავი მისთვის ნაცნობ დარგში, ანუ წამოჭრილი საკითხის გადასაწყვეტად ის მიმართავს **ინტერდისციპლინურ** მიდგომას *(თუმცა, აქედან რა გამოვა, ეს სხვა საკითხია).*

   ლინგვისტიკის ლაბირინთებში მოხვედრილი, რაღაც ჯადოსნური გზებით იქიდან გამოსვლის მცდელობისას, ჩვენ ვცდილობდით, თავი გაგვემხნევებინა ჰელვეციუსის სიტყვებით:

   „ზოგიერთი პრინციპის ცოდნა ადვილად ანაზღაურებს ზოგიერთი ფაქტის უცოდინრობას“.

   (და რჩებოდა „მცირედი რამ“ - ამ პრინციპების ჩამოყალიბება).

4. უკვე აღინიშნა, რომ მეცნიერებს თავიანთ კვლევებში დიდად ეხმარება მონათესავე *(და არა მარტო მონათესავე!)* დარგების მიღწევებით (მეთოდებითა და რეკომენდაციებით) ანუ **ინტერდისციპლინურობის** მიდგომით სარგებლობა.

   ქვემოთ განიხილება დასმული პრობლემის გადასაწყვეტად ჩვენ მიერ ამ მიდგომაზე დაყრდნობით მიღებული შედეგები.

   მაგრამ, ბოლო ხანებში განსაკუთრებით რთული ამოცანების გადასაჭრელად უპირატესობა ეძლევა **ტრანსდისციპლინურ მიდგომას**.

   ტრანსდისციპლინურობა გულისხმობს ცალკეული სამეცნიერო სფეროების არა მხოლოდ დაახლოებას, არამედ - **ორი და/ან მეტი დისციპლინის ერთ ორგანიზმად მოაზრებას.**

   აღნიშნული მიდგომის არსზე კარგად მეტყველებს ამ სახის დისციპლინების მხოლოდ დასახელებებიც:

ფიზიკური ქიმია, ქიმიური ფიზიკა, მოლეკულური ბიოლოგია, კვანტური კომპიუტერი, კვანტური ქიმია, კომპიუტერული ლინგვისტიკა, ...

განსახილველი თემისათვის განსაკუთრებით საინტერესო არის ბოლო დარგი და ნაშრომში ამ მიმართულებით ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებებსაც აღვწერთ.

5. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენის წარმოშობის თაობაზე მარტო სამეცნიერო სახის ათამდე თეორია არსებობს.

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ენის (ენათა) წარმოშობა-განვითარების საკითხისათვის ჩვენ მიერ შემუშავებული სამეტაპოვანი სქემა, რომელშიც წამყვანი როლი *წყლის თეორიას* აქვს დაკისრებული.

აღსანიშნავია, რომ ეს სქემა არც ერთ მეცნიერულ თეორიასთან არ შედის კონფლიქტში - ვთვლით, რომ ყოველი მათგანი სწორია, მაგრამ თითოეულმა მხოლოდ გარკვეული წვლილი შეიტანა სხვადასხვა ხალხის ენის ლექსიკაში და, შესაბამისად, ვერც ერთი მათგანი გამოდგება, ყოვლისმომცველი, საბოლოო სიტყვის როლი შეასრულოს ენის წარმოშობის პრობლემის გადაჭრაში.

მეტიც, ვთვლით, რომ:

ენის (ენების) წარმოშობის ჩვენეული ხედვა არათუ ეწინააღმდეგება ზემოთ ჩამოთვლილ ბიბლიურ, მითოლოგიურ თუ სამეცნიერო შეხედულებებს, პირიქით - ის მათ აერთიანებს.

. . .

რთული პრობლემების გადასაჭრელად ახალი გზების ძიებისას (ყოველ შემთხვევაში ამის მცდელობისას) მოყვარულის როლთან მიმართებით ერთ საინტერესო მაგალითს მოვიყვანთ ქართული რეალობიდან:

საქართველოში კარგად ცნობილმა (მაგრამ ცნობილმა, როგორც მსახიობმა) პიროვნებამ, აწ გარდაცვლილმა ზურაბ ქაფიანიძემ უძველესი (შესაბამისად, არქაული!) საბავშვო თამაშისთვის განკუთვნილ „ბიქილად“ სახელდებულ ნახაზში **ასომთავრულის,** უძველესი ქართული დამწერლობის ასოების ჩასაწერად გამიზნული ბადე ამოიცნო!



სურ. 1. ბიქილა

ზ. ქაფიანიძის ამ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, შესაძლებლად მივიჩნიეთ, გამოგვეთქვა შემდეგი ვარაუდები:

- **ბიქილა** არის სიტყვა, რომელიც მომდინარეობს **წიფლის** ხის სახელ-წოდებისგან როგორც ქართულ *(ბოკვი, წიფელი, სვან. **წიფრა**),* ასევე, - სხვა ენებში.
- ამასთან, აშკარად შეიმჩნევა აღნიშნული და ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინების კავშირი როგორც **დამწერლობასთან** დაკავშირებულ, ასევე, - **ციფრების** აღმნიშვნელ ტერმინებთან.

მოგვყავს ციტატა ვიკიპედიიდან:

„ზოგიერთ გერმანიკულ ენაში წიფლის სახელწოდება ემთხვევა სიტყვას „წიგნი“. ესენია:

გერმ. Buche - „წიფელი“, გერმ. Buch - „წიგნი“, შვედური bok, ნორვეგიული bok, დანიური bog - „წიფელი“ და „წიგნი“. ყოველივე ეს განპირობებულია იმით, რომ პირველი რუნები იწერებოდა წიფლის ან წიფლის ქერქისგან გამოკვეთილ ხის ჩხირებზე“.

ვთვლით, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეტად საინტერესო ქართულ სიტყვა **ციბრუტს**.

ციბრუტი გახლავთ ნახვრეტებისა და წრეების ამომჭრელი ბურღი. ეს ელემენტები კი აგრე რიგად ორგანულია ასომთავრული დამწერლობისა და ქართული ორნამენტებისათვის.

ამასთან, ზ. ქაფიანიძის დაკვირვებით, ჩვენს ორნამენტებს მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია არ აქვთ, ისინი იდეალურად თავსდებიან ბიქილაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ სვანური სიტყვა *სიფრითუ* სწორედ ბურღს აღნიშნავს.

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნათესაური კავშირი შეიმჩნევა სიტყვებს *ჩიკორს, ჩუქურთმას (ჩუქურ-თმა)* და *ჩიქორთულს* შორის.

მოყვანილ სიაში ბოლო სიტყვა, სავარაუდოდ, ადრე აღნიშნავდა საიდუმლო წერილობას (კრიპტოგრაფიას?), შემდგომ ხანებში კი, ე. წ. გადააზრების მოვლენის წყალობით, - დამახინჯებულ საუბარს.

გარდა ამისა, არ გამოვრიცხავთ, რომ ქართული სიტყვა **ჩიკორი** და საყოველთაოდ ცნობილი ტერმინი **ჩაკრა** ერთი ფუძიდან იღებდნენ სათავეს.

შევნიშნავთ, რომ სანსკრიტული चक्र (**cakrá**) ტერმინისათვის, რომელიც *წრის, რგოლის, დისკოს* აღმნიშვნელია, წინაპარი, ეტიმონი სიტყვა ლინგვისტებისათვის უცნობია!

ასე რომ, ღირს ზემოთ ჩამოთვლილ ვარაუდებზე დაფიქრება!

და ზოგი რამ ძიების პროცესის საკრალურ მდგენელზეც:

საუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ანთოლოგიას, რომლის გამოცემაც გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, ქრონოლოგიის აშკარად დარღვევით, ხსნის ბერ იოანე-ზოსიმეს მცირე ფორმატის, *მისტიკური სულით გაჯერებული* თხზულება

„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

და აქ გასაკვირი ისაა, რომ ეს ხდება საბჭოთა პერიოდში!

ბევრი მკვლევარია დარწმუნებული, რომ ჩვენი შორეული წინაპრის გზავნილი გამოირჩევა ალუზიური სიმბოლიკით, კერძოდ, ბიბლიურ ციტატებზე მინიშნებებით.

ბერის მიერ ჩვენი ენისადმი მიძღვნილი ჰიმნის არსი ასეთი გახლავთ:

ქართული ენა, დღეს დამცრობილი, ბიბლიური ლაზარეს მსგავსად „ოთხისა დღისა მკუდარი“ და დროებით დამარხული *(თხზულებაში ეს პერიოდი 4 ათას წელთანაა გაიგივებული),* ერთ დღეს *(მინიშნებაა 94 წელზე)* აღდგება და „ყოველსა ენასა“ *(ზვიად გამსახურდიას მტკიცებით, აქ ერი იგულისხმება)* მეტად მნიშვნელოვან გზავნილს გადასცემს!

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის თაობაზე?

ვიმსჯელოთ!...

მანამდე კი, ბერის მხარდასაჭერად ვიტყვით:

- პირველ რიგში, აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის წინაპარი არანაკლებ მილიონ 800 ათასი წლის წინ დასახლდა და ლოგიკურია, სულ ცოტა, ამ პრიმიტიული არსებების მიერ იმავე პერიოდში ჩაყროდა საფუძველი ენის შექმნის პროცესს, ამასთან, - იგი წარმართულიყო არსებულ გარემო-პირობებთან მისადაგებით.
- ცნობილია, რომ კავკასიის რეგიონი ენების მთელი სამყაროა.
- უმდიდრესი ქართული ენა და მისი მეგრულ-ლაზური, სვანური განშტოებები რამდენიმე ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა.

  დღევანდელ ქართველს, რომლის ენასაც 3 სახის დამწერლობა გააჩნია, შეუძლია თითქმის დაუბრკოლებლად გაიგოს თვით 1500 წლის წინ დაწერილი ნაწარმოების შინაარსიც კი.
- ამრიგად, რელიქტურობიდან გამომდინარე, ენების წარმოშობის საკითხში გარკვევის კუთხით, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია როგორც საკუთრივ ქართულ ენას, ასევე მის განშტოებებს, განსაკუთრებით სვანურ ენას *(რის დამადასტურებელ მასალებსაც ამ ნაშრომში ვიხილავთ).*
- ქართველები დღემდე შემორჩენილებიდან ის ხალხია, რომლებმაც თუ ყველაზე ადრე არა, ერთ-ერთმა პირველებმა მოკიდეს ხელი მიწათმოქმედებას.

  ცხოვრების ასეთი წესი კი, ბუნებრივია, განაპირობებდა ციურ სხეულებზე დაკვირვებისა და ამ პროცესში მიღებული მონაცემების დამუშავება-ფიქსირების საჭიროებას, ანუ **თვლის, გათვლების, ანგარიშის** (შდრ. ანგარება) წესების შემუშავებას და მიღებული მონაცემების, მაგალითად, ზემოთ აღწერილი პრიმიტიული ხერხებით წიფლის ხის ქერქზე დატანას.
- დაბოლოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსთველმა იცოდა, რომ დედამიწა მრგვალია, ის თავისი ღერძისა და მზის გარშემო ბრუნავს, ისიც, თუ რა თანმიმდევრობით იყო დაცილებული მზიდან იმ დროს ცნობილი პლანეტები და ეს ცოდნა შენიღბული სახით წარმოადგინა ამ

მხრივაც გენიალურ პოემაში *(იხ. ასტრონომ გიორგი თევზაძის მონოგრაფია „რუსთაველის კოსმოლოგია), ასევე,* -სულხან-საბას მიერ თავის ლექსიკონში უზარმაზარი მანძილების აღმნიშვნელი ტერმინების არსის განმარტების ფაქტს, როგორც ჩანს, ქართულ ენას, მართლაც, უნდა ჰქონდეს „რაღაც“ სათქმელი ყოველი ენისათვის.

ასე რომ, ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ნუ ვიჩქარებთ (პესიმისტური) დასკვნების გამოტანას!

შემდეგ, რადგანაც „ხე ნაყოფით იცნობა“, ბევრმა მეცნიერმა (და არამეცნიერმაც) ხელი მიჰყო ამ ხის გამოზრდას, რათა გაეშიფრა შთამომავლობისთვის ბერის გზავნილი.

ჩვენც, ქართული ენის სიღრმეების შეცნობის მოყვარული არასპეციალისტი, მოულოდნელად ამ მაძიებელთა რიგებში აღმოვჩნდით და მოგვიწია დაფიქრება, თუ რით განსხვავდებოდა ჩვენი მცდელობანი სხვა მკვლევართა მიდგომებისგან.

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ყოველი მათგანის ღვაწლს დიდად ვაფასებთ, მით უფრო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სპეციალისტების მიერ მიღებული შედეგები და ზოგიერთ შემთხვევაში მათ შორის დავებიც კი ნამდვილად დაგვხმარებია ჩვენს ძიებებში.

და მივედით ასეთ აზრამდე:

წინამორბედებისაგან განსხვავებით, ჩვენ არ ვეძებდით ქართული ენის სიღრმეებში ისეთ ინფორმაციას, რომელიც ჩვენს ქვეყანას და მშობლიურ ენას მსოფლიოს წინაშე რაიმე განსაკუთრებული ბრწყინვალებით, შარავანდმოსილი სახით (თუ თავით) წარადგენდა...

ძიებანი გაგრძელდა და 1994 წლის გაზაფხულზე, მართლმადიდებლურ აღდგომამდე ორი დღით ადრე *(29.4 რიცხვი გახლდათ)* ინტერნეტში ლინგვისტებისათვის განკუთვნილ საინფორმაციო დაფაზე გაიგზავნა ეს შეტყობინება:

“Sciences and “Praise and Glory of Georgian Language” of Ioanne-Zosime “Praise and Glory of Georgian Language” – the compact work of monk Ioanne-Zosime, writer of the X century, explains the anthology of centuries-old Georgian literature.

This singular merit is implied by interest caused by monk's assertion – in Georgian language is put a key of many mysteries wich will appear to "all languages" in proper time.

The author, having compared the auguries of "Praise" with those of Bible and taken into account the facts from mythology of different peoples and particular branches of science, has come to conclusion that the main clue put in aforementioned work is gentle hinting at WATER – basic notion. Namely this notion is a primary point for etymology of many words.

We shall make only one among many quotations from the Bible, proving the same:

But they deliberately forget that long ago by God's word the heavens existed and the earth was formed out of water and by water..."

2 Peter 3:5

Gela Gvinepadze

. . .

ბერის მისტიკური ხასიათის თხზულებაში მისი არსის აღსაქმელად ხაზი აქვს გასმული რიცხვ 94-ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

თემასთან მიმართებით ამ რიცხვის დანიშნულება მკვლევრებისათვის იმდენად აუხსნელი აღმოჩნდა, რომ მათგან ნაწილმა დაიწყო მტკიცება, რომ ბერი ცდებოდა - თავის ყოველ გზავნილში *(ანუ სხვადასხვა წელს დაწერილ სამივე ეგზემპლარში!)* ის მექანიკურ შეცდომას უშვებდა და შექმნილი სიტუაციის გამოსასწორებლად საჭირო გახლდათ ამ გზავნილებში ერთი ასოს ოდნავ შესწორება *(იმ დროს ქართველები რიცხვების აღმნიშვნელად საკუთარ ანბანს იყენებდნენ)*, კერძოდ, რიცხვ 94-ის ჩანაცვლება 104-ით, რომელიც რატომღაც ნაკლებ აბსურდულად მიიჩნეოდა.

1994 წლის დასაწყისისთვის ჩავთვალეთ, რომ უკვე შესაძლებელი იყო, ენის (ენების) წარმოშობა-განვითარების თაობაზე მოძიებული მასალების ანალიზის საფუძველზე ჩვენ მიერ შემუშავებული მოსაზრებები მკითხველისათვის წარგვედგინა განსასჯელად, მაგრამ, იმ პრობლემურ დროს, ასე ვიტყოდით, „ყველაფრის დამბეჭდავმა" გამომცემლობებმა თხოვნაზე უარი განგვიცხადეს.

მხოლოდ 1994 წლის შემოდგომისთვის, მეტად საინტერესო, „ტყუილ-მართალი“ სახელწოდების მქონე გაზეთის რედაქტორი ვაჟა ჩორდელი დათანხმდა ნაშრომის პირველი ნაწილის დაბეჭდვას (დიდი მადლობა მას!) შედარებით მოკლე სტატიის ფორმატში, რომელიც გამოქვეყნდა მომდევნო წლის დასაწყისში, გაგრძელებანი კი იწერებოდა და ქვეყნდებოდა 25 წლის განმავლობაში [4].

ძირითადი სტატია შედგებოდა 3 ნაწილისგან, სათაურებით:

1. „დასაბამიდან იყო...“

2. „ლაზარე, გამოვედ გარეთ!“

3. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!”

შემდეგ წლებში არა ერთი მოხსენება იქნა გაკეთებული კონფერენციებზე და გამოქვეყნდა სტატიები, რომლებიც თემატიკურად პირველს ემთხვეოდა ან მისგან გამომდინარეობდა.

მოგვყავს ამონარიდი იუნესკოს ეგიდით გამართულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებიდან, რომელიც შემდგომ მისმა ორგანიზატორებმა კრებულში გამოაქვეყნეს [5]:

„ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობს კაცობრიობის წინაშე არსებული გლობალური პრობლემების გადაჭრას, ხალხებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას და მათ დაახლოებას, დედამიწაზე ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება-განვითარებისკენ მიმართული სამუშაოების განხორციელებაა.

ასეთი პრობლემების დასმა-გადაჭრისას ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია ისეთ ინსტრუმენტს, როგორიცაა კომპიუტერი და ამ საქმიანობისათვის ზედგამოჭრილ სფეროს - ინტერნეტს, რომლის მეშვეობითაც ჩვენს დროში სამყარო დაპატარავდა, მოცემულ შემთხვევაში, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

მართლაც, დღეს სხვადასხვა დარგის მკვლევართა (მათ შორის „პერიფერიაზე“ მყოფების) მიღწევები შეიძლება მყისიერად გახდეს ხელმისაწვდომი მსოფლიო აუდიტორიისთვის. ყველაზე მცირერიცხოვან ერებსაც კი შეუძლიათ ისარგებლონ არსებული კიბერსივრცის შესაძლებ-ლობებით, ამასთან, ისინი არა მხოლოდ ინფორმაციას იღებენ მისგან, არამედ ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა, მაგალითად, ვიკიპედია, ვიქსიკონი და ა.შ., შეუძლიათ თვითონაც შეცვალონ ასეთი

საიტების სტრუქტურა და შინაარსი ამ საიტების მიერვე მოწოდებული ინსტრუმენტების დახმარებით“.

ლინგვისტიკის სფეროში ძიებათა დაწყებისას ჩვენ არ გვქონია მკაცრად დასახული და მით უმეტეს, სტრუქტურიზებული მიზანი - რა ხერხებით და რომელი მხრიდან „გვეღრღნა“ ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი „მეცნიერების გრანიტი“; გვქონდა მხოლოდ ინტერესი და სიყვარულის გრძნობა მშობლიური ენისადმი და... თანდაყოლილი თავდაჯერებულობა, ასე დამახასიათებელი სისტემატექნიკოსებისათვის: ამ დარგის სპეციალისტი სანამ ამა თუ იმ კომპიუტერული სისტემის დაპროექტებას შეუდგება, დამკვეთებს, ფაქტობრივად, ნებისმიერი ორგანიზაციიდან, უცხადებს, რომ ჯერ ბოლომდე კარგად არ ესმის, თუ რა საქმიანობით არიან აქ თანამშრომლები დაკავებულნი, მაგრამ იღებს ვალდებულებას, რომ გარკვეულ, ჩვეულებრივ, მოკლე ვადაში მათ ისეთ *ადამიანი-მანქანა* სისტემას ჩააბარებს, რომელიც გაცილებით უკეთ გაუმკლავდება იმ სამუშაოებს, რომლებსაც ისინი აქამდე ხელით ასრულებდნენ.

შესავლის დასასრული

. . .

ამ ნაკვეთში მკითხველს ვთავაზობთ მოკლე ისტორიულ ექსკურსს, თუ საიდან და როგორ დაიწყო ჩვენი ძიებანი:

შორეულ სტუდენტურ წლებში, დაახლოებით 55 წლის წინ, ყურადღება მივაქციეთ იმ საინტერესო ფაქტს, რომ ქართულ ენაში ბევრი სიტყვა გვხვდება გაორმაგებული ფუძით.

ტერმინთა ფორმირების ამ მარტივმა წესმა მიგვიყვანა მოსაზრებამდე:

ეს სიტყვები ძალიან დიდი ხნის წინ შეიქმნა და, ენის წარმოშობის ერთ-ერთი თეორიის თანახმად, ისინი, ძირითადად, ადამიანის მიერ ბუნებაში არსებული ხმიანობისადმი მიბაძვის, ე. წ. ონომატეპეური უნარის გამოვლენის პროდუქტია, უმეტესწილად, მაგრამ არა ყოველთვის. ამასთან, ხშირად ასეთი ფენის ტერმინების ფუძეთა მნიშვნელობები უცნობი იყო.

ჩატარებული კვლევების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ იმავე ფუძეთა ბაზაზე შექმნილი სხვა ტერმინების არსის გაანალიზებით ზოგჯერ მაინც საკმაოდ ადვილად შეიძლებოდა ამ სახის ტერმინთა ფუძეებისთვის ეტიმონთა მოძიება და მათი არსის ამოცნობა.

მოვიყვანოთ მაგალითი:

ვიცით, თუ რას აღნიშნავს სიტყვა **ლაპლაპი.** მისთვის ეტიმონის ძიების პროცესში გავარკვიეთ, რომ ქართლურ დიალექტში ამ ტერმინის **ლაპ** ძირი (ის ლიტერატურულ ქართულში უკვე დაკარგულია) აღნიშნავს **ცეცხლს,** უფრო ზუსტად - **დიდ ცეცხლს** *(თუმცა, აღნიშნული მცირე სხვაობა ამ შემთხვევაში არც ისე მნიშვნელოვანია).*

შესაბამისად, ლოგიკურად მივიჩნიეთ, წამოგვეყენებინა ჰიპოთეზა, რომ ეს **ლაპ** სიტყვა ძალიან შორეულ წარსულში დაიბადა, ამასთან, სავარაუდოდ, იმ ეპოქაში, როდესაც ენები არცთუ დიდად იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებულნი.

ამრიგად, აზრი ჰქონდა **ლაპ** ძირთან ამა თუ იმ ასოციაციური კავშირის მქონე სხვა ტერმინების მოძიებას, ამასთან, - არა მხოლოდ ქართველური ენების არეალში *(ჩვენ, უბრალოდ, აქედან დავიწყეთ).*

შესაბამისად, ამ მიმართულებით სვლისას შესაძლებელი ხდებოდა, მოგვეძია აქამდე შეუმჩნეველი კავშირები ენათა განსხვავებულ ოჯახებში.

კიდევ ერთი მაგალითი:

ქართული სიტყვა **ლივლივის** *(ტბის ან ზღვის ზედაპირის რხევა მშვიდ ამინდში)* ფუძე **ლივ** მარცვალი ასე გამოყოფილი სახით ქართულ ენაში აღარ გვხვდება, მაგრამ ბევრ ენაში არსებობს liv ჟღერადობის არა ერთი ტერმინი, რომელთა ამა თუ იმ სახის ასოციაციური კავშირი წყლის ცნებასთან მეტ-ნაკლები გამჭვირვალობით შეიმჩნევა.

ქართველურ ენებში არსებული ასეთი ტერმინებია:

ლბილი და მეგრულ-ლაზური **ლიბუ.**

ვუშვებთ ასეთ შესაძლებლობას ინდოევროპულ ენებში არსებული ბევრი სიტყვისთვისაც.

ესენია:

- გერმანული **leben**, **lieben** (ცხოვრება, სიყვარული) და იმავე შინაარსის სიტყვები ინგლისურ ენაზე - **live, love;**
- რუსულში: **ливень**, **лебедь**, ლეგენდარული **Лыбедь** და ასეთივე დასახელების პატარა მდინარე, რომელიც დნეპრში ჩაედინება;
- მეტ-ნაკლები ალბათობით, წყლის ფენომენთან კავშირში იმყოფება ეს სიტყვები: **отлив, прилив, лыва (лужа), либо, липкий, лепить, липа, лепет, лабиальный** *(აღნიშნავს ისეთ ბგერას, რომელიც გამოიცემა პირის, ტუჩების (შდრ. გერმანულ **Lippe**-ს)* მოკუმვისას და სხვა ინდოევროპულ

ენებში არსებულ, იმავე შინაარსის ტერმინებთან მონათესავე: **любовь, любой;**

- *ლ-რ* ბგერების მონაცვლეობის გათვალისწინებით: **Рябь** (ჭავლი, ჩვეულებრივად, წყლის), **рябина** (კენკრის სახეობა: ცირცელი, ჭნავი), **Рябина** (მდინარე), **роптать** (შდრ. **лепетать**, **журчать.** და არა მარტო სლავურ ენებში; საერთოდ, მეტყველების ფორმების მაიდენტიფი-ცირებელი ტერმინები ხშირ შემთხვევაში ასოციაციურ კავშირშია *წყლის ნაკადის ხმიანობის* აღმნიშვნელ სიტყვებთან, რის თაობაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ);
- დაბოლოს, **РЫБА.**

შენიშვნა: ***თევზის*** *ცნების აღმნიშვნელი ტერმინების* ***წყალთან*** *ეტიმოლოგიური კავშირის საკითხი უფრო ღრმად ნაშრომის ერთ-ერთ მომდევნო თავში განიხილება.*

იგივე ითქმის ტერმინ **ტივტივის** შესახებაც, რომლის ფუძეა წყლის ცნებიდან მის წარმოშობაზე აშკარად მეტყველი მარცვალი **ტივ.**

ამასთან ერთად, *წყლის ცნებასთან* ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ტერმინების მოსაძიებლად ამ მარცვლის ***t*v (b, p)** სახის არქეტიპზე დაყრდნობა ფრიად აფართოებს კვლევებისათვის სამუშაო სივრცეს, ხოლო თუ ასეთი ვერსიების წამოყენებისას თავს ნაკლებად შევიზღუდავთ, მაშინ, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, არაერთ ენაში აღმოვაჩენთ სიტყვებს, „ეჭვმიტანილთ“ *წყლის ცნებასთან* რაიმე სახის ასოციაციურ კავშირზე.

საერთოდ კი, დარწმუნებულნი ვართ, რომ პროფესიონალი ლინგვის-ტები ამ საქმეს ბევრად უკეთ გაართმევენ თავს.

გარდა ამისა, საინტერესოა, თუ რამდენად დაემთხვევა მათი შედეგები ჩვენსას, რომლებიც, მათემატიკურ ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, *პირველი მიახლოებითაა* მიღებული.

შემდგომ კვლევებში ჩვენი ინტერესი გადავიდა სიტყვათწარმოების მომდევნო პერიოდში შექმნილ კომპოზიტ-სიტყვებზე.

მათი გაანალიზებით საინტერესო შედეგები იქნა მიღებული, *(მათ შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ).* მანამდე კი გვსურს ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას:

საქმე ისაა, რომ კონკრეტული სიტყვის წარმოშობის შესახებ ჰიპოთეზის წამოყენებისას შეცდომის დაშვებისაგან არავინაა დაზღვეული, მაგალითად,

ისეთი ცნობილი მოვლენების გამო, როგორებიცაა: **კონტამინაცია** და ტერმინის მნიშვნელობის **გადააზრება;** დაბოლოს, იმ მიზეზით, რომელიც ვოლტერმა დაასახელა და თავად ასე ახსნა:

„ეტიმოლოგია არის მეცნიერება, რომელშიც ხმოვნები არაფერს და თანხმოვნები თითქმის არაფერს ნიშნავს“.

მიუხედავად ასეთი განაჩენისა, ლინგვისტები, საუკუნეებია, თავიანთ კვლევებში, შემეცნების **შედარებით-ისტორიულ მეთოდზე** დაყრდნობით, მეტად შთამბეჭდავ შედეგებს აღწევენ.

მართლაც, მარტო მკვდარი ენების და მათზე არსებული უძველესი წარწერების გაშიფვრა რად ღირს!

დაბოლოს, ჩვენმა კვლევებმა *(ენათა დანაღმულ ველზე პირველმა მერყევმა ნაბიჯებმა)* შემდეგ მოსაზრებებამდე მიგვიყვანა:

- ამა თუ იმ კონკრეტული ტერმინისთვის ეტიმოლოგიური წარმოშობის საკითხის გადაწყვეტას არცთუ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შედეგი თითქმის ყოველთვის ალბათურია, ანუ მეტ-ნაკლებად საეჭვო;
- გაცილებით საინტერესო და „სოლიდური“ უნდა იყოს *ხარის ეგრევე რქებით დაჭერის* მცდელობა, მოცემულ შემთხვევაში - „ყოველივეს გასაღების“ ძიების დაწყება.

და სადღაც 50 წლის წინ ჩვენც დავინტერესდით *(როგორც აღმოჩნდა, უამრავი ადამიანის მსგავსად),* პასუხები მოგვეძებნა ასეთ, უფრო ფილოსოფიური ხასიათის კითხვებზე :

- როგორ წარმოიშვა ენა?
- რომელი ტერმინებისგან შედგებოდა ადამიანის მიერ შექმნილი თავდაპირველი ლექსიკა?
- დაბოლოს, შესაძლებელია კი, მოძიებულ იქნეს და რა გზებით ამ ლექსიკის სათავეში მყოფი ის **ცნება** *(ანუ საუბარი აღარ იყო ამა თუ იმ კონკრეტულ სიტყვაზე),* უპირველეს ყოვლისა, რომლის სახელდებაც დასჭირდებოდა ჩვენს შორეულ წინაპარს?

ამრიგად, მიზნად დავისახეთ, დაგვესრულებინა შეწყვეტილი ფრაზა:

დასაბამიდან იყო...

აღნიშნულ თემაზე არსებული მასალების გაცნობისას *(საკუთარი თავისთვის)* აღმოვაჩინეთ, რომ ზემოთ ხსენებული „ყოველივეს გასაღების“ მოძიების მცდელობანი დიდი ხნის წინ იღებდნენ სათავეს, რაც დაფიქსირებულია ანტიკური პერიოდის წყაროებში, ხოლო მთელს დედამიწაზე დროსა და სივრცეში „გაფანტული“ ხალხების მითოლოგიებში გადმოცემული ლეგენდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, - გაცილებით ადრინდელი ხანებიდან!

დასმულ კითხვებზე პასუხების ძიებისას, ბუნებრივია, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცნობილმა ციტატამ ახალი აღთქმიდან:

„დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“.

იოანეს სახარება

მრავალმა მკვლევარმა სცადა გაერკვია, თუ რას ნიშნავდა **სიტყვა** მოციქული იოანეს ამ გზავნილში, როგორც თეოლოგებმა, ასევე, - ისეთმა ბუმბერაზმა პიროვნებებმა, როგორებიც არიან ტოლსტოი და გოეთე (ფაუსტის პირით).

წარმოგიდგენთ ამონარიდებს „ფაუსტიდან“:

*აქ სწერია, რომ პირველთაგან **სიტყვა** იყოო.*
უკვე შევჩერდი! სხვა რამ ცნება უნდა ვიპოვო!
სიტყვას მე ასეთ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებ,
თუმც მის სანაცვლოდ ჯერ არ ვიცი, სხვას რას ავირჩევ.
როგორმე უნდა გადავლახო ეს დაბრკოლება!..
*იქნებ დავწერო: პირველთაგან იყო **გონება.***
მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდი ამ პირველ სტრიქონს,
თავის ადგილზე არც გონება არ უნდა იყოს.
ქვეყნად ყველაფერს იგი ქმნის და განაგებს განა?
*სჯობს დაიწეროს, პირველთაგან რომ იყო **ძალა**.*
მაგრამ, რაც უფრო ვუფიქრდები, მით უფრო ნათლად
ვგრძნობ, რომ არც ძალა არ შეჰფერის დედანში ნათქვამს.
სული მშველის! და ჰა, საჭირო ცნებასაც ვაგნებ,
*და ვწერ თამამად, პირველთაგან რომ იყო **საქმე**.*

გოეთეს გმირის ძიებანი უშედეგოდ მთავრდება; მის უნაყოფო მცდელობებს ბოროტი ძალა დასცინის და ფაუსტს ამ სიტყვებით მოძღვრავს:

ის, რაც ცოდნაში უმთავრესია,
როგორც წესია, ყველას თვალთაგან საგანგებოდ
დაფარულია.
შემდეგ კი იგი თავის წიაღში
გადაიშლება იმის წინაშე,
ვისაც ეს ალბათ ფიქრადაც კი არ გაუვლია.

ამ საკითხით დაინტერესებული მეორე გენიოსი ლევ ტოლსტოი *ლოგოსის* არსის გასაგებად კიდევ უფრო მეტ ვარიანტს განიხილავდა [აკრიფეთ გუგლში Тольстой логос].

ესენია:

სიტყვა, მეტყველება, საუბარი, სმენა, მჭევრმეტყველება, გონება, მსჯელობა, აზრი, სწავლება, გონი, აზროვნების მიზეზი, ანგარიში, პატივისცემა, დამოკიდებულება და წერდა:

„მე არ უარვყოფ არც ერთ სხვა თარგმანს; შეგიძლიათ სიტყვის ნაცვლად ჩასვათ „გონება“, „სიბრძნე“, ან „სიტყვა“ დატოვოთ კიდეც და მას უფრო ფართო მნიშვნელობა მიანიჭოთ... ასევე, შეგიძლიათ, თარგმნის გარეშე დატოვოთ სიტყვა „ლოგოსიც“ და მთელი მონაკვეთის მნიშვნელობა იგივე იქნება“.

ყოველივეს საწყისის ძიების პროცესს, ვთვლით, ბევრი აქვს საერთო მეტყველებისათვის ასევე საწყისი სიტყვის მოძიების მცდელობებთან, რომელთა დისკრედიტაციაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ერთმა არაადამიანურმა და ამასთან, კრახით დამთავრებულმა, სავარაუდოდ, მითურმა ექსპერიმენტმა *(და აქ ნაკლებად მნიშვნელოვანია, ჰქონდა თუ არა ამ ექსპერიმენტს რეალობაში ადგილი).*

აი, ეს ისტორია:

ერთი აღმოსავლელი დესპოტი ხელისუფლის მიერ გაცემული სასტიკი ბრძანებით, დაბადებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში უსიტყვო

გარემოში გაზრდილი ბავშვის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვა აღმოჩნდაო *ბეკუს* - ფრიგიულ ენაზე პურის აღმნიშვნელი ტერმინი.

ბუნებრივია, რომ ამ „აღმოჩენის“ მეტად არალოგიკურმა შედეგმა - ენათა სამყაროს ლაბირინთში გზის გასაკვლევად ტერმინთა ფრიად დაბურდული გორგლის სათავის მოძიებისას სიტყვა *პურზე* გასვლამ - უარყოფითი გავლენა იქონია შემდგომ ძიებებზე, მნიშვნელოვნად შეუწყო რა ხელი ზემოთ ხსენებული პესიმისტური მოსაზრების დამკვიდრებას.

. . .

ენის საწყისი მარაგის მოძიებისათვის ჩატარებული, მეცნიერული, სერიოზული კვლევების რიგში, ვთვლით, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს დიდი ქართველი ენათმეცნიერის **ნიკო მარის** ე. წ. **ოთხელემენტოვანი მოძღვრება.**

თუმცა, აღნიშნულმა ნაშრომმა რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო აღიარება ვერ იპოვა...

ამასთან, დარწმუნებული ვართ, რომ ამ მოძღვრების უმთავრესი მიღწევა არამცთუ სხვა მეცნიერთა, თვით მარისვე მიერ ვერ იქნა სათანადოდ აღქმული და შეფასებული!

(ამ მიღწევისა და მასთან დაკავშირებული, ჩვენ მიერ მიკვლეული სხვა საინტერესო ფაქტებისა და არტეფაქტების თაობაზე მოგვიანებით გვექნება საუბარი).

ბუნებრივია, რომ კვლევების პროცესში ვეცნობოდით სხვა მეცნიერ*თა (და არამეცნიერთა) ნააზრევსაც და* აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს წყაროები შემდგომ ძალიან დაგვეხმარა პრობლემის გადასაწყვეტად ჩვენეული ვერსიის შემუშავებაში.

მაგრამ, კვლევების დასაწყისში წარმოდგენილი ნაშრომის ავტორს, ლინგვისტიკის სფეროში დილეტანტს, ბევრი არაფერი სმენოდა წინამორბედების მცდელობებისა და მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ და ის „იძულებული“ იყო, დასახული მიზნის მისაღწევად სხვა გზებს დადგომოდა.

კერძოდ, საჭირო იყო ახალი ინსტრუმენტებისა და მიდგომების ძიება, თუმცა, რიგ შემთხვევებში ჩვენც მივმართავდით ლინგვისტიკის სფეროში

დიდად პოპულარულ შედარებით-ისტორიულ მეთოდს, ოღონდ, ძირითადად, უპირატესობას ვანიჭებდით **ინტერ-** და **ტრანსდისციპლინურ** მიდგომებს.

გარდა ამისა, ვხელმძღვანელობდით წინასწარ შერჩეული რამდენიმე პრინციპითაც:

1. ჩვენი კვლევებისთვის დამახასიათებელი და სხვათაგან განმასხვავებელი მთავარი ნიშანი გახლდათ ის, რომ მიზნად გვქონდა დასახული არა ენათა საწყისი მარაგის სათავეში მყოფი **პირველი ს ი ტ ყ ვ ი ს,** არამედ იმ **ც ნ ე ბ ი ს** მოძიება, რომლისათვისაც სახელის დარქმევა, უწინარეს ყოვლისა, უნდა დასჭირვებოდა „ჰომომეტყველუსობაზე“ სურვილის მქონე ჩვენს შორეულ წინაპარს!
2. ობიექტებსა და მოვლენებს შორის კავშირების გამოვლენის პროცესში, ყურადღებას ვამახვილდებდით განსხვავებულ ეპოქებში ადამიანების ცხოვრების წესის სპეციფიკაზე:

   ბუნებრივია, ამ ადამიანების არსებობა-საქმიანობის თითოეული ეტაპისთვის დამახასიათებელი პირობები ენებზეც ასახულიყო მათში ახალი პლასტების ფორმირების, მეტონიმიის, კონტამინაციის, გადააზრების თუ სიტყვათა წარმოქმნის სხვა მექანიზმების მეშვეობით.
3. ზოგიერთი უძველესი ტერმინის ეტიმოლოგიაში გასარკვევად მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, დავკვირვებოდით დღევანდელ პირობებშიც კი ნაკლებად ცივილიზებული წესით მცხოვრები ტომების საქმიანობას - როგორ ეძებენ ეს ადამიანები წყალს, აჩენენ ცეცხლს, აგებენ საცხოვრებელს და სხვ.
4. როგორც ენათა სამყაროს ლექსიკის პირველი, ფესვური ელემენტის მოძიების, ასევე, ამა თუ იმ კონკრეტული ტერმინის ეტიმოლოგიის დასადგენად ვეძებდით და ვაანალიზებდით ფაქტებს სხვადასხვა ხალხის მითოლოგიებიდან, ბიბლიიდან და მეცნიერული დარგებიდან [3-4, 6-9]; მოპოვებული მასალების ერთმანეთთან შესაჯერებლად კი ვიყენებდით მეთოდებს, რომლებიც წლებია, წარმატებით გამოიყენება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სპეციალისტების მიერ

საკვლევი ობიექტების შესწავლისას, მათი მართვისათვის კომპიუტე-რული სისტემის შექმნის მიზნით. ესენია:

დოქტორ დე ბონოს ექვსი ქუდის, დელფის, ტვინების შეტევის და სხვა მეთოდები, მათ შორის **ცნობიერების ნაკადის მეთოდიც,...**

(უკანასკნელი ლინგვისტების უმეტესობის მიერ იგნორირებულია, მას ახლა მხოლოდ მწერლები და ფსიქოლოგები სცემენ პატივს... ჩვენ კი გვჯერა, რომ ის ტვინების შეტევის მეთოდის მოდიფიცირებული ვარიანტია და სარგებლობის მოტანა მის გამოყენებასაც შეუძლია).

5. ინტენსიურად მივმართავდით რესპოდენტების **ჯგუფურად როლში შესვლის** მეთოდსაც, რომელთაც **ვთავაზობდით, თავი წარმოედგინათ იმ არსების ადგილას, ახლახან რომ აპირებს „ენის ადგმას“...**

ლექსიკის მარაგის საწყისი ცნების მოსაძიებლად კი ვიყენებდით ანკეტირების მეთოდს, ვეყრდნობოდით რა შემდეგ მოსაზრებას:

„ის, რაც დაფარულია გენიოსებისთვისაც კი, შესაძლოა იცოდეს ყველა ჩვენგანმა ქვეცნობიერის დონეზე, ოღონდ - ერთობლიობაში“.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების რაობის უფრო დეტალური განხილვა დავიწყოთ ბოლოდან. მასში ნახსენები ექსპერიმენტი ტარდებოდა შემდეგი წესების დაცვით:

- პასუხის გასაცემად კითხვაზე, თუ რომელი იქნებოდა პირველყოფილი ადამიანის მიერ სახელდებული უპირველესი ცნება, რესპონდენტებს (სტუდენტებს) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა შეევსოთ 3-პუნქტიანი კითხვარი მათ მიერ ნავარაუდევი ვარიანტებით.
- თითოეული ფურცელი ასე მუშავდებოდა:
  - პირველ ადგილზე გასულ ტერმინს ენიჭებოდა 3 ქულა,
  - მეორე „პრიზიორს“ - 2,
  - მესამეს - 1.
- სიტყვათა ზოგიერთი წყვილი, მაგალითად, *მშია - საჭმელი, მწყურია - წყალი, მცივა - სიცივე* და ა.შ. ერთ ჯგუფში მოხვდა ექსპერტების მიერ დელფის მეთოდის გამოყენების შედეგად.

მიღებული შედეგების შეჯამება გვიჩვენებდა, რომ ზამთრის პერიოდში, როგორც წესი, საკვების ცნება გადიოდა პირველ ადგილზე, ხოლო ზაფხულში, ამასთან, დიდი სხვაობით - მეორე, და ის აღმოჩნდა:

წყალი

ექსპერტების მიერ ისევ დელფის მეთოდის გამოყენებით მიღწეული შეთანხმების შედეგად სწორედ „ზაფხულის სიტყვამ“ განაცხადა პრეტენზია, გამარჯვებულის ადგილი დაეკავებინა პიედესტალზე.

მაგრამ, მიღებული შედეგის მეტი არგუმენტირებისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ, მიგვემართა ე. წ. *პროჟექტორების მეთოდისათვის* [10].

ამ მეთოდის არსში გასარკვევად მოგვყავს ამონარიდი ჩვენი ერთ-ერთი ადრინდელი ნაშრომიდან:

„მეორე მსოფლიო ომის თემატიკისადმი მიძღვნილ კინოფილმებში ხშირად გვხვდება ასეთი კადრები - ღამეა, სხვადასხვა სათვალთვალო პოზიციებზე განლაგებული პროჟექტორები ცდილობენ, თავიანთი ხედვის არეალში მოაქციონ მტრის თვითმფრინავი.

როდესაც დასახული მიზნის მიღწევას რამდენიმე პროჟექტორი ახერხებს, ჩანს, რომ მათი შუქების გადაკვეთის უბანზე თვითმფრინავის კონტურები გაცილებით უკეთ შეიმჩნევა.

ვუწოდოთ თვითმფრინავების აღმოსაჩენად გამოყენებულ ასეთ მიდგომას ობიექტის ფიქსირების მეთოდი პროჟექტორების შუქთა გადაკვეთაზე, შემოკლებით - პროჟექტორების მეთოდი.

განვმარტოთ მეთოდის შინაარსობრივი მხარე:

ნებისმიერი ობიექტი, პროცესი და მათი დაპროექტებისას გამოყენებული მიდგომები დღეისათვის მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული დარგის სპეციალისტის მიერ არ მუშავდება. მიზნის მისაღწევად საჭირო ხდება, გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სფეროში მომუშავე სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევა. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ თითოეული მათგანი განსჯის საგანს 'საკუთარი სამრეკლოდან' დაჰყურებს და, როგორც წესი, ხელმძღვანელობას უხდება მათი მოსაზრებების შეჯერება.“

ამ შეჯერებისათვის კი უპრიანია, მივმართოთ ზემოთ ნახსენებ, გადაწყვეტილებების მიღების სფეროში მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, მეთოდებს *(მათ ჩვენც არა ერთხელ დავყრდნობივართ სხვადასხვა დანიშნულების კომპიუტერული სისტემების შექმნისას).*

რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომში დასმული პრობლემის გადასაწყვეტად ამ მეთოდის გამოყენების პერიპეტიებს, ზემოთ აღწერილი გამოკითხვის შედეგების ანუ ჩანასახში მყოფი *წყლის თეორიის* განსამტკიცებლად, უპირველეს ყოვლისა, მივმართეთ უკვე ნახსენებ ნ. მარის 4-ელემენტიან მოძღვრებას, რომელსაც მეტად უცნაური ბედი ხვდა წილად - თავდაპირველად მარქსისტულ მეცნიერებაში ერთ-ერთ უდიდესად მოვლენად აღიარებული ნაშრომი იმავე სტალინურ ეპოქაში, ლინგვისტ-ბელადის ინიციატივით, მიწასთან იქნა გასწორებული.

ჩვენი აღქმა-დამოკიდებულება ამ მოძღვრების მიმართ კი ასეთია:

პირველ რიგში, აღვნიშნავთ იმ ვითარებას, რომ, ფაქტობრივად, ნებისმიერ სფეროში დიდი სიახლის შემოტანის მცდელობას მის გამარჯვებამდე წინ მრავალი დაბრკოლება ეღობება.

თუმცა, ნიკო მარის ნაშრომთან მიმართებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმე შებრუნებულ სიტუაციასთან გვქონდა...

დღეს კი ვთვლით, რომ, მიუხედავად 4-ელემენტოვან მოძღვრებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლისა, დადგა მისი „რეინკარნაციის“ დრო!

ოღონდ, ჯერ მოკლედ ჩვენი აზრი იმის შესახებ, მარის ნაშრომის ნაკლოვან მხარეს რაც შეეხება:

ვთვლით, რომ ოთხელემენტოვანი მოძღვრების ჩამოყალიბების პროცესში ენციკლოპედიური ცოდნის მქონე ენათმეცნიერი საკითხის, ასე ვთქვათ, „წმინდა ტექნიკურმა“ (ლინგვისტიკურმა) მხარემ გაიტაცა და პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტისთვის მოხმობილი, **ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტაციის** გამო კოლეგების (შესაძლოა სამართლიანი) კრიტიკაც დაიმსახურა.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არცთუ იშვიათად აქვს ადგილი მეცნიერული შრომების შეფასებისას:

ცნობილი გამონათქმის პერიფრაზს თუ მოვიხმობთ, ოპონენტებმა *წყალს წყალიც გადააყოლეს. კერძოდ, მათ ის ლოდი დაიწუნეს, რომელიც* მეტყველების წარმოშობის ახალი თეორიის ქვაკუთხედად უნდა ქცეულიყო:

ნიკო მარი თავის მტკიცებებს, როგორც წესი, ხომ ისეთი სიტყვების მწკრივთა მაგალითებზე აგებდა, რომლებიც ერთმანეთთან სემანტიკურად სწორედ წ ყ ლ ი ს ც ნ ე ბ ი ს მეშვეობით კავშირდებოდნენ!

წყლის თეორიის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად კვლევები გაგრძელდა და მოძიებული იქნა საინტერესო მასალები მათი წარმოშობის დროის მიხედვით ჩამოთვლილი შემდეგი წყაროებიდან:

- *უძველესი ხალხების მითოლოგიები;*
- *ბიბლია;*
- *სამეცნიერო შეხედულებები უძველესი დროიდან დღემდე;*
- *ქართველი ბერის იონე-ზოსიმეს გზავნილი;*
- *განსაკუთრებული ხედვის ნიჭის მქონე ადამიანების შეხედულებები.*

თუმცა, ჩვენი კვლევები ამ სიის თანმიმდევრობის მკაცრი დაცვით არ წარმართულა - ყოველი ახალი ინფორმაციის მიღების შემდეგ თითოეულ პუნქტს არაერთხელ დავბრუნებულვართ, ოღონდ მიზანშეწონილად არ ვთვლით წარმოდგენილ ნაშრომში ამ პროცესის დაწვრილებით აღწერას *(მით უმეტეს, როდესაც ზოგიერთ შემთხვევაში თვითონვე აღარ გვახსოვს მისი დეტალები).*

მაშ ასე, დავიწყოთ პირველი პუნქტით.

მივმართეთ შესაბამის წყაროებს პასუხის მისაღებად შემდეგ კითხვებზე:

- რას გვეუბნებიან უძველესი ხალხების მითოლოგიები **წყლისა** და **სიტყვის (მეტყველების) ცნებებს** შორის კავშირის შესახებ?

- როგორ განიმარტება ამ შეხედულებების მიხედვით დემიურგების არსი და მათი სახელების ფორმირების წესები?

ძიებანი დავიწყეთ ფუნდამენტურ ნაშრომებში [11-12] მასალების მოძიებით, შემდგომ პერიოდში კი უკვე დიდ დახმარებას გვიწევდა ინტერნეტი.

და აი, რა ინფორმაციები ამოვკრიფეთ ენის წარმოშობის შესახებ:

1. **დოგონების** მითოლოგია (მრავალი ასპექტით საოცარი) გვამცნობს, რომ სწორედ **წყლის ღვთაება ნომომ** მიანიჭა ადამიანებს **მეტყველების** უნარი, ხოლო მისი შთამომავალი **ლებე** სამყაროს მოევლინა, როგორც ზემოდან გამოგზავნილი **სიტყვის** წარმომა-დგენელი.
2. კიდევ ერთი აფრიკული ტომის ხალხი **ბამბარა** არანაკლებ გვაოცებს საკრალური ცოდნის ფლობით, რომლის უმეტესობაც საიდუმლოდ უნდა შენახულიყო ექვსი საიდუმლო იერარქიული საზოგადოების წევრების მიერ.

ამ ხალხის მითოლოგია ხაზს უსვამს **შემოქმედებითი სიტყვის** როლს სამყაროს შექმნაში და გვამცნობს, რომ **წყლის სულმა ფარომ** შექმნა ღვთაებათა სამყარო და შესძინა ადამიანებს **მეტყველების** უნარი.

3. **შუმერში** კი **ნამუ,** ყველა ღმერთის დედა და მიწისქვეშა **წყლების განსახიერება** იყო აღიარებული სამყაროს, ცისა და დედამიწის შემოქმედად.
4. **ინდურ** მითოლოგიაში **მსოფლიო წყლების** მბრძანებელი **ვარუნა,** ინდრასთან ერთად ერთ-ერთი მთავარი ღვთაება მიიჩნეოდა სამართლიანობის და **ჭეშმარიტი სიტყვის** სიმბოლოდ.
5. **მეტყველების** ქალღმერთია ასევე ინდური **VAK**, რომლის სამფლობელო არ შემოიფარგლება მხოლოდ ხილული სამყაროთი, მისი მთავარი სამყოფელი კი **წყალშია.** ლეგენდებში ეს ქალღმერთი ასოცირდება ან იგივდება კიდეც შემდეგ ღვთაებებთან:

პრაჯაპატი, სომა, ვიშვაკარმანი, სარასვატი.

- **პრაჯაპატს** მიეწერება **მეტყველების** შექმნა **წყლის** გამოყენებით:

«Он создал воды. Из речи, которая есть вселенная, была создана его речь. Она достигла всего этого. Так как она достигла, она — вода. Так как она покрыла, она — вода».

- **მთვარის ღმერთად** აღიარებული **სომა** ამავე დროს გახლავთ ღვთაებრივი **სასმელის** განსახიერება.

აქვე შევნიშნავთ, რომ რომ ქართულ ენაში არსებობს ტერმინი „სმა“, ხოლო დიალექტში ასეთი ტერმინიც გვხვდება - „სომს“ (ანუ სვამს).

- **სიტყვის** მბრძანებელი **ვიშვაკარმანი,** რომელსაც ზოგჯერ პრაჯაპატისთანაც აიგივებენ, ღმერთებს არქმევს სახელებს.
- სიცოცხლის ღვთაებრივი მდინარე **სარასვატი** (სანსკრ. „წყლებით მდიდარი“) აღიარებულია **მეტყველების** და, კერძოდ, **სანსკრიტის** შემოქმედად.

6. დაბოლოს, გავეცნოთ დედამიწის მოპირდაპირე მხარეზე მცხოვრები **აცტეკებისა** და ცენტრალური ამერიკის სხვა ხალხებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ღმერთის **კეტცალკოატლისა** და ღვთაება **ტლალოკის** შესახებ ინფორმაციასაც:

*„**Кетцалькоатль** стал воплощением **дождя, божественных вод** и ветров, в то время как **Тлалок** был богом **подземных и озерных вод, пещер и рек,** а также растений. И наконец Кетцалькоатль стал одним из богов-создателей“.*

ახლა კი ბიბლიას მივმართოთ.

სამყაროს შექმნის თემა ძველი აღთქმის თავშივეა წამოჭრილი:

„დასაბამიდან ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უფორმო და ცარიელი და სიბნელე იყო უფსკრულის ზედაპირზე. და ღვთის სული მოძრაობდა წყლებზე. და თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იყო ნათელი. და იხილა ღმერთმა ნათელი, რომ კარგი იყო; და გაჰყო ღმერთმა ნათელი სიბნელისგან. და უწოდა ღმერთმა ნათელს დღე და სიბნელეს ღამე. და იყო საღამო და დილა პირველი დღე.“

დაბადება

ბიბლიის ინტერპრეტატორები ამ ციტატას შემდეგნაირად განმარტავენ [13]:

„ბიბლიური კოსმოლოგიის უკეთ გასაგებად უნდა აღინიშნოს, რომ საქმე ჯერ არ ეხება ჩვენთვის ნაცნობი ცისა და მიწის შექმნას, ისინი შეიქმნება ცოტა მოგვიანებით - შექმნის მეორე და მესამე დღეს. დაბადების პირველი სტრიქონები აღწერს პირველადი ნივთიერების შექმნას.“

და აქ ისმება კითხვა, მაინც რა არის ეს პირველყოფილი სუბსტანცია, რომელიც წმინდა წერილში ყველაფრის პირველსაფუძვლადაა გამოცხადებული როგორც აქაურ, ისე უხილავ, მიღმიერ სამყაროში?

მრავალი მკვლევარი ამ საწყის მდგომარეობას *ქაოსს* უწოდებს და ამასთან, მას *წყლის* სახით აღიქვამს.

კიდევ ერთხელ მივმართოთ მითოლოგიურ წარმოდგენებს და გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ბევრ უძველეს კოსმოგონიურ მითში სამყაროს პირველსაფუძველი *ოკეანესთან, წყალთან* არის გაიგივებული. კერძოდ, ასე იყო შუმერში, ბაბილონსა და ეგვიპტეში.

იგივე მოტივს ვხვდებით აქადურ პოემა „ენუმა ელიშშიც“, რომ **თიამათად** წოდებული პირველყოფილი **ოკეანე-ქაოსიდან** შეიქმნა სამყარო.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი ქართველი მკვლევარი პარალელს ავლებს ამ და ქართულ **ყიამეთ** ტერმინებს შორის.

ქაოსი, როგორც ყოვლისმშობელი, **წყალთან** ასოცირდება ჩინურ და ინდურ მითოლოგიებშიც.

საუბარს ვაგრძელებთ **წყლისა** და **სიტყვის** (მეტყველების) ცნებებს შორის იმ კავშირის შესახებ, რომლის ამოცნობაც ბიბლიიდან არის შესაძლებელი.

კიდევ ერთხელ მივმართოთ მეტად ცნობილ ციტატა იოანეს სახარებიდან:

„დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“.

და ვცადოთ ციტატაში **სიტყვის** რომელიმე სხვა ტერმინით ჩანაცვლება.

რა თქმა უნდა, აღნიშნული ქმედების განხორციელება შესაძლებელია მეტნაკლებად შესაფერისი ცნებებით.

ჩვენ უკვე შევეხეთ ამ თემას, მაგრამ ახლა, ზემოთ განხილული შედეგების გათვალისწინებით, ჩავატაროთ ასეთი ექსპერიმენტი - **სიტყვაში** მოვიაზროთ **წყალი,** ხელახლა წავიკითხოთ ციტატა და შევუდგეთ მსჯელობას:

1. *„დასაბამიდან იყო ...“* ფრაგმენტთან დაკავშირებით გავიმეორებთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში *წყალი* აღნიშნავს ყოველივეს პირველსაფუძველს უფორმო სუბსტანციის, უსახო ქაოსის სახით.

2. *„...და სიტყვა იყო ღმერთთან...“.* ბუნებრივია, რომ გვალვისას პირველყოფილი ადამიანებისათვის *(და არა მარტო მათთვის)* ყველაზე სასურველი მოვლენა იქნებოდა ციდან წვიმის წამოსვლა, მაცოცხლებელი ტენისა, რომელსაც ისინი ცაში საკუთარი თვალით ამჩნევდნენ *(ან ამას ისურვებდნენ).*

ამასთან, საკუთარ წარმოდგენაში მამაზეციერის სამყოფლადაც მათ სწორედ ცა მიაჩნდათ!

3. *„...და სიტყვა იყო ღმერთი“.* ადამიანები ღმერთს მრავალი ეპითეტით ამკობენ, რომელთაგან, ბიბლიაზევე დაყრდნობით, მათი თვალსაწიერიდან სწორედ *წყალი* მოიაზრება უფლის სადიდებლად ერთ-ერთ ყველაზე მეტად მისადაგებულ დეფინიციად!

ბიბლიაში არსებული რიგი სხვა ციტატებისა, ჩვენი აზრით, ასევე ამაგრებენ *წყლის თეორიას.*

მოგვყავს მოციქული პეტრეს სიტყვები:

„რადგან მათგან, რაკი ასე სურთ, დაფარული რჩება, რომ თავდაპირველად ცა და მიწა დაარსდა ღვთის სიტყვით წყლისაგან და წყლით.”

II პეტრე 3.5.

მიგვაჩნია, რომ ამ ციტატაში განსაკუთრებული აზრია ჩადებული, კერძოდ, მასში სრულიად გამიზნულად ორჯერაა მოხმობილი **წყლის** ცნება.

კვლევათა ცალკეული შედეგების ერთმანეთთან შედარება-შეჯერებით ამ დასკვნებამდე მივედით:

1. თეოლოგების მტკიცებით, აქ **ცა** არა მხოლოდ იმ სივრცეს აღნიშნავს, რომელიც ჩვენი მზერის არეალში ხვდება, არამედ, - უხილავ ზეციურ ძალებსაც.
2. წყლის პირველი ხსენება *„...წყლიდან...“* ასახავს ყოველი არსებული-სათვის პირველსაწყისის უფორმო, უსახო მდგომარეობას.

როგორც ზემოთ უკვე მივუთითეთ, მრავალი ხალხის მითოლოგიაში *ქაოსი* არის გამოცხადებული სამყაროს ფორმირებისათვის აუცილებელ „მასალად“. ამასთან, ის გაიგივებულია *პირველყოფილი წყლების სტიქიასთან.*

3. წყლის მეორედ ხსენება *„...წყლით...“* კი მიუთითებს, რომ სწორედ მისი დახმარებით მოხდა ყოველივესთვის, რაც კი ღმერთმა შექმნა, მათ შორის ზეციური ძალებისთვის, სახელების დარქმევა.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრებების განჩხრეკვა დავიწყეთ „წყლის კვალის“ მოძიებით ღმერთის მიერ ექვს დღეში ნამოღვაწარი ქმნილებების, ასევე მე-7 დღისა და დღესასწაულებზე შესასრულებელი რიტუალების სახელწოდებებში.

და კვლავ ბიბლიას მივმართეთ:

„რადგან სამნი მოწმობენ ცათა შინა: მამა, სიტყვა და სულიწმიდა; და ეს სამნი ერთნი არიან.

და სამნი მოწმობენ ქვეყანაზე: სული, წყალი და სისხლი; და ეს სამნი ერთნი არიან.“

1 იოანე 5:7-8

ამრიგად, ნათქვამია, რომ **მამა, სიტყვა** და **სულიწმიდა** ზეციური სამების დედამიწაზე მოწმე ეს სამეულია - **სული, წყალი**, **სისხლი**.

ბიბლია არაერთხელ გვამცნობს, რომ **მამა** არის **სული,** ხოლო **სულიწმიდა** მაცხოვრის მიერ დაღვრილი **სისხლით** ჩამორეცხავს კაცობრიობას ცოდვებს.

დარწმუნებულები ვართ, რომ იოანეს ციტატა **მესამე შესატყვისობაზეც** მიგვანიშნებს - **ცათა შინა** არსებული **სიტყვის** დედამიწისეული ჰიპოსტაზი არის **წყალი.**

. . .

დავუბრუნდეთ განსახილველ თემაზე არსებულ **მეცნიერულ შეხედულებებს** და ამჯერად ძველ ბერძნებს მოვუსმინოთ.

ისინი თვლიდნენ, რომ სწორედ **წყალია ყველაფრის საწყისი,** მათ შორის **ზეციური ძალების.**

აი, რას ამბობდა თალეს მილეთელი:

„ყველაფერი წყლიდან იბადება; ყველაფერი წყლიდან წარმოიშობა და წყლად გადაიქცევა. ელემენტების, არსებული ნივთების საწყისი წყალია; წყალია სამყაროს დასაწყისი და დასასრულიც“.

აქვე მოგვყავს ასევე ბერძენი პოეტის, მოაზროვნე ჰესიოდეს მეტად საინტერესო გამონათქვამი კოლხებზე *(ვფიქრობთ, საინტერესო არა მარტო ქართველებისთვის):*

„კოლხიდა და მისი მცხოვრებნი წარმოიშვნენ იმავე საწყისიდან, საიდანაც ღმერთები არიან წარმოშობილნი - ოკეანისაგან”.

წყლის სრულიად გამორჩეულობის შესახებ არა ერთი სხვა დიდი მოაზროვნე საუბრობდა და ამ ფენომენს განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებდა.

მათ შორის, პირველ რიგში, დავასახელებდით ლაო ძის და ანტუან დე სენტ-ეკზიუპერს.

აი, მათი გამონათქვამები:

„უმაღლესი სათნოება წყალსა ჰგავს“.

ლაო ძი

„არ შეიძლება იმის თქმა, რომ წყალი აუცილებელია ცხოვრებისთვის, რადგან თვითონ წყალია ცხოვრება“.

ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

შევნიშნავთ, რომ სენტ-ეკზიუპერის სხვა ციტატა განთავსებულია ინტერნეტში, გერმანული ინტერნეტგამომცემლობა Lambert Academic Publishing-ის შემოთავაზებით დაწერილ, ამავე თემისადმი მიძღვნილი ჩვენი მონოგრაფიის ყდაზე:

«..., у тебя нет ни вкуса, ни цвета, ни запаха, тебя невозможно описать, тобой наслаждаются, не ведая, что ты такое. Нельзя сказать, что ты необходима для жизни: ты — сама жизнь. Ты наполняешь нас радостью, которую не объяснить нашими чувствами... ты даешь нам бесконечно простое счастье.»

მოვიყვანოთ სხვა ცნობილი ადამიანების გამონათქვამებიც:

„წყალი გამორჩეულია ჩვენი პლანეტის ისტორიაში. არ არსებობს ბუნებრივი სხეული, რომელიც მას შეედრება ყველაზე გრანდიოზული გეოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე გავლენით.“

ვლადიმერ ვერნადსკი

„ლოგიკურად აზროვნების უნარის მქონე ადამიანს წყლის ერთი წვეთიდანაც შეუძლია დაასკვნას ატლანტის ოკეანის ან ნიაგარას ჩანჩქერის არსებობის შესაძლებლობა მაშინაც კი, როდესაც მას არც ერთი მათგანი უნახავს და არც არასდროს სმენია მათ შესახებ“.

არტურ კონან დოილი

„წყლის გაგება ნიშნავს სამყაროს გაგებას.“

მასარუ ემოტო

„ის ყველგანაა; ეხება წარსულს, ამზადებს მომავალს; მიედინება პოლუსების ქვეშ და დიდ სიმაღლეებზეა წარმოდგენილი. თუ ამ პლანეტაზე არსებობს რაიმე ჭეშმარიტად იდუმალი რამ, ეს წყალია.“

ლორენ აისლი

შემდეგ, თანამედროვე მეცნიერება წყლის, მისი თვისებების შესახებ ისეთ არაორდინალურ ფაქტებს ფლობს, რომლებიც საგონებელში აგდებენ არამცთუ არასპეციალისტებს, თვით გამოჩენილ მეცნიერებსაც! კერძოდ:

- წყალი, რომელიც ჩვენი პლანეტის ზედაპირის 71%-ს ფარავს, მრავალი თვალსაზრისით დღემდე იდუმალი, ამოუცნობი ფენომენია!
- მას ისეთი გასაოცარი თვისებები ახასიათებს, რომლებიც სტოვებენ შთაბეჭდილებას, რომ ეს ნივთიერება ფიზიკისა და ქიმიის კანონებს არ ემორჩილება.
- მოგვყავს წყლის ამ, ჯერ კიდევ აუხსნელი „თავისუფალი ქცევების“ ზოგიერთი მაგალითი:
  - „მეცნიერების მიერ დაწერილი წესების თანახმად“, წყალი „უნდა“ დუღდეს +700 ტემპერატურაზე და იყინებოდეს -900-ზე.
  - წყალი ერთადერთი ნივთიერებაა, რომელსაც ნორმალურ (ბუნებრივ) პირობებში შეუძლია, აგრეგაციის სამ მდგომარეობაში იმყოფებოდეს.

- განსაკუთრებულ პირობებში ისეთი წყალიცაა მიღებული, რომელიც თხევადია -500 გრადუს ტემპერატურაზე და ამავე დროს ყინულად რჩება +1000-ზე.
- ანომალიურად ითვლება წყლის როგორც სიბლანტის და სითბო-ტევადობის მახასიათებლები, ასევე, უფრო დაბალი სიმკვრივის ფაქტი მყარ მდგომარეობაში, ვიდრე - თხევადში.

  სწორედ წყლის ეს თვისება უზრუნველყოფს წყალსაცავების გაყინვისას მათში სიცოცხლის შენარჩუნებას!
- მეცნიერებმა დაადგინეს, რომ წყლის ყველა ანომალიური თვისება აუცილებელი პირობაა პლანეტაზე სიცოცხლის არსებობისთვის!
- წყალს აქვს მეხსიერება, ის მრავალჯერ განზავების შემთხვევაშიც ინარჩუნებს თავის თვისებებს!

- იაპონელი ემოტო მასარუს, შესაძლოა საკამათო, დაკვირვებებით, წყალი რეაგირებს ადამიანის აზრებსა და ემოციებზე, მუსიკასა და ლოცვებზე [14].

  ადამიანის მიერ დადებითი ემოციების გამოვლენისას წყლის სტრუქტურა ულამაზეს ფორმებს იღებს და საპირისპირო სიტუაციასთან გვაქვს საქმე უსიამოვნო სიტყვების, ფრაზების წარმოთქმისას.
- ცნობილ მკვლევარს, ბიოენერგეტიკოს სერგეი ლაზარევს ადამიანის მიერ განვლილი მთელი ცხოვრების გზა (და მისი წინაპრებისაც) წყლის სტრუქტურების მსგავსი სახით წარმოუდგება!

  დაბოლოს, გავიხსენოთ **ნათლობის, ნათლისღების, წყალკურთხევის** ფენომენები!...

. . .

განვიხილოთ ბერ იონე-ზოსიმეს საყოველთაოდ ცნობილი გზავნილი - შეტყობინება, რომელიც, ბერისავე სიტყვებით, განკუთვნილია ყოველი ენისათვის:

„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან!

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ,

და მეგობრობაჲ ამისთჳს თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთჳს თქუა დავით წინაჲწარმეტყუელმან, რამეთუ " წელი ათასი - ვითარცა ერთი დღჱ",

და და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჱსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყჳს ყოვლად ოთხ - ათასსა მარაგსა,

და ესე არს ოთხი დღჱ, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთჳს მისთანავე დაფლული სიკვდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.

და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაიჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა,

და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც - და -ათოთხმეტი წელი უმეტჱს სხუათა ენათა ქრისტჱს მოსვლითგან დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ, ესე წილი ანბანისაჲ".

თავდაპირველად აღვნიშნავთ თხზულებაში ჩადებული *ყოველი საიდუმლოის* თუ არა, მისი ნაწილის გაშიფრვისადმი ჩვენი მიდგომის ზოგიერთ თავისებურებას:

- არ გვიცდია, მასში მოგვეძებნა რაიმე ინფორმაცია სამყაროს მომავლის, მით უფრო მისი დასასრულის თარიღის შესახებ...
- უარი ვთქვით ისეთი ინფორმაციის მოძიების მცდელობაზეც, რომელიც საქართველოს, ქართველ ხალხს თუ ქართულ ენას სხვა ერების წინაშე რაღაც გამორჩეული თვისებების მატარებლის რანგში წარმოაჩენდა, ანუ ჩავთვალეთ, რომ კარი სხვა მიმართულებით იღება:

"ქებაიში" ჩადებული ცოდნა ერთნაირად მისაღები და ძვირფასი უნდა ყოფილიყო დედამიწაზე მცხოვრები ნებისმიერი ეროვნების და სარწმუნოების ადამიანისათვის!

თხზულებაში ჩადებული ინფორმაციის ანალიზს ვიწყებთ იმ მტკიცებებიდან, რომლებიც შეადგენს გზავნილის დედაარსს:

ქართული ენა ლაზარეა – "სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან";

მასში დამარხულია "ყოველი საიდუმლოი";

გაივლის ხანი, იგი აღსდგება, „რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა".

ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) რწმენით, "ქებაი" ისეთი თხზულებაა, რომელშიც ყოველი აზრი, ყოველი სიტყვა განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია და სავსებით შესაძლებელია, რომ საკრალური ინფორმაციის შიფრს წარმოადგენდეს.

ამ მოსაზრების გათვალისწინებით, მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს "ქებაიში" ქართული ენის ლაზარესთან გაიგივება – ეჭვს გარეშეა, იოანე-ზოსიმემ იცის, რომ ლაზარე ქრისტეს მეგობარია და ხომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ავტორს ეს პასაჟი ქართული ენის ღვთის მიერ გამორჩეულობის ხაზგასასმელად დასჭირდა?

მაგრამ აქ იბადება კითხვები:

– ამ მიზნის მისაღწევად განა გაცილებით შთამბეჭდავი არ იქნებოდა თვით მაცხოვრის აღდგომასთან პარალელის გავლება?

– „ქებაიში" ხომ ქართული ენის განსაკუთრებულ მისიაზეა საუბარი და არა მის "უბრალო" აღდგინებაზე?

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იოანე-ზოსიმეს არჩევანს სხვა მოსაზრება განაპირობებდა და სწორედ სიტყვა *ლაზარეს* უნდა ჰქონდეს დაკისრებული საიდუმლოს გამხსნელი გასაღების როლი.

ვთვლით, რომ, ქართული რეალობიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ **ლაზარე** ჯერ კიდევ წარმართული დროიდან ცნობილი ის მითოლოგიური პერსონაჟია, რომელსაც გვალვისას ხალხი შესთხოვდა **წყალობას**, მათთვის წვიმის სახით გამოეგზავნა სიცოცხლის მიმნიჭებელი ტენი!

ამ მიზნის მისაღწევად ქართველები **ლოცვების** თანხლებით იმ რიტუალს ასრულებდნენ, რომელმაც თითქმის ჩვენს დრომდე მოაღწია *(მისი ფორმები მე-19 საუკუნის ჩანაწერშია აღწერილი).*

ცხადია, რომ ზემოთ თქმული არც იოანე-ზოსიმესთვის იქნებოდა საიდუმლო.

შემდეგ, *''ლაზარე''* სახელის სიტყვა *''ლაზთან''* მსგავსების ადვილად შესამჩნევი ფაქტი კიდევ მეტად ნიშანდობლივად გვევლინება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ''ქებაიში'' ხაზი აქვს გასმული ქართველი და ბერძენი ხალხების წარმომადგენელთა მეგობრობას, *''ლაზი''* კი ელინებისათვის დასავლელი ქართველის აღმნიშვნელი ტერმინი გახლდათ.

მაგრამ ნუთუ მხოლოდ ტერმინების გარეგნული მსგავსება შეიძლებოდა გამხდარიყო საკმარისი განაცხადისთვის, რომ ქართული ენა ლაზარეა?

ხომ არ მიგვანიშნებს იოანე-ზოსიმე ამ სიტყვებს შორის სხვა სახის, უფრო ღრმა კავშირზე?

ჩატარებულმა კვლევებმა მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე:

''ლაზარე'' და ''ლაზ'' ტერმინებს შორის სწორედ ასეთი, სიღრმისეული დამოკიდებულება არსებობს და იგი ემყარება მათს წარმოშობას *LAK საერთო ძირიდან.

ეს ტერმინი კი კაცობრიობის პირველსაწყის ან მასთან ახლოს მდგომ ენებზე აღნიშნავდა **წყალს** - იმ ძირეულ ცნებას, რომლიდანაც, როგორც ზემოთ ვასაბუთებდით, ამოიზარდა ''ყოველი ენის'' გენეალოგიური ხე.

ხაზგასმელია ის გარემოება, რომ **წყლიდან დაბადების ნიშანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული სარწმუნოების თვალსაზრისით.**

ვაგრძელებთ:

ცნობილია, რომ **ტიბარენების,** უძველესი ქართული ტომის სახელ-წოდებას მეცნიერები ტერმინ **ტაბას** (ტბას) უკავშირებენ.

ჩვენი ვარაუდით, ანალოგიურად უნდა მომხდარიყო ***LAK** ძირიდან ლაზთა სახელდებაც.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იოანე-ზოსიმეს თხზულებაში *წილ* ასოს ყურადღების ცენტრში მოქცევა.

ვთვლით, რომ ამ ტერმინს მასში ორმაგი ფუნქცია აკისრია:

- წ ი ლ ი თ იწყება სიტყვა წ ყ ა ლ ი.
- და „ქებაი'' კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს წ ყ ა ლ ზ ე, როგორც საკვანძო ტერმინზე, როდესაც ის მიგვითითებს "წიგნზე". ლიტერატურულ ყოველდღიურობაში ამ ტერმინს ხომ ხშირად ენაცვლება სიტყვა "წყარო".

ამრიგად, **ლაზარეს,** *წყლის ღვთაების სახელს,* რომელიც ძალიან შორეულ, პრეისტორიულ ხანაში იღებს სათავეს, უძველეს ტერმინ ***LAK**-მდე მივყავართ.

მისი მეშვეობით კი, ამა თუ იმ სახის ასოციაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ენაზე არსებული მრავალი სიტყვისათვის შემუშავდეს ეტიმოლოგიური წარმოშობის შესახებ მეტნაკლებად დამაჯერებელი ვერსიები.

თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ არსებობს არაერთი სხვა მარცვალიც, რომელთაც ლინგვისტებისათვის იმავე სამსახურის გაწევა შეუძლიათ.

ვთვლით, რომ წყალთან დაკავშირებულ ეტიმოლოგიურ კავშირზე, პრინციპში, აზრი აქვს თითქმის ყოველი ასეთი მარტივი სტრუქტურის მქონე მარცვლის შემოწმებას:

(თანხმოვანი) + ხმოვანი +(თანხმოვანი)

თუმცა, ამ მიმართებით განსაკუთრებით პროდუქტიულად გვესახება ასეთი შედგენილობის ტერმინები:

M * T (D), P * S,.. და, ცხადია, ზემოთ ხსენებული **L*K (S, Z).**

ოღონდ, როგორც უკვე აღვნიშნავდით, ჯობია, ასეთი სახის კვლევების ჩატარება პროფესიონალებს მივანდოთ *(აქ მხოლოდ დავამატებდით, უკეთესი იქნება, თუ ამ პროცესში კომპიუტერული ლინგვისტიკის დარგის სპეციალისტებიც მიიღებენ მონაწილეობას).*

ახლა კი ვკითხოთ საკუთარ თავს:

თუ ყველაფრის თავი წყალია, როგორ მოხდა, რომ ეს ცოდნა, ფაქტობრივად, დაიკარგა?

საქმე ისაა, რომ ზოგჯერ ხანდაზმული ადამიანისათვის (ანუ აქ „კაცობრიობისათვის“) ყველაზე რთული იმ სათვალის პოვნაა, რომელიც მას შუბლზე დაუსკუპებია.

და კიდევ, ჰენრიხ ალტშულერის მიერ ჩამოყალიბებული TRIZ და ARIZ გამომგონებლობის თეორიების შემსწავლელ სტუდენტებს მეცადინეობებზე ეძლევათ ასეთი სახის დავალებაც:

დამალეთ ქვა ოთახში ისე, რომ მისი აღმოჩენა რაც შეიძლება გაძნელდეს!

ყველაზე ეფექტიან გზად მიიჩნევა ამ ქვის **ი შ ა ვ ო რ გ ს ი ბ ე ვ ქ** დამალვა.

. . .

ენის წარმოშობის თაობაზე „წყლის თეორიის“ შემუშავების შემდეგ დავიწყეთ კაცობრიობის განვითარების ეტაპების განხილვა.

ლოგიკურია, რომ ადამიანის ცხოვრების წესის და ენათა განვითარების პროცესები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მოვლენებად იქნეს აღქმული.

შედეგად ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა 3-ეტაპოვანი სქემა როგორც ცივილიზაციური სამყაროს, ასევე, - მეტყველების შექმნა-განვითარების პროცესებისათვის:

1. საწყის ეტაპზე დაწყვილდა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების წესი და ენის დაბადების *წყლის თეორია;*

   წყლის ზედაპირის მიერ გამოსახულებათა არეკვლის უნარმა განაპირობა თავდაპირველი ანიმისტური წარმოდგენების ჩასახვაც.
2. მეორე ეტაპად ჩავთვალეთ ეპოქა, როდესაც ადამიანებმა მოათვინიერეს *ცეცხლი* და მისი დახმარებით შეძლეს არა მარტო ნადავლის შეწვა, გარეული ცხოველების შეშინება და ა. შ., არამედ დაეუფლნენ ყოველ-დღიური ცხოვრებისთვის უაღრესად საჭირო ტექნოლოგიებსაც, დაიწყეს სხვადასხვა სახის ჭურჭლისა და ხელსაწყოების დამზადება, დაბოლოს, გამოიგონეს ბორბალი.

ამავე ეპოქაში ვითარდება რელიგიური წარმოდგენები, იქმნება მითოლოგიები, ჩნდება ის ჩანახატებიც, რომლებმაც დღემდე მოაღწია.

3. განვითარების მესამე ეტაპზე ადამიანი იცვლის ცხოვრების წესს - მკვიდრდება ადგილზე, სტაციონარულ სახეს აძლევს მის მიერ აქამდე გამოყენებულ, ადგილიდან ადგილზე გადასატან საცხოვრისებს, ჩნდება სოფლები, ქალაქები, სახელმწიფოები, შენდება ტაძრები, იქმნება დამწერლობა და ლიტერატურა.

ყოველი მეცნიერული ნაშრომი, თუკი ის ნამდვილად ღირებულია, თავის თავზე მეტია, ანუ ყოველთვის იძლევა შესაძლებლობას, მასზე დაყრდნობით, ახალი, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი მნიშვნელოვანი შედეგებიც იქნეს მიღებული.

ვთვლით, რომ მოცემულ შემთხვევაშიც სწორედ ასეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე.

მაგალითად, სწორედ წყლის თეორიის საფუძველზე იქნა შემუშავებული ტერმინ **ღვინის** სახელდებისათვის მისი ადგილობრივ ნიადაგზე წარმოშობის ვერსია [15].

ნაშრომის მომდევნო თავებში მოვიყვანთ, ჩვენი აზრით, საინტერესო მასალებს როგორც ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული სტატიებიდან, ასევე, უკვე აღწერილ და/ან ზოგიერთ უახლეს კონცეფციაზე დაყრდნობით, მკითხველს წარმოვუდგენთ შემდგომ პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგებსაც, კერძოდ, *კონცეფციას ვიკილექსიკონის სრულყოფის შესახებ,* ასევე, - *ახალ ვერსიებსაც ისეთი ტერმინების ეტიმოლოგიური წარმოშობის თაობაზე, როგორიცაა*:

ანატოლია, ანატორი, ანგელოზი, Anglia, Georgia, თბილისი, მტკვარი, კიევი, მოსკოვი, ქართლი, ქაშუეთი და სხვ.

ნაშრომის ამ ნაწილის ბოლოსკენ კი უპრიანად გვესახება, დავსვათ ასეთი შეკითხვა:

რატომ ვთვლით, რომ სწორედ ქართულ ენას ძალუძს გზამკვლევად მოგვევლინოს ენათა სამყაროს წარმოშობა-განვითარების წიაღ-სვლებში?!

მოგვყავს არგუმენტები:

1. ჯერ ერთი, არავინ უარყოფს სხვა ეთნოსების და მათი ენების მიერ უკვე შეტანილ თუ მომავალში შესატან წვლილთა როლს ამ კვლევებში, განსხვავებით იმ ვითარებისგან, რომელიც დღეს არის შექმნილი ქართველურ ენებთან მიმართებით. ფაქტია, ვიკილექსიკონში, საიტზე, რომელმაც ბოლო ხანებში აქამდე არნახული პოპულარობა მოიპოვა, ტერმინთა ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას სპეციალისტები ნაკლებად ან თითქმის არ მოიხმობენ არტეფაქტებს ჩვენი ენიდან, მაშინ, როდესაც ხშირ შემთხვევაში მათ შესანიშნავად შეუძლია დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია შეასრულოს სხვადასხვა ენაზე არსებულ, შინაარსობ-რივად ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულ სიტყვებს შორის.

   მაგალითად, ასეთი ტერმინებია: *ტაგ, ბრეგი, ლასი, ლაპ, დონე და სხვ.*
2. ქართული ენა, რომელიც ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა, ენაა, გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობით, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე მყოფი იმ ხალხისა, რომელმაც კაცობრიობას შესძინა **ღვინისა** და **ხორბლის** კულტურა, და თუ არ შექმნა, დიდად წასწია წინ **მეტალურგიის** და **მედიცინის** დარგები, ხელოვნების ნიმუშებად აქცია საყდრისსა და სვანეთში მოპოვებული ოქრო *(ამ ქმედებებს, ცხადია, თან ახლდა ენაში შესაბამისი პლასტების გაჩენა).* აქედან გამომდინარე, მას კაცობრიობისთვის გაცილებით მეტი აქვს სათქმელი, ვიდრე ეს ხდება დღეს, მით უფრო იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ, რაც უფრო შორს ვინაცვლებთ წარსულისკენ, აშკარად მცირდება ეთნოსების ცხოვრების წესებსა და მათ ენებს შორის განსხვავებანი, და, შესაბამისად, უფრო რელიეფურად იკვეთება საერთო ნიშან-თვისებები.
3. რა თქმა უნდა, ქართველმა ენათმეცნიერებმა ნიკო მარის და დიდი ივანე ჯავახიშვილის შემდგომაც უზარმაზარი შრომა გასწიეს ჩვენი ენის ღირსებების წარმოსაჩენად, მაგრამ კომპიუტერიზაციის და ინტერნეტის ეპოქაში, დღეს, როდესაც ინტერ- და ტრანსდისციპლინურ მიდგომებზე დაყრდნობას ფართო გასაქანი ეძლევა ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, ვთვლით, რომ ამ მიმართულებითაც უდავოდ მეტის გაკეთებაა შესაძლებელი და საჭიროც.

ლიტერატურა

1. https://ling.olimpiada.ru/
2. http://www.emomi.com/history/debono/index.htm
3. http://n-t.ru/ri/sh/pn05.htm
4. https://old.gtu.ge/book/g_gvinefadze_Qebai.pdf
5. Chachanidze G., Gvinepadze G. “Advancing language technology to build cross-cultural bridges”. Multilingualism in cyberspace proceedings of the Ugra Global Expert Meeting. Interregional Library Cooperation Centre. Moscow. 2016, 257-263 pp. (in English). https://www.ifapcom.ru/files/2016/UGRA_ENGL_BLOK_WEB.pdf
6. http://ponjatija.ru/node/14242
7. https://ru.wikipedia.org/wiki/Индуистские_божества
8. http://bibliya-online.ru/sotvorenie-mira-bogom-bibleyskaya-is/
9. https://gtu.ge/ims/pdf/G_Gvinepadze_shemoqmedebiTi_azrpvneba.pdf
10. G. Ghvinepadze. "The question of the origin of languages and the method of spotlights". "Paralleli" magazine. 2015, N7. ISSN 0235-8417. pp. 114-121.
11. Мифологический словарь. Москва, изд. «Советская Энциклопедия», 1990.
12. Мануэль Галич. История доколумбовых цивилизаций. Москва, изд. «Мысль», 1990.
13. https://bibliya-online.ru/sotvorenie-mira-bogom-bibleyskaya-is/
14. https://ru.wikipedia.org/wiki/Эмото,_Масару
15. https://shromebi.gtu.ge/storage/archit/128/shroma-1511.pdf pp. 80-88

II ნაწილი

თავი I

„უმაღლესი სათნოება წყალს ჰგავს!“

ლაო ძი

დავუბრუნდეთ *წყლის თეორიას* და განვიხილოთ მისი კავშირი უფლის მიერ სამყაროს ექვს დღეში შექმნის პერიპეტიებთან:

- **პირველ დღეს ღმერთი ქმნის საწყის სუბსტანციას,** რის შედეგადაც ჩნდება **სინათლე** და **სიბნელე.**

  განსაკუთრებული ხედვის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები (მათ შორის არიან როგორც თეოლოგები, ასევე, - ფიზიკოსები) თვლიან, ბიბლიაში აქ ნაგულისხმევია არა ჩვეულებრივი სინათლე, არამედ - რელიქტური გამოსხივება, შესაძლოა, - დიდი აფეთქებაც. ამასთან, მათ მიერ ეს სინათლე განიმარტება როგორც ზეციური, ასევე მიწიერი ქმნილებების არსებობისათვის პირველადი წყარო მსოფლიო სულის სახით.

  რაც შეეხება უძველესი ადამიანების მიერ ჩვეულებრივი სინათლისათვის სახელის (სახელების) შერჩევას, ჩვენი აზრით, აქ უმთავრესი როლი შეეძლო ეთამაშა ციური სხეულებიდან წამოსული სინათლის სხივების წყლის ზედაპირიდან არეკვლისგან მიღებულ შთაბეჭდილებას, ეფექტს, განსაკუთრებით ადვილად ღამით შესამჩნევს.

  ანუ ამ სახელდებისას მუშაობდა მეტონიმიის ფენომენი, თუმცა, მსგავსი ტიპის სახელდებისათვის სხვა გზებიც არსებობდა:

  - *წყალი → ცა → მნათობი (იხ. მეოთხე პუნქტი);*
  - *წყალი → ცა → ელვა;*
  - *წყალი → ცხიმი, ზეთი, ფისი → ალი.*

- **მეორე დღე - ღმერთი ქმნის ხილულ ცას.**

  ცნობილია, რომ ზოგიერთი ძველი ხალხის წარმოდგენაში *ცა* ასოცირდება *ქვის გუმბათთან* და შესაბამისად, მისი სახელდებაც *ქვა → ცა* მარტივი სახის მეტონიმიის პროდუქტად მიიჩნევა.

  არ უარვყოფთ ამ შესაძლებლობის არსებობას, მაგრამ არ უნდა გამოირიცხოს გადააზრების ფაქტორის გავლენაც:

პირველყოფილი ადამიანებისათვის თავიანთი სამუშაოებისთვის საჭირო ინსტრუმენტების დასამზადებლად გაცილებით ადვილი იქნებოდა შესაფერისი ფორმის და სტრუქტურის ქვების მოძიება წყალსატევების სიახლოვეში, ვიდრე სხვა სივრცეებში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ქვის სახელდებას *წყალი→ქვა* მეტონიმიით ცისთვის სახელის შერჩევაზეც მოეხდინა გავლენა.

მაგრამ უფრო საფუძვლიანად და რაც მთავარია, ქმედითად მოჩანს ვერსია, რომელიც დაფუძნებული არის ადამიანის მიერ ცის, როგორც *სიცოცხლის მომცემი ტენიანობის რეზერვუარის* აღქმაზე.

- **მესამე დღეს დედამიწა წყლისგან გამოიყოფა და მასზე პირველი მცენარეები ჩნდება.**

ლოგიკურია, რომ ჩვენს წინაპრებს მეტონიმიის ფენომენისათვის, პირველ რიგში, წყალსატევებთან მიმდებარე ადგილების სახელდებისას მიემართათ.

ვთვლით, რომ ქართულ ენაში ასეთი სიტყვებია: *მიწა, ხმელეთი, ტაფობი, დაბა, რიყე, ვაკე, ...*

და ეს გასაკვირი არც არის, რადგან საცხოვრებლის არჩევისას ადამიანს ყველაზე მეტად იქ წყლის არსებობის საკითხი აინტერესებდა და აინტერესებს!

ასე იყო თავიდან და, რა თქმა უნდა, იმ დროსაც, როდესაც ის მეცხოველეობითა და სოფლის მეურნეობით დაკავდა.

ამ ეტიმოლოგიური კავშირის თაობაზე ნათლად მეტყველებს თვით სამეცნიერო მიმართულების, *ტოპონიმიკის* დასახელება! ბერძნულში **τόπος** არის ადგილის, ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინი. მისი ეტიმონი უცნობად მიიჩნევა, ჩვენი მოსაზრებით კი, ის კავშირშია არქაულ **ტაბ** სიტყვასთან, რომლის არქეტიპი არის მეტად შორეული წარმოშობის **t*b(p)** მარცვალი. ამასთან, მისი ერთ-ერთი შთამომავალი *(შვილი თუ შვილიშვილი)* გახლავთ ზემოთ განხილული **ტივ** ტერმინიც.

სავსებით ლოგიკურია, ასეთივე სიტუაცია შექმნილიყო, ზოგადად, *მთების, კლდეების* სახელდებისას.

მართლაც, წარმოვიდგინოთ სიტუაცია:

ნადირის დევნით დაქანცულ ან სხვა საკვების ძიებაში გართულ ადამიანებს წყალი მოსწყურდათ; ახლომახლო მდინარე არ ჩანს.

საითკენ აიღებდნენ ისინი გეზს, თუ ერთი მიმართულებით მთებია, ხოლო ყველა სხვა მხრივ - ტრიალი მინდორი?

ცხადია, მთებისაკენ, სადაც ადამიანი ხევში ნაკადულს ან კლდიდან გადმომდინარე ჩანჩქერს შეიძლება წაწყდომოდა.

მეტიც, ის საცხოვრებლად იმ ქვაბულებს (გვირაბებს, ეხებს) ირჩევდა, რომლებშიც წყალი მოწანწკარებდა.

აქვე გავიხსენოთ ბიბლიური თქმულება მოსეს მიერ წყლის მოსაპოვებლად კვერთხით კლდის გაპობის შესახებ.

მოგვყავს ციტატა ვიკიპედიიდან:

„ტოპონიმები, განსაკუთრებით მთებისა და წყლების სახელები - ყველაზე ძველი და მყარი ერთეულები - შედარებით კარგად ინახავს არქაიზმებსა და დიალექტიზმებს, რაც ხელს უწყობს კვლევას ამა თუ იმ ენის სუბსტრატის გამოყოფაში, გარკვეულ ტერიტორიაზე ძველი ენის აღდგენასა და მისი გავრცელების არეალის შემოსაზღვრაში.“

საინტერესოა, რომ ქართული სიტყვა **გორა (მთა)** როგორც მნიშვნელობით, ასევე ფორმით ზუსტად ემთხვევა სლავურ ტერმინ **гора**-ს.

შემდეგ, არ გამოვრიცხავთ, რომ სიტყვა **კლდეც** ეტიმოლოგიურად ასევე წყლის ცნებასთან იყოს დაკავშირებული და, დიდი ალბათობით, მის ნათესაობას, შემდეგ ინდოევროპულ ტერმინებთან:

სლავ. **колодязь (колодец),** შესაძლოა, ეს იყოს **скала**-ც; გოთური ***kalding** (წყარო), ტერმინ **ცივის** აღმნიშვნელი გერმ. **Kalt** და სლავ. **холодный**, რაც მარტივად აიხსნება - ლოგიკურია არა მხოლოდ ის, რომ სხვადასხვა ენაზე ჯერ წარმოიშობოდა *მდინარის, კლდის* აღმნიშვნელი ტერმინები და მხოლოდ შემდეგ გაჩნდებოდა მათი ერთ-ერთი თვისების აღმნიშვნელი სიტყვა *ცივი* (და არა - პირიქით), ასევე ისიც, რომ **ტბა** და **თბილი** სიტყვებისათვის სწორედ პირველი ტერმინი წარმოჩენილიყო მშობლის როლში.

(ეს საკითხი ჩვენთვის განსაკუთრებით აქტუალურია თბილისის ეტიმოლოგიის საკითხთან მიმართებით, რომელსაც შემდგომ განვიხილავთ).

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ქართულ ენაში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც მთიანი ადგილების ზოგადი სახელწოდებები

ემთხვევა (ან თითქმის ემთხვევა) წყლის ობიექტების ასევე ზოგად სახელწოდებებს (მდინარე, ნაკადული, წყარო).

ეს თემა განხილული გვაქვს ნაშრომებში [1-3] და აქ ასეთი შესაბამისობის მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

- **მთა** და **მატალა.** ბოლო სიტყვა ჩვენში აღნიშნავს (მჟავე-მარილიან) წყალს და მთაში იმ ადგილებსაც, სადაც ასეთი წყალი მოსჩქეფს;
- ფშავში **მუჯას** ეძახიან მჟავე წყალს და ასევე, მთიან ადგილებსაც, საიდანაც ის მოედინება;
- იგივე ითქმის **ვეძა** ტერმინის შესახებაც;
- **ჩხატი** სახელწოდებაა **ჩანჩქერისა** და **კლდეებისაც,** რომლებიდანაც წყალი ჩამოედინება;
- სავარაუდოა ასეთი გადასვლაც - **ჩქერი → ჩხერი.**

ვთვლით, რომ ძველი ადამიანისათვის იგივე ლოგიკა „მუშაობდა“ **ტყის** ცნების და საერთოდ, **მცენარეულობის** აღმნიშვნელი ტერმინების სახელდებისას, რის თაობაზეც კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება! [3].

აქ კი ვიტყვით: მაშინაც კი, თუ საშინელი გვალვისას ყველა წყალსატევი დაშრება, ადამიანს გადაარჩენენ მ-*ცენ*-არეთა *ფოთლები, ფესვები, ღეროები,* რომლებიც ამ პირობებშიც ინარჩუნებენ ტენიანობას.

- **მეოთხე დღე** - ღმერთი ქმნის მნათობებს. ზემოთ უკვე განვიხილეთ მნათობებიდან გამოსხივებული *შუქისა* და *წყლის* ცნებებს შორის კავშირის საკითხი.

  აღვნიშნავთ, რომ ასეთი კავშირისთვის, კერძოდ, ***მთვარესა*** და ***წყალს*** შორის, სხვა შესაძლებლობებიც არსებობდა:

  მთვარე, მრავალი უძველესი ხალხის წარმოდგენით, **წვიმის ღმერთის** (ღვთაების) ფუნქციასაც ასრულებდა, რაც, მაღალი ალბათობით, ზოგჯერ მაინც უნდა ასახულიყო ამ მნათობისთვის სახელის არჩევისას.

- **მეხუთე დღეს** შემოქმედი ქმნის თევზებსა და ფრინველებს.

  მიუხედავად იმისა, რომ *თევზისათვის* სახელის არჩევისას (პირველ რიგში, განზოგადებულის) ყველაზე მარტივი და ლოგიკური გზა უნდა ყოფილიყო ასეთი ტიპის მეტონიმიის ამოცნობა: *წყალი → თევზი,* ლინგვისტები სხვადასხვა ენაში *თევზისათვის* არსებული ტერმინების ეტიმოლოგიას ან გაურკვეველად მიიჩნევენ, ან მეტისმეტად ორიგინალურ ვერსიებს გვთავაზობენ, მაგალითად, სლავური ენების კუთვნილ

рыба-ს ეტიმონად ძვ.-ზემო-გერმ. **rûpa** (მუხლუხს აღნიშნავს) ტერმინსაც კი თვლიან.

საოცარია, რომ ***წყლისა*** და ***თევზის*** აღმნიშვნელ სიტყვებს შორის ნათესაობას ენათმეცნიერები ვერ ამჩნევენ სხვა ინდოევროპულ ენებშიც, ბერძნულ-ლათინურიდან დაწყებული, ხოლო ქართველ ლინგვისტებს (ბოლო ხანებამდე) შეუძლებელად მიაჩნდათ სიტყვა ***თევზისთვის*** ეტიმონის მოძიება.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ვერსია კი ასეთია:

ტაბა (დღეს ტბა) → **ტაბისი** (ანუ ტაბა სივრცის ბინადარი) → **ტებისი** (დიალექტ. თებზი) → ***თევზი.***

ფრინველებს რაც შეეხება, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც იმუშავა გადასვლამ **წყალი → ჩიტი,** ოღონდ სხვა გზებით:

- *საითკენაც ფრინველები მიფრინავენ და ირაოს არტყამენ, იქ წყალია;*
- *წყალი → კვერცხი → ჩიტი.*

- **მეექვსე დღე** - ღმერთი ქმნის ცხოველებს და ადამიანს.

გასაკვირი არ უნდა იყოს ვარაუდის გამოთქმა, რომ ძუძუმწოვარ ცხოველთა გარკვეული ნაწილის სახელები ეტიმოლოგიურად *წყალთან* იყოს დაკავშირებული *(რძის „შუამავლობით“),* მაგრამ მეტონიმიისთვის არსებობდა სხვა გზებიც:

ადამიანი, რომელიც თანდათან კარგავს წყლის ობიექტების პოვნის ინსტინქტს, ნელ-ნელა იძენს ასეთ გამოცდილებას - წყალსატევებთან მისასვლელად მიჰყვება ცხოველების მიერ გაკვალულ ბილიკებს და ამავდროულად როგორც **გზის** ცნების, ასევე, **ცხოველების** სახელ-დებისათვის ირჩევს *წყალთან* დაკავშირებულ ტერმინებს:

- **ცხოველი ← ტყე-ველის ბინადარი.** ქართულ ენაში არსებობს კავშირი *ველსა* და *ველურ* სიტყვებს შორის, ხოლო ტოპონიმები *ტყე* და ა.შ., როგორც უკვე აღვნიშნეთ, უშუალოდ *წყლისგანაა* წარმოშობილი, და არა მარტო ქართულ ენაში.

  მაგალითად, ასეთად მიგვაჩნია სლავური ტერმინი **лес.**

  (ეს საკითხები უფრო დეტალურად შემდგომ განიხილება).

- **ცხოველი ← სქესის** მიხედვით **განმასხვავებელი ნიშნები ← წყალი.**

- სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია **მოძრაობის** და, საერთოდ, **ქმედებათა** გამომხატველი ტერმინების ***წყლისგან*** წარმოშობა და აქედან იბადება კიდევ ერთი ვერსია:

  ცხოველი ← მოძრაობა ← წყალი

- **მივედით ადამიანამდე.**

ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა **ადამი** შექმნა **მიწის** მტვრისაგან, რომელიც ღვთისმეტყველთა მიერ გაიგივებულია **წითელ მიწასთან, თიხასთან.** ზოგიერთი ხალხის მითოლოგიაშიც ჩვენი წინაპრის თიხიდან გამოძერწვაზეა საუბარი. ეს ტერმინები *(მიწა, თიხა),* როგორც უკვე აღვნიშნეთ, წყალთან დაკავშირებულ ძირებს უნდა შეიცავდნენ.

თიხის ეტიმოლოგიური კავშირი *მიწასთან* ქართულ ენაში ამგვარადაც ვლინდება:

თხ-ევა (სითხე) / თიხა.

წყალი → ადამიანი ტიპის მეტონიმიისათვის დასაშვებად მიგვაჩნია რამდენი ვერსიის არსებობა. მათ შორის ყველაზე საინტერესოდ მოჩანს შემდეგი შესაძლებლობა - შთაბეჭდილება, რომელიც ადამიანს შეექმნებოდა წყალში საკუთარი გამოსახულების დანახვისას.

იგივე მოტივი შეიძლება დასახელდეს წყლის ფენომენის მეშვეობით შემდეგი ცნებების სახელდებისთვისაც:

თავი, სახე *(ინგლისური* **face***, გერმანული* **Visage***, თურქული* **baška***).*

ხელის სახელდებისათვის კი, ჩანს, სხვა მოტივმა იმუშავა:

სწორედ ხელი იქნებოდა უძველესი ადამიანისათვის **წყლის ამოსაღებად** ყველაზე ადვილად ***„ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი“!***

ასევე, სავსებით ლოგიკურია, რომ ისეთი ტერმინების წარმოშობა, როგორიცაა **ხედვა, მზერა** და ა.შ., დაკავშირებული იყოს *წყლის ცნებასთან.*

დაბოლოს, სამყაროს შექმნის ღვთაებრივი სიმფონია მთავრდება დასვენების დღის - **შაბათის** შემოღებით.

ქრისტიანობისთვის კი **კვირადღე** იქცა დასვენების, რელიგიური რიტუალების შესრულებისა და სახალხო ზეიმების გამართვის დღედ.

ცხადია, რომ ეს დღესასწაულები და კულტების თაყვანისცემა უხსოვარი დროში იღებენ სათავეს.

შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ისინი, ძირითადად, ზეციდან სიცოცხლის მომცემი ტენის - წვიმის წამოსვლის და/ან მზის გამოჩენის, გაზაფხულის დადგომის მოვლენებისადმი ყოფილიყვნენ მიძღვნილი, ასევე, ისიც, რომ იმ პერიოდში წარმოშობილი *სიმღერების, ცეკვების, ლოცვების* აღმნიშვნელ ტერმინებს, საერთოდ, დადებითი ემოციებისა და თვისებების გამომხატველ სიტყვებს ეტიმოლოგიური კავშირი ჰქონდეს ამ დღესასწაულების გამართვის აღნიშნულ მიზეზებთან.

მაგალითად, ნაშრომის პირველ ნაწილში *წყლის ცნებისათვის* ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ მოაზრებული **L*K(S,Z)** სქემის ეგზემპლარი, ძვ. რუს. სიტყვა **LIK** აღნიშნავს *დღესასწაულს, სიხარულს.*

გვსურს, მკითხველის ყურადღება კიდევ ერთ პუნქტზე გავამახვილოთ, რომელიც ბერ იოანე-ზოსიმეს გზავნილს ბიბლიასთან აკავშირებს:

ქრისტიანული რელიგიის შვიდი საიდუმლოებიდან პირველი არის **წყლით ნათლობა.**

შემთხვევითი არ არის მისი გამოჩენა იოანე-ზოსიმეს მცირე ფორმატის მისტიკურ ნაშრომში, რომელშიც, მკვლევართა საერთო აზრით, თითოეული სიტყვა განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია.

...

უფრო სიღრმისეულად განვიხილოთ ენის (ენების) წარმოშობის ჩვენ მიერ შემოთავაზებული *წყლის თეორიის* ავ-კარგი.

საერთოდ, ნებისმიერი ახალი თეორიის ვარგისიანობა ფასდება პრაქტიკაში მისი გამოსადეგობის მიხედვით.

ბუნებრივია, რომ *წყლის თეორიის სიცოცხლისუნარიანობის* შესამოწმებლად ჩვენც ეს გზა ავირჩიეთ.

უპირველეს ყოვლისა, ვცადეთ, აღნიშნულ თეორიაზე დაყრდნობით, წამოგვეყენებინა ეტიმოლოგიური წარმოშობის ვერსიები სწორედ იმ ქართული სიტყვებისათვის, რომლებისთვისაც ამ მიმართებით მანამდე არანაირი ვერსია არ არსებობდა და მეტიც, ქართველი ენათმეცნიერები მათი ეტიმონების ძიებას **სრულიად უიმედო საქმედ** მიიჩნევდნენ!

აქვე აღვნიშნავდით იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც აგრე რიგად დამახასიათებელი არის ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფეროსათვის:

ყოველი სახის ნაღვაწის *(ინსტრუმენტის, კონსტრუქციის, იქნება ეს დანა, ბორბალი თუ თვითმფრინავი)* შექმნისა და სრულყოფის ეტაპებზე

ადამიანი დანიშნულებით და ფორმით მარტივი კონსტრუქციებიდან გადადის უფრო რთულზე და - არა პირიქით!

რაც შეეხება ტერმინების ეტიმოლოგიის დადგენას, არამცთუ არასპეციალისტები, ზოგჯერ ლინგვისტებიც ვერ სძლევენ ცდუნებას, ამა თუ იმ კონკრეტული ტერმინის ეტიმოლოგიის ასახსნელად საზოგადოებას შესთავაზონ რაიმე ეგზოტიკური, განსაკუთრებით „მომხიბვლელი“ ვერსია!

ვთვლით, რომ ეს მიდგომა მით უფრო გაუმართლებელია სიტყვების იმ ფენისთვის, რომელიც კაცობრიობის საწყის ლექსიკას მიეკუთვნება.

ჩვენი რწმენით, უპირველეს ყოვლისა, ესენია ჰიდრონიმები, წყლის ობიექტების *(მდინარეების, ტბების,...)* როგორც ზოგადი, ასევე, შემდგომ პერიოდებში მათი ცალკეული „ეგზემპლარებისთვის“ დაკონკრეტებულები სახელები.

ჰიდრონიმების ეტიმოლოგიის საკითხის კვლევისას ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ, რის შედეგადაც მათი ზოგიერთი, განსაკუთრებით საინტერესო წარმომადგენლისთვის შემუშავებულ იქნა ახალი, ვთვლით, არსებულებთან შედარებით უფრო საფუძვლიანი ვერსიები.

(ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

მაგრამ, ჯერ აღნიშნულ თემასთან მიმართებით მოვიყვანთ ერთ მეტად საინტერესო ფაქტს:

აზიაში მიედინება მდინარე, რომლის სახელი ხუთი მარცვლისგან შედგება, მათგან თითოეული აღნიშნავს ამ მდინარის ნაპირებზე მცხოვრები და/ან უკვე გამქრალი ხალხების ენებზე მ დ ი ნ ა რ ე ს ან წ ყ ა ლ ს!

ეს ინფორმაცია ბევრ რამეს გვამცნობს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მდინარის, არამედ, საერთოდ, ჰიდრონიმების სახელდების პროცესზე, რომელიც ექვემდებარება მათემატიკაში კარგად ცნობილ

დიდი რიცხვების კანონს.

აღნიშნული კანონი ახდენს რა შემთხვევითი პროცესებისთვის დამახასიათებელი ფლუქტუაციების ნიველირებას, წინა პლანზე წამოწევს იმ გლობალურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს მოვლენათა არსს.

რაც შეეხება ლინგვისტიკის სფეროს, ვთვლით, რომ აქ ამგვარი „რყევების“ როლს ასრულებენ ხალხური ეტიმოლოგიები, ზოგჯერ კი - სიტყვების წარმოშობის პოეტურ-ლინგვისტიკური თეორიაც.

ასეთი შემოქმედების მაგალითებად შეიძლება დასახელდეს **მტკვრის** ეტიმოლოგიის თაობაზე არსებული ვერსიები *(განიხილება ქვემოთ).*

აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ ლინგვისტიკაში საერთოდ, და კერძოდ, წყალსატევების (მდინარეების, ტბების და ა.შ.) სახელწოდებათა წარმოშობის დადგენისას უპირატესობა უნდა მიეცეს ზემოხსენებულ კანონზე დაყრდნობას:

კერძოდ, მიგვაჩნია, რომ მკვლევრებმა „სტარტი უნდა აიღონ“ იმ პოზიციებიდან, რომლებიც გაითვალისწინებს უძველესი ადამიანების, ასე ვთქვათ, **ჯამურ მენტალიტეტს** - „ინსტრუმენტს“, გამოყენებულს ამ ობიექტების სახელდებისას.

ლინგვისტებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ ტერმინები, რომლებიც კაცობრიობის საწყისი ენის (ენების) მარაგს მიეკუთვნება და ამასთან, აშკარად ჩანს, რომ ისინი ონომატოპეური (ბგერათმიბაძვის) და/ან შორისდებულების თეორიების მიხედვით არ არიან წარმოშობილი, **არამოტივირებული სიტყვებია.**

იგულისხმება ისეთი სიტუაციები, როდესაც პოეტური აზროვნების მქონე რომელიმე ადამიანს სპონტანურად გაუჩნდა იდეა, ამა თუ იმ ობიექტის, სუბიექტისა თუ მოვლენისათვის ნაჩქარევად მოფიქრებული სახელი დაერქმია.

რამდენიმე მაგალითი ქართული რეალობიდან:

- ცნობილი მეცნიერი წერს, რომ ახლა ვერავინ ახსნის, თუ რატომ დაარქვეს ძველმა ქართველებმა *თევზს* ეს სახელი და არა სხვა. აქვე შევნიშნავთ, რომ ყველა დროის ლინგვისტებიც იმ აზრს იზიარებენ, რომ *თევზის ცნების* აღმნიშვნელ სიტყვები „ბნელი“ წარმოშობისაა.
- კიდევ ერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ დღეს შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რით ხელმძღვანელობდა ჩვენი წინაპარი, როდესაც **მთას** ეს სახელი უწოდა და არა, ვთქვათ, „ამთ“.

ნაშრომის პირველ ნაწილში აღვნიშნავდით, რომ მეცნიერებს (მათ შორის ლინგვისტებს) თავიანთ სფეროში გარღვევების მიღწევაში ზოგჯერ ხელს უშლის მანამდე დაგროვილი ცოდნა და აქ დავუმატებდით - მათ მიერვე **ჭეშმარიტებად მიჩნეული ზოგიერთი დოგმაც.**

ეს თემა დაწვრილებით განიხილება კრეატიული აზროვნების სფეროში მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტის, ამ მიმართულებით 60-ზე მეტი

წიგნის ავტორის, დოქტორ დე ბონო მიერ, ასევე, რიგ სხვა წყაროებში, რომლებშიც განსაკუთრებით რთული ამოცანების გადასაწყვეტად რეკომენდაციები ეძლევა **ინტერ-** და **ტრანსდისციპლინურ** მიდგომებზე დაყრდნობას.

სწორედ ისინი იქნა გამოყენებული ჩვენ მიერ, პირველ ყოვლისა, ზემოთ ხსენებული *თევზი, მთა, თავი* ტერმინების ეტიმონების მოსაძიებლად, შემდგომ კი უძველესი წარმოშობის სიტყვების გაცილებით ფართო არეალისათვისაც - ენათა განსხვავებულ ჯგუფებში შემავალი ტერმინები-სათვის.

ამ სიტყვებისთვის, წყლის თეორიაზე დაყრდნობით, მივიღეთ საკმაოდ არგუმენტირებული ეტიმოლოგიური ვერსიები *(და არა მხოლოდ ჩვენი აზრით).*

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები, ასე ვთქვათ, გენეტიკურად წმინდა ქართული წარმოშობის არ არიან - მათი შემადგენელი **mat** და **t*p** ძირები მიეკუთვნება მეტყველების საწყის ლექსიკას.

სწორედ აღნიშნული მოსაზრების საფუძველზე წამოვაყენეთ სრულიად ახალი ვერსია **ალაჰის** სახელის წარმოშობისათვის [4].

ეს სახელწოდება ათასობით წლის წინ შეიქმნა და შედგება ორი კომპონენტისაგან:

ღმერთი და **წყალი**

და მას ჰქონდა ზეციური ძალისადმი ასეთი მიმართვის სახე:

ღმერთო, [გვიბოძე] წყალი!

ვვარაუდობთ, რომ ამ ფრაზის შემცველი ტერმინები პირველად იმ ეპოქაში წარმოითქმებოდა, როდესაც ენები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდნენ და ცხელი კლიმატის მქონე ადგილებში მცხოვრებ ადამიანებს ხშირად უწევდათ ღმერთისათვის *(ცისადმი, მნათობისათვის)* მიმართვა მათთვის წყლის გამოგზავნის თხოვნით!

საინტერესოა, რომ ამ ვერსიის წამოყენებისას მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია უძველესმა ქართულმა ***ელ*** და ***ლ* ბ*** ტერმინებმა, რომლებიც ამა თუ იმ იმ ასოციაციური მიმართებით სწორედ **ღმერთისა** და **წყლის** ცნებებთანაა დაკავშირებული!

ამასთან, აღნიშნული სიტყვები მსგავსი შინაარსით და ფორმით გვხვდება მრავალ ენაში, ქართული კი მხოლოდ მათი დამაკავშირებლის როლში მოგვევლინა!

ქართველურსა და სხვა ენებს შორის სწორედ ასეთი კავშირების მოძიების ერთ-ერთი პიონერი გახლდათ ნიკო მარი, ამასთან, ის ძალიან ახლოს იყო **წყლის თეორიის ხელახლა აღმოჩენასთან** *(კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ყოველივე ახალი, მართლაც, მეტ-ნაკლებად კარგად დავიწყებული ძველია!).*

მაგრამ, საქმე ისაა, რომ მარი არ იყო, ასე ვთქვათ, ტიპური მეცნიერი; მას შეიძლება იდეების გენერატორიც ვუწოდოთ, ამასთან, გახლდათ საკამათო პიროვნებაც - მხედველობაში გვაქვს მის მიერ საბჭოთა ხელისუფლებისთვის ხარკის გადახდა *(თუმცა არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ მეცნიერმა ეს ნაბიჯი გადადგა, რათა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ განადგურებისგან გადაერჩინა).*

მარს შეეძლო ეთქვა, რომ ენა კლასობრივი პროდუქტია და ამავ-დროულად, შეემუშავებინა ან, სულ მცირე, მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ენების წარმოშობის ჭეშმარიტად ისეთ სამეცნიერო თეორიებში, როგორიცაა:

1. საკულტო თეორია - ენის ქურუმთა მიერ განვითარება.

2. ჟესტების ენა.

მაგრამ გვჯერა, რომ ფრიად ნიჭიერი მეცნიერის ერთ-ერთი დიდი დამსახურება გახლავთ ენათმეცნიერების სფეროში მის მიერ **4-ელემენტიანი დოქტრინის** შემუშავება, რომელიც მოგვიანებით ვისი კრიტიკის საგნად აღარ იქცა მას შემდეგ, რაც ი. ბ. სტალინმა ნიკო მარის მოღვაწეობის შესახებ გამანადგურებელი სტატია გამოაქვეყნა.

შედეგად ლოდი, რომელიც შეიძლებოდა ენის წარმოშობის ახალი თეორიისათვის ქვაკუთხედად ქცეულიყო, უარყოფილ და გადაგდებულ იქნა.

სიტყვებს, რომლებიც მეცნიერმა უცნაურ გირლანდებში განათავსა და თითქმის მთელი მსოფლიოს ენებიდან მოიხმო, ერთი საერთო ნიშან-თვისება ახასიათებდათ - **კავშირი წყლის ცნებასთან.**

. . .

სამყაროში ყველაფერი ვითარდება და ცხადია, ენა გამონაკლისი ვერ იქნებოდა.

ამრიგად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ძველ ადამიანს, რომელმაც თავის ლექსიკონში შეიტანა, დავუშვათ, სიტყვები *„თეთრი“, „შავი“, „დიახ“, „არა“...*, მაშინვე ეფიქრა, რომ ის დაუყოვნებლივ უნდა გაემდიდრებინა, მაგალითად, ასეთი ტერმინებით:

ნაცრისფერი, უთეთრესი, სავარაუდოდ, ალბათ და ა. შ.

და პირიქით, გაცილებით გვიან მოხდებოდა მის თვალსაწიერში მოხვედრილი ობიექტების, სუბიექტების თუ მოვლენებისათვის დამახასიათებელი თვისებების, პარამეტრების სახელდება ასეთი ზედსართავი სახელებით:

ცივი, თბილი, დიდი, პატარა, წყნარი, ნელი, ხმაურიანი, ლურჯი, და ა.შ. (ამ საკითხს დავუბრუნდებით).

შემდეგ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ***წყლის თეორია* უპირატესობას არ ანიჭებს ამა თუ იმ ენას** სხვათა შორის.

ის მხოლოდ მიუთითებს ენათა სამყაროს წარმომშობ **საერთო ფესვზე**, რომელსაც, ჩვენი რწმენით, ძალუძს, სპეციალისტების ხელში არიადნეს ძაფის წვეროდ იქცეს ენათა დღევანდელ უზარმაზარ ლაბირინთში გზის გასაკვლევად.

მიგვაჩნია, რომ ამ თეორიამ წარმატებით ჩააბარა ეფექტიანობაზე გამოცდა, როდესაც ხელშესახები შედეგები მოგვცა, ეტიმონების მიკვლევის თვალსაზრისით, მანამდე „უიმედოდ“ მიჩნეული ტერმინების რიგისათვის.

მაგრამ, ცხადია, რომ კაცობრიობის ცხოვრების წესის განვითარება იწვევდა ენის (ენათა) სამყაროს სრულყოფასაც, მასში რიგი ახალი პლასტების გაჩენას და ოჯახებად დიფერენცირებას.

და ეს ხდებოდა ჯერ კიდევ *წყლის ეპოქაში,* რომელსაც, ჩვენ მიერ შემუშავებული, ენის *(ენების)* წარმოშობა-განვითარების სამსაფეხუროვანი სქემის მიხედვით, კიდევ 2 საფეხური მოსდევს *(მათ მოგვიანებით აღვწერთ).*

მაგრამ, ჯერ საუბარი გავაგრძელოთ კვლავ *წყლის ეპოქაში მომხდარი,* ენასთან დაკავშირებული სხვა პერიპეტიების აღწერით.

ამრიგად, შესაძლებლად ვთვლით, რომ *წყლის ცნება* შედარდეს იმ გასაღებს *(ამოსარჩევ ვარიანტთა დიდი სიმრავლიდან),* რომელსაც ძალუძს გახსნას „ენათა სკივრი“ და იკისროს მისი სათავის როლიც.

ძიებებისათვის მარტივი ლოგიკა იქნა არჩეული - პირველ რიგში, მნიშვნელობისდა მიხედვით, ჩამოვთვალოთ ის პირობები, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის არსებობისთვის:

- **გარემოს ტემპერატურის ნორმალური დიაპაზონი.** ადამიანს არ შეუძლია მზეზე ცხოვრება და დღესაც არ მოსწონს საცხოვრებლად პოლუსები, მაგრამ ამ მხრივ უძველესი ადამიანების წინაშე პრობლემა არ იდგა.
- **ჰაერი.** მისი არარსებობისას ადამიანი რამდენიმე წუთში კვდება. დასკვნა იგივეა, რაც წინა პუნქტისთვის.
- **საკვები.** მისი მოპოვების შესაძლებლობა, ისეთ გარემოში ცხოვრება, რომელსაც მეტნაკლებად შეუძლია ცოცხალი ორგანიზმის საკვებით უზრუნველყოფა, რა თქმა უნდა, სიცოცხლისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. **მაგრამ,** იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანებს უსაკვებოდ თვეზე მეტ ხანსაც გაუძლიათ.
- **დაბოლოს, წ ყ ა ლ ი .** მის გარეშე ადამიანის ორგანიზმს მხოლოდ 5-6 დღე შეუძლია იარსებოს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი შორეული წინაპრები აფრიკაში ცხოვრობდნენ და საკვების მოსაპოვებლად ინტენსიური მოძრაობა უწევდათ!...

ამრიგად, ზემოთ ხსენებული საცხოვრებელი პირობების ანალიზის შემდეგ აშკარა ხდება, რომ პირველყოფილი ადამიანისთვის (და არა მარტო მისთვის) ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო საკუთარი თავის **წყლით უზრუნველყოფა!**

აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ ცხოვრების ასეთ წესს ძირეული გავლენა მოეხდინა ენის ჩამოყალიბების პროცესზეც, მისი პირველადი ელემენტების, სტრუქტურის და ა.შ. ფორმირებაზე!

ზემოთ ნათქვამის დამადასტურებლად მრავალი, მეტნაკლებად არგუმენტირებული მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი:

მაგალითად, უდავოა, რომ ყველა ენაში არსებული, *კავშირთა* აღმნიშვნელი სიტყვები მიეკუთვნება კაცობრიობის ლექსიკის უძველეს ფენას.

ლინგვისტებმა დიდი ხანია, დაადგინეს, რომ ინდოევროპულ ენებში ასეთი დატვირთვის მქონე ტერმინები საერთო წარმოშობისაა.

თუმცა, აქ შეიძლება დაიბადოს სავსებით ლეგიტიმური კითხვა:

„და რა შუაშია აქ წყალი?“

ვთვლით, რომ „წყალსა“ და უამრავ ენაში ყველაზე ხშირად გამოყენებულ „და“ მაკავშირებელ სიტყვებს შორის არსებობს *მშობელი-შვილი* სახის დამოკიდებულება, რაც განპირობებულია იმ შთაბეჭდილებით, რომელიც ადამიანს შეექმნებოდა წყალში საკუთარი თავის ანარეკლის დანახვისას (ტერმინი *თავი* შდრ. *ტაბ* ტერმინს).

ვაგრძელებთ:

1. იგივე დამოკიდებულება შეინიშნება შემდეგ ცნებებს შორის:

   წყალი და **ან** (კავშირი), **წყალი** და **რიცხვი 2** *(განსხვავებულ ენებზე სხვადასხვა ხარისხით),* რაც ასევე წყლიდან ობიექტის გამოსახულების არეკვლის ეფექტის ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

2. ვვარაუდობთ, რომ ბევრ შემთხვევაში სწორედ ეს ეფექტი უნდა ქცეულიყო მთავარ ფაქტორად როგორც **მრავლობითი რიცხვის** აღმნიშვნელი ტერმინების, ასევე, **პირადი ნაცვალსახელების** სახელ-დებისთვის *(საქმე ისაა, რომ მათი შექმნიდან ათასწლეულები გავიდა ...).*

3. ჩანს, სწორედ წყლის **დინებაზე** დაკვირვებამ აფიქრებინა უძველეს ადამიანს, **მოძრაობის** აღმნიშვნელი ცნებებისათვის ისეთი სიტყვები შემოეღო, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ჟღერადობით ძალიან ჰგვანან „წყალს“.

4. განსაკუთრებით საინტერესო *(და დამაინტრიგებელი)* არის ის ფაქტი, რომ *წყლის ცნება* არცთუ იშვიათად გვევლინება ეტიმონის როლში ანტონიმი-ტერმინებისათვის, რომლებიც, ხატოვნად თუ ვიტყვით, ერთმანეთისგან ისე განსხვავდებიან, როგორც - ცა და დედამიწა.

   მაგალითად, ლინგვისტებმა დაადგინეს, რომ რუსულ ენაში სიტყვებს „**начало**“ და „**конец**“ ერთი და იგივე წინაპარი ჰყავთ.

   ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც წყლის ცნება უნდა გამოდიოდეს ორივე ტერმინისათვის მშობლის როლში.

   მართლაც, ტერმინი **к*н,** რომელიც ამ სიტყვების საერთო ფუძედ არის აღიარებული, აშკარად იწვევს ასოციაციებს შემდეგ ფიგურალურ გამოთქმასთან მიმართებით **«канул в воду»**.

ოპოზიციაში მყოფი ამ ელემენტებისათვის საერთო მშობლის გამოძებნის ფაქტს ასე ვხსნით:

ადამიანისთვის, რომელიც მდინარის ნაპირისკენ წყლის დასალევად მიდის, ლოგიკურია, მისი მოძრაობის საბოლოო პუნქტს *დასასრული* ვუწოდოთ, ხოლო, მაგალითად, ზღვაში გასულისთვის - *დასაწყისი.*

შევნიშნავთ, რომ ენების განვითარების პროცესში მოძრაობის მიმართულების განსაზღვრის ფუნქცია რიგ ენებში სპეციალიზებულმა ნაწილაკებმა აიღეს, რის შედეგადაც მოცემულ შემთხვევაში გაჩნდნენ სიტყვები: *при-чал*, *от-чал-ил* და ა.შ.

აქვე გვსურს, ლინგვისტების ყურადღების მივაპყროთ იმ ფაქტზეც, რომ ქართულ ენაში ნაწილაკი **-კენ** ასევე მიუთითებს მოძრაობის ერთ, ხოლო სიტყვა **უ-კან** - საპირისპირო მიმართულებაზე.

5. საინტერესოა, რომ ქართული სიტყვა **ჩალა** აღნიშნავს მდინარის ნაპირებზე მზარდ (მაღალ) ბალახს, ხოლო **ჭალა** (ის სვანურშიც გვხვდება, რაც ამ ტერმინის არქაულობაზე მიუთითებს) - მდინარის მიმდებარედ არსებულ ტყეს.

   და გასაკვირი აღარ უნდა იყოს მოსაზრება, რომ ინგლისური სიტყვები **and** და **end**, რომლებსაც სრულიად განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ, არა მხოლოდ შემთხვევით არ ჰგვანან ერთმანეთს, არამედ ისიც, რომ ისინი საერთო ინდოევროპული ძირიდან მომდინარეობენ.

   ზემოთქმულის უფრო მყარად დასაბუთებისათვის შესაძლებელია შემდეგი დამატებითი არგუმენტების მოხმობაც: სიტყვა **and**-თან მიმართებით ლინგვისტებს წამოყენებული აქვთ ბევრი, ამასთან, ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები და იგივე ითქმის **end**-ის ეტიმო-ლოგიის თაობაზეც.

   თუმცა, წყლის თეორიისთვის ზემო ხსენებულ ზოგად წანამძღვრებზე დაყრდნობით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფრანგული **onde** მომდინარეობს ლათინური **unda**-დან *(ტალღა, წყალი),* და თუ ჩავუფიქრდებით, საიდან შეიძლება მომდინარეობდეს **ant** სიტყვა, ვფიქრობთ, სურათი გაცილებით ნათელი ხდება.

6. ფაქტმა, რომ *წყლისა* და *სიცოცხლის* ცნებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, განაპირობა სხვადასხვა ენაში მრავალი ისეთი სიტყვის

არსებობა, რომლებიც მეტყველებენ ამ ცნებებთან დაკავშირებულ დადებით ემოციებზე; ხდება მათი ღვთის საჩუქართან გაიგივებაც კი.

თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს - კაცობრიობას არაერთხელ უწვნევია თავის თავზე წყლის დამანგრეველი ძალაც, პირველყოფილ ადამიანს კი - მისგან „მოტყუება“ და „დაცინვაც“, როდესაც ის წყლის სარკეში გამოსულ **შებრუნებულ** გამოსახულებში *(მით უფრო ამ სარკის ზედაპირის შერხევისას) მაცდურ და ბოროტ სულებს „ხედავდა“.*

სწორედ ასეთი აღქმების შედეგი გამოსჭვივის უარყოფითი პერსონაჟებისთვის შერქმეულ სახელწოდებებში:

ხიბალ-კუდიანი, леший, оборотень, ведьма.

სავარაუდოდ, წყლის თვისებამ - ასახავდეს ყველას და ყველაფერს, ადამიანი მიიყვანა იმ აზრამდე, რომ ფიზიკურის გარდა, არსებობს კიდევ ერთი, სულების სამყარო.

შევაჯამოთ ამ თავში ნათქვამი:

- უძველესი ადამიანი, რომელიც ცხელი კლიმატის მქონე რეგიონებში ცხოვრობდა და ძირითადად შემგროვებლობითი საქმიანობით იყო დაკავებული, საკვების საძიებლად ხშირად წყლის ობიექტებიდან დაშორებულ ადგილებშიც ხვდებოდა და, ბუნებრივია, რომ მისთვის ადგილმდებარეობაში კარგად გარკვევის უნარი მეტად მნიშვნელოვანი თვისება ხდებოდა.

  დავსვათ კითხვები:

  ტრიალ ველზე ყოფნისას რომელი მიმართულებით აირჩევდა ის გზას და რა შეიძლებოდა ყოფილიყო ორიენტირი წყლის მოსაძიებლად?

  ცხადია, ადამიანი იქეთკენ გაემართებოდა, სადაც მოჩანდა:

  მთები და/ან ტყეები;

  ცხოველების მიერ გაკვალული გზები;

  სივრცე, სადაც ფრინველთა გუნდები წრეებს არტყამდნენ!

  ხომ სწორედ ამ ადგილებში შეიძლებოდა წყურვილის მოკვლა!

- ჩვენი ვარაუდით, ძველი ადამიანი, თავისი ინტელექტუალური შრომის გასაადვილებლად ყოყმანის გარეშე მიმართავდა მარტივი სახის მეტონიმიას და (თითქმის) ყველა ზემოთ ხსენებულ ობიექტს, *მთებს, ტყეებს, გზებსა* და *წყალსატევების მიმდებარე ტერიტორიებს,*

ასევე თითქმის *ყველა ცოცხალ არსებას* ნათლავდა *წყლის ცნებასთან* დაკავშირებული სახელებით.

- უძველეს ეპოქებში ჰიდრონიმები იქმნებოდა არა ზედსართავი სახელების გამოყენებით, არამედ ხდებოდა პირიქით - *ტბების, მდინარეების* თვისებებზე დაკვირვების შედეგად წარმოიშობოდა შესაბამისი ტერმინები.

  მაგალითი:

  ვთვლით, არა *მტკნარი* ტერმინმა "დაბადა" *მტკვარი,* არამედ მოხდა პირიქით.

  (მტკვრის ეტიმოლოგიის საკითხს ქვემოთ განვიხილავთ უფრო დაწვრილებით).

- ფრიად საინტერესოდ ჩანს სიტყვა „ქიმიის“ წარმოშობის საკითხიც.

  დღეს ეს ტერმინი ძვ. ბერძნულ წარმოშობისად მიიჩნევა და მის ეტიმონად ითვლება სიტყვა χυμός ანუ "წვენი".

  ჩვენი ვარაუდით, საქმე რამდენადმე სხვაგვარადაა:

  - ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ტერიტორიების აღმნიშვნელი მრავალი ტერმინის ეტიმონი არის *წყლის ცნება* და მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის, **ხ*მ** მარცვლის ბაზაზე შექმნილ მაგალითად მოგვყავდა სიტყვა **ხმელეთი.**
  - აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ ამ საწყისი, წყლის ცნების აღმნიშვნელი უძველესი წარმოშობის მარცვლის შთამომავლებია ტერმინები: **ხმა, ხმაური.**

    ასეთი გადასვლის მექანიზმის არსი ადვილად ასახსნელია სხვა ენებიდანაც შესაბამისი მაგალითების მოხმობით:

    სლოვენ. **šûm**-თან „შრიალი, ჩანჩქერი“; არ გამოვრიცხავთ ასეთ მეტონიმიასაც - **рокот** ← **река**.

  ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, ლოგიკურად მიგვაჩნია, რომ **ქიმიაც** უძველესი წარმოშობის სიტყვაა და ეტიმოლოგიურად წყლის ცნებასთანაა დაკავშირებული.

  ამასთან, მედიცინის სფეროში გაწაფულ ქართველებს სხვა ტერმი-ნებიც გვაქვს, რომლებიც წამოყენებულ მოსაზრებას ამაგრებენ:

  ხამს, შეხამება, გახამება.

- *წყლის ცნების* საფუძველზეა წარმოქმნილი ის სიტყვებიც, რომლებიც სხვადასხვა ენაში მხედველობასთან და/ან მის „ინსტრუმენტ“ თვალთან არის დაკავშირებული:

  ხედ-ვა, ყურ-ება, თვალი, დათვალიერება *(← *tab),* ***вид-еть, vision.***
- მეცნიერებმა დიდი ხანია შენიშნეს, რომ ინდოევროპულ ენებში **წყლისა** და **ხელის** ცნებები ერთმანეთთანაა კავშირში *(და არა მარტო ამ ენებში).* ძველი ადამიანის ლოგიკა იყო მარტივი - ასეთი მეტონიმიის საფუძველი გახლდათ *ხელის* მიჩნევა *წყალსატევიდან წყლის ამოღების* ყველაზე მოხერხებულ, მუდამ „განკარგულებაში მყოფ“ საშუალებად.
- ამრიგად, ადამიანმა თანდათანობით დააგროვა მრავალი ტერმინი, ეტიმოლოგიურად წყალთან დაკავშირებული!

  და ეს სულაც არ არის გასაკვირი - ცნობილია, რომ:

  ბერბერებს თავიანთ ენაში რამდენიმე **ასეული ტერმინი** აქვთ, რომლებიც **აქლემის ცნებასთან** ასოცირდება;

  ასეთივე სიტუაციაა **თოვლთან** დაკავშირებით **ესკიმოსებთან:**

  მათ ერთი ტერმინი აქვთ დღეს მოსული თოვლისთვის, მეორე - გუშინდელისთვის, მესამე - სახურავზე დაფენილისა და მეოთხე - მიწაზე დაყრილისთვის!

  ცხადი ხდება, რომ ენების ჩამოყალიბების უხსოვარ ეპოქაში ზუსტად ასეთი სიტუაცია იარსებებდა წყალთან მიმართებითაც!

თავს ვაბოლოვებთ ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის სიტყვებით:

„წყალო, შენ არ გაქვს გემო, ფერი, სუნი, შეუძლებელია შენი აღწერა, შენით ტკბებიან იმის ცოდნის გარეშეც, თუ ვინ ხარ. არ შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ სიცოცხლისთვის ხარ აუცილებელი:

თავად სიცოცხლე ხარ და გვავსებ ისეთი სიხარულით, რომლის ახსნაც გრძნობებით შეუძლებელია... გვანიჭებ უსასრულოდ მარტივ ბედნიერებას“.

თავი II

„ჩაიხედეთ საკუთარ სულებში და იპოვეთ ჭეშმარიტების ნაპერწკალი, რომელიც ღმერთებმა ყველა გულში ჩადეს და საიდანაც მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ცეცხლის გაღვივება.“

სოკრატე

გადავდივართ ენის წარმოშობა-განვითარების სამეტაპიანი სქემის მეორე პუნქტზე - **ადამიანის მიერ ცეცხლის მოთვინიერებაზე.**

ცეცხლის ფენომენთან ასოცირებული ტერმინების ეტიმოლოგიაში გასარკვევად, ასევე, უძველესი ადამიანების მიერ მისი მოპოვების მეთოდების გასაგებად, საჭირო არ გახლავთ, წარმოდგენით პრეისტორიულ ეპოქაში გადავინაცვლოთ:

დღესაც კი ზოგიერთ ტომში ადამიანები ცეცხლს ისევე ანთებენ, როგორც ჩვენი შორეული წინაპრები, რაც ამ ამოცანის გადაჭრას ბევრად გვიადვილებს.

ჩამოვთვალოთ ცეცხლის გაჩენის ეს ხერხები:

- *ხის ერთი ნაჭრის (ჩხირის) მეორეზე დახახუნება;*
- *კაჟის ქვის ნატეხების ერთმანეთზე დარტყმები;*
- *დაფაზე ჩაღრმავებაში კარგად გამომშრალი, მაგარი ხის ჯოხის განთავსება, რომელსაც ადამიანები ხელისგულებით ინტენსიურად ატრიალებენ ხან ერთი და ხან მეორე მიმართულებით, ხახუნის ადგილას კი ყრიან მშრალი ბალახის და/ან ხის ქერქის მტვერს.*

ჩამოთვლილი ქმედებების სახელდებისთვის განკუთვნილი ტერმინების მოძიების დაწყებამდე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ ყურადღება მახვილ-დებოდა შემდგომ გარემოებაზე:

ასეთი სიტყვების სტრუქტურა და სავარაუდო ენათაშორისი კავშირები იმ შორეულ წარსულზე უნდა მიგვითითებდეს, როდესაც ენები, დღეს სხვადასხვა ოჯახს მიკუთვნებულებიც, დიდად არ იყვნენ ერთმანეთისგან დაცილებულნი.

- სიის პირველი პუნქტისთვის ქართული ენის სამყაროდან ამ საქმიანობაზე „ეჭვმიტანილად“ მივიჩნიეთ შემდეგი ორმაგფუძიანი სიტყვები:
  - *ჩახჩახ-ი (შდრ. ჩხირი),*
  - *ცახცახი (ცხელი, ჩხირი);*
  - *პარპალი - (пыл, пылать ფერფლი, пе(р)пел, пурпур, пыль - მასალა და შედეგიც).*
- რაც შეეხება მეორე პუნქტს, ამ მიმართებით ინტერესს იწვევს ტერმინი **კაშკაში.** ჩვენი აზრით, მისი ფუძე დროთა განმავლობაში შეიცვალა, კერძოდ, თავდაპირველი **კაჟ** სიტყვა **კაშ**-ად გადაკეთდა.
- მესამე პუნქტი, ლოგიკურია, წარმოდგენილი იყოს კომპოზიტი სიტყვებით.

  ვთვლით, რომ შესაბამისი ტერმინები უნდა შედგებოდეს დაპირის-პირებული ობიექტების *„ერთიანობად და ბრძოლად“* სახელდებულ მოქმედებაში მონაწილე აქტორთა სახელებისგან.

  და აქ აშკარად იკვეთება კავშირი **ინ** და **იან-**ის ჩინურ მოძღვრებასთან.

  საერთოდაც, ფილოსოფიური აზროვნება სამყაროსათვის დაწესებული უნივერსალური კანონის აღსრულებას ხომ მისი შემადგენელი, დაპირისპირებაში მყოფი ელემენტების ერთმანეთთან ბრძოლის სცენარებში ხედავს.

  ჩვენი დაკვირვებით, ქართულ ენაში არსებული ბევრი ტერმინი მეტყველებს სწორედ ამგვარი სახის დაწყვილებაზე:

  - სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ცეცხლის დანთებისას გამოწვეულ ვიზუალურ ეფექტს *(ნათებას და ა.შ.)*:

    ბ(*)რ+წ(*)ყ-ინვა, ბ(*)რ+ჭ(*)ყ-ვიალი, ბ(*)რ+დ(*)ღ-ვიალი;
  - ცეცხლის დასანთებად მოსამზადებელი პროცედურები *(მსხვრევა, შესაფერისი მასალის მტვრად გადაქცევა)*:

    ბ(*)რ+დ(*)ღ-ვნა, ბ(*)რ+წ(*)კ-ენა, ფ(*)რ+ჩ(*)ხ-ვნა;
  - ფრჩხილი: *ფ(*)რ+ჩ(*)ხ-ილი* - უმარტივესი "ინსტრუმენტი" მტვრის მისაღებად;
  - ტერმინები, რომლებიც აღნიშნავს შედეგებს ანთების ან წვის მომენტში:

    *ნა-პერ-წ*კ-ალი, ბურ-ჯ*ღ-ული (დიდი ნაპერწკალი),* ასევე, - ასოციაციით: *ბორ-ჯ*ღ-ალი (მზის ერთ-ერთი სახელი), ბა-ჯაღ-ლო*

(უმაღლესი სტანდარტის ოქრო), ბარ-ცხ-ალა (კაშკაშა მზის ეპითეტი), ვერ-ცხ-ლი...

- კიდევ ერთი დეტალი: არქეოლოგების დაკვირვებით, რადგან ძველი ადამიანებისთვის ცეცხლის დანთება არც ისე იოლი საქმე იყო, ისინი ნაკვერცხალს, მუგუზალს მუდმივად ინახავდნენ კერიაში და მეზობლებსაც ათხოვებდნენ ხოლმე.

  აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ქართულ ენაში არსებობდეს კავშირი *ცეცხლისა* და *სესხ*ის *(ანუ ვალის აღმნიშვნელ)* ტერმინებს შორის.

ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებში პირველი **ბ*რ** ნაწილი აღნიშნავს **ია ნ** -ს, სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი მეორე კი - **ინ** -ს.

ცეცხლის მოპოვება კაცობრიობისათვის იმდენად დიდი მიღწევა იყო, რომ ის ღვთის ნების საწინააღმდეგოდ შესრულებულ ქმედებადაც კი მიიჩნეოდა!

და აქ უნდა გავიხსენოთ **პრომეთე,** რომელიც მკაცრად დაისაჯა ამ „დანაშაულისთვის“, იგივე **ამირანი** ქართული მითოლოგიიდან.

განვიხილოთ ამ სახელების ეტიმოლოგიის საკითხიც:

ითვლება, რომ სახელი **პრომეთე** ნიშნავს „წინასწარ ფიქრს“ *(მისი ძმის, ეპიმეთეს სახელისგან განსხვავებით, რომელიც „ქმედების შემდგომ ფიქრის“ აღმნიშვნელია).* არ გამორიცხავენ ამ სახელის წარმოშობას სანსკრ. „პრამანტასაგანაც“ - ნიშნავსო გმირის მიერ ცეცხლის დასანთებად გამოყენებულ ჯოხს.

ჩვენი ვერსია კი ასეთი გახლავთ:

ძალიან შორეულ წარსულში, მაშინ, როდესაც ხალხები და ენები არ *(ან არც ისე)* დაყოფილი იყვნენ, სწორედ ზემოთ ხსენებული **ორი ელემენტი განსაზღვრავდა ცეცხლის მისაღებად განკუთვნილი მოწყობილობის სახელს,** რომელიც შემდგომ, მეტონიმიის წესით, „პროფილურ“ ღვთაებებზეც გადადიოდა.

ვვარაუდობთ, რომ უძველეს ეპოქაში აღნიშნული მოწყობილობის და პირველი ღვთაების სახელი ჟღერდა როგორც **BOR-MOT,** შემდეგ კი მისგან წამოვიდა ტერმინები, რომელთა ეტიმოლოგიური წარმოშობა ამჟამად გაურკვევლად ითვლება.

ჩვენ მათ ამგვარად განვმარტავთ:

ბუტბუტი - თანმხლები ლოცვა ასეთ „ღონისძიებებზე“;

ბჟუტური, ბჟოტიალი (შდრ. ბჟუტვას);

ბოროტი (←ბორ(მ)ოტ), შდრ. ბოროტ-ება (ბოროტ-ი, ბოროტ-ება) *(საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულების ცვლილება ხომ დამარცხე-ბულთა ხვედრია)* და შესაძლოა, - **ბრმაც**.

რაც შეეხება სახელ „ამირანს“, ჩვენი აზრით, ეს სიტყვაც კომპოზიტია და, სავარაუდოდ, შეიცავს ***მზისა*** და ***მთვარის*** უძველეს სახელწოდებებს.

გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ქართულ მითოლოგიაში ეს ციური სხეულები ამირანის მხრებზეა დავანებული) [5].

დროთა განმავლობაში ადამიანის მიერ ცეცხლის თაყვანისცემა რელიგიის სახეს იღებს, მაგალითად, მაზდეიზმში; მსგავსი კულტები ევროპელ ხალხებშიც გვხვდებოდა – რომაელებსა და ირლანდიელეთან [6].

შემდეგ, ასევე სავარაუდოდ, ცეცხლის მოპოვების ეს მთავარი **BOR-MOT** საშუალება გახდა არა მხოლოდ ამ ფენომენის, არამედ ანალოგიით, სიცოცხლის წარმოშობის სიმბოლოც ბისექსუალი ღვთაებების ფენომენის სახით.

საქართველოში ამ კულტის არსებობას მოწმობს არქეოლოგიური გათხრებისას საცხოვრებლებში **ბუხრებთან** სიახლოვეში აღმოჩენილი ფიგურები. ბევრი ასეთი სახის ექსპონატი ინახება ჩვენი ქვეყნის მუზეუმებში [იხ. დანართში სურ. 1].

კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას გვსურს, გავუსვათ ხაზი:

ცეცხლის მიღების აღნიშნული მოწყობილობა და **ბორბალი** - ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების გამოვლინების ის მწვერვალი, რომელსაც ბუნებაში ანალოგი არ გააჩნია, სტრუქტურულად ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ლინგვისტები ეტიმოლოგიურ კავშირს ხედავენ ქართულ ბორბალსა და ბასკურ **borobil** (მრგვალი) ტერმინებს შორის.

შემდგომმა ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ქართული სიტყვა **ძროხა**, რომლის უფრო ადრინდელი ფორმაა **ზროხა** *(ის თანამედროვე ქართულში აღარ გამოიყენება),* შთამომავალი გახლავთ იმ ***ზორ-ხარ** კონსტრუქციისა, რომლის კომპონენტების მნიშვნელობები გაცილებით ნათლად იკვეთება.

სულხან-საბა თავის ლექსიკონში „ზრობას“ განმარტავს, როგორც ზოგად სახელს ორივე სქესის ცხოველისათვის!

ამ ინფორმაციის საფუძველზე ადვილდება იმის გააზრება, რომ **ზორ-ხარ* კომპოზიტში მეორე ადგილზე მყოფი კომპონენტი არის **ხარი** *(დღევანდელი მნიშვნელობითაც).*

რაც შეეხება **ზორ**-ს, ის ფაქტი, რომ მეგრულსა და სვანურში *ზურ (ზორ)* ტერმინი მდედრობით სქესს აღნიშნავს, წამოყენებული ჰიპოთეზის დამადასტურებელი კიდევ ერთი არგუმენტი გახლავთ.

მცირე დაკვირვებაც და მივდივართ **ZERO** ტერმინამდე, ხოლო ამ და კომპოზიტის მეორე, **ხარ** კომპონენტის ეტიმოლოგიური წარმოშობის ანალიზს მივყავართ ზემოთ ხსენებულ ჩინურ **ინ** და **იან** მოძღვრებასთან მათი კავშირების მოსაზრებამდეც!

წამოყენებული არგუმენტები გულუბრყვილოდ არ უნდა გამოიყურე-ბოდეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ადამიანებმა მეცხოველეობას იმ ეპოქაში მოჰკიდეს ხელი, როდესაც ენები ჯერ კიდევ არ იყვნენ ასე ძლიერ დიფერენცირებული და მათ, მაინცადამაინც, არც მორალი უშლიდა ხელს, *„საგნებისათვის თავისი სახელი დაერქმიათ“.*

შენიშვნა: ცნობილია, რომ მოლეკულებში ატომები ქმნიან ნივთიერებებს, რომელთა თვისებები ფუნდამენტურად განსხვავდება ამ კომპონენტების თვისებებისგან. შესაბამისად, ცოტა ფანტაზიაც და დარწმუნებულები ვართ, რომ ადამიანი ადვილად გაიხსენებს ამგვარივე წარმოშობაზე „პრეტენზიის მქონე“ ტერმინებს. დავასახელებთ რამდენიმე მათგანს:

არმატურა, არმადა, ჰერმეტი (აქვე, ღერმათიც - ქართული ღვთაების სახელი), შესაძლოა - გერმანია, ჰელმუტი და კარმა,..

თავის ბოლოს პატივს მივაგებთ მისტიკურ კომპონენტსაც:

1. მორწმუნეები, მიუხედავად მათი რელიგიური კუთვნილებისა, ზეციურ ძალებს სანთლის ანთებით მიმართავენ.

2. ერთ-ერთმა დიდმა და ამავდროულად ყველაზე იდუმალმა მეცნიერმა ნიკოლა ტესლამ *ცეცხლი (პლაზმა)* ცოცხალ არსებად აღიარა.

3. საინტერესოა, რომ ქართულ ენაში გარკვეული კავშირი შეინიშნება *ცეცხლ* და *ცოცხალ* ტერმინებს შორის.

თავი III

ადამიანი აშენებს სახლს, მკვიდრდება ადგილზე ...

„უფლისაი არს ქუეყანაი და სავსებაი მისი, სოფელი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას რამეთუ მან თავადმან ზღუათა ზედა დააფუძნა იგი და მდინარეთა ზედა განამზადა იგი.“

ფსალმუნი 23:1-2

ამ თავში, ენების წარმოშობის შესახებ შემოთავაზებული თეორიის ბოლო პუნქტის საფუძველზე დაყრდნობით, რიგი სიტყვებისათვის განიხილება ეტიმოლოგიური წარმოშობის ახალი ვერსიები როგორც ქართულ, ასევე,- სხვა ენებში.

ტერმინებისათვის ეტიმონების მოძიების პროცესში ვიყენებდით **ინტერ-** და **ტრანსდისციპლინურ** მიდგომებს:

კვლევებისათვის საჭირო ინფორმაციას მოვიპოვებდით ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროდან, მათი ანალიზის შემდეგ კი საბოლოო გადაწყვეტილებების მისაღებად მივმართავდით იმ მეთოდებს, რომლებსაც იყენებენ სისტემური ანალიტიკოსები კომპიუტერული სისტემების დაპრო-ექტებისას.

ესენია:

დოქტორ დე ბონოს ექვსი ქუდის და Cort, ასევე, დელფის, ტვინების შეტევის, ანკეტირების მეთოდები და სხვ.

ასეთი მიდგომები დაგვეხმარა არა მხოლოდ ძიებებისათვის მნიშვნელო-ვანი ფაქტების მოძიებაში, ასევე, - შემოთავაზებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის შეფასებაშიც, კერძოდ, ჰიდრონიმების, ტოპონიმების და თეონიმების აღმნიშვნელ ტერმინთა რიგისათვის მათი ეტიმოლოგიური წარმოშობის შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმული ჰიპოთეზების საფუძვლია-ნობის გადამოწმებაში...

ვიწყებთ იმ ფაქტის კონსტანტირებით, რომ ლინგვისტები ტოპონიმებს სამ ჯგუფად ყოფენ:

მიკრო-, მაკრო- და საკუთრივ ტოპონიმებად *(ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ჰიდრონიმებიც ამ ჯგუფებს მიეკუთვნება).*

სწორედ ისინი ქმნიან ენების იმ უზარმაზარ ფენას, რომელიც 2-3-ჯერ აღემატება კონკრეტული ენის ლექსიკის შემადგენელი ტერმინების რაოდენობას.

სპეციალისტების სავარაუდო შეფასებით, საქართველოში მათი რიცხვი, სულ მცირე, 250 ათასია, ხოლო, მაგალითად, შვედეთში - 12 მილიონი! [В. А. Никонов. Введение в топонимику, М., 1965].

მათი სახელდების პროცესზე, როგორც წესი, არაერთი კანონზომიერება ახდენდა გავლენას.

პირველ თავში ხაზი გავუსვით და შევეცადეთ, დაგვედასტურებინა, რომ

ენის (ენების) წარმოშობაში ათასწლეულების მანძილზე *წყლის ფენომენი* ასრულებდა წამყვან როლს.

ამრიგად, ძიების არეალი მონიშნული გვქონდა - საწყისი ტერმინების ფენა მრავალ ენაზე, დაწყებული მკვდარი ენებით.

სწორედ, მათში უნდა ვეძებოთ ამოსავალი წყარო იმ უზარმაზარი ოკეანისა, რომელსაც ადამიანის მეტყველებას ვუწოდებთ!

მართლაც, რადგან ადამიანები მუდმივ საცხოვრებლად წყალსატევებთან ახლომდებარე ტერიტორიებს ირჩევდნენ (და ირჩევენ), ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ამ ადგილების სახელებსა და წყლის ცნებას შორის უნდა არსებობდეს შესამჩნევი კავშირები, ამასთან, - არა მხოლოდ მათ შორის!

ნაშრომის პირველ ნაწილში აღვნიშნავდით, რომ, პრინციპში, აზრი აქვს წყალთან დაკავშირებულ წარმოშობაზე შემოწმდეს შემდეგი კონსტრუქციის ნებისმიერი მარცვალი:

(თანხმოვანი) + ხმოვანი + (თანხმოვანი).

ასარჩევი ვარიანტებიდან, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო **L(R)*K(G,…)** კონსტრუქციამ და მივიღეთ ეს შედეგები:

- *LAK → lūx (ლათ. სინათლე), ლაშა (მანათობელი), луч, лакать, лакомый, лик (ликовать), лик (лицо), лик (როგორც რიცხვი), лук (მცენ.), лук (იარაღი. როგორც ჩანს, სახელი ფორმის გამო მიეცა), лукавый (შდრ. лукавъ-ს, ნიშნავს დაკლაკნილს (მდინარის დინებას));

лагун (1. ხის ჭურჭელი სითხისათვის, 2. მეტალისგან დამზადებული სასმელი წყლის შესანახად), лагуна, лекарь (← *lěkъ – მიქსტურა), лизать, ложь, ложка, лажа, луг, лужа, лицо, лох (ბუჩქნარი), лох (=лосось), лосось (← თოხარ. laks «рыба»), лещ, лес, лоза, лазить, лишь (შდრ. ძვ.-რუს. лише – «больше, кроме»), лишний, лысый, лесо (ძვ.-რუს. – ტბა), леший, лежать, ложе, лоск, ласкать, ликер, liquid (ინგლ. სითხე), Lake (ინგლ. ტბა), lacus (ლათ. ტბა, ორმო), like (ანგლ. მსგავსი), lakus (ლათ. ტბა), lucus (ლათ. კორომი), lose (ანგლ. დაკარგვა), lecken (გერმ. 1. ლოკვა, 2. დინება), lassen (გერმ. გაშვება, ნების მიცემა), lösen (გერმ. სითხეში გახსნა), leche (ესპ. რძე);

წყალსატევები: ლისის ტბა, მდინარეები ლაკბე, ლასილი, ლასკადურა, ლაშიფსა, ლაზვიანი, ლაზვიანთხევი, ლაკათხევი, ლახამი, ლიქოკი, ლეხურა ლოჭინი, ლუხუნი, ლუხუტა;

ლოკვა, ლიც (სვ. – წყალი, ლიცლიცი, ლიკლიკი, ლოყა, ლაკანი, ლეკნა (დიდი თეფში), ლაყვა (ტბორი), ლაჟი (თევზი), ლასლასი, ლაკლაკი, ლაღლაღი, ლახლახი, ლაყაფი, ლაშლაში, ლუღლუღი, ლაქლაქი, ლაში (სათესი ადგილი), ლისი და ლაქაში (წყალსატევებთან მცენარეები), ლიხი (მაღალი ბალახი), ლაღობა (შდრ. ликовать), ლაკლაკა (წყლით გაჯერებული საჭმელი), გა-ლაყ-ება, ლაში (ტუჩი), ლეზვი, წა-ლეკ-ვა, ლეჟერი (ნედლი შეშა), ლექა (გადამთვრალი, შდრ. გა-ლეშ-ილი), ლეღმა (დნობაშემდგარი თოვლი), ლეშტერი (წვიმა სეტყვით), ლეშხი (წვეთადი ნამი), ლეში (სომხ. მძორი, შდრ. სხეული))ლიქნა, ლაქუცი (შდრ. льстить, ласкать), ლეკეონი (სომხ. მითოლ. დედამიწას შემოხვეული უზარმაზარი თევზი), ლოკოკინა, ლოქორა, ლოქო; ლოცვა, ლუწი, ლხინი, ლხენა, ლხობა, ლეღვი;

მდინარეები რუსეთში: Лаке, Лис, Лиса, Луха; საფრანგეთში Lys, პოლონეთში ლაგოვიცა; location (ინგლ. ადგილმდებარეობა), look (ინგლ. – ხედვა), lux (ლათ. სინათლე), lusin (სომხ. – მთვარე), лошадь; ликъ (რუს. ეკლესიური – собрание, сонм, множество), лик (გამოსახულება, ხატი), lice (ჩეხ., პოლონ. – «ლოყა, სახე», ликъ (ძვ.

რუს. - ликовать), лик (უკრ. – კრება), лик (ბულგ. – ქორო), laiks გოთ. – ცეკვა);

- რიყე, რაკრაკი, რიკრიკა (მდინარის მიერ ნაპირზე გამოტანილი ფიჩხი), გამო-რიყ-ვა, ა-რეკ-ვლა, როყიო (როყიოდ ნასროლი), გა-რეკ-ვა, რეცხვა, ძვ. ქართ. რეცა (ვითომ), რქა, რაში; Rocín (ესპ. - «მუშა ცხენი»);

  ტოპონიმი რიგა (ეტიმოლოგიურად უკავშირებენ ამავე სახელის მქონე ჰიდრონიმს), река, рак, ракушка, роса, роща, рост, მდინარე რუსეთში Рака; резать, рушить, рисовать, рык, рука (შდრ.: პეშ-ვი, მ-ტევ-ანი) рукав, рог (როგორც „ჭურჭელი“), рок და მეტად საინტერესო სიტყვა срок. სპეციალისტებისაგან, მაგალითად, მ. ფასმერისაგან განსხვავებით, ვთვლით, რომ ამ ტერმინის ეტიმოლოგიური წარმოშობა სხვა განზომილებაშია საძებნი, კერძოდ, განსახილველია მისი კავშირი ტერმინებთან: сорок და კარანტინთან (← (იტალ.) quaranta – «ორმოცი»), ამასთან ერთად, - არა მხოლოდ სამედიცინო კუთხით!

  ricochet (ფრ. თამაში წყალზე ქვების გასროლის სახით), rōcas, rōcí (ძვ.–ინდ. «სინათლე, ბრწყინვა»); როკი (ცენტრალური ელემენტი მზის საათისათვის); ძვ. ქართ. როკვა, rock (ინგლ. – საცეკვაო მუსიკა) და უკრ. рік (წელიწადი).

რა თქმა უნდა, წყლის ცნებასთან ამა თუ იმ ასოციაციური სახის კავშირები შესაძლებელია, ბევრი სხვა ტერმინისთვისაც ვეძებოთ, მაგრამ, ადრე ნათქვამი გავიმეოროთ, უკეთესი იქნება, თუ ასეთი ამოცანების გადაწყვეტას პროფესიონალები შეეცდებიან, ამასთან, - პროგრამული ინჟინერიის დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობის გზით *(ამ თემას დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ).*

...

ამჯერად უფრო დეტალურად განვიხილოთ ჰიდრონიმების ფორმირების საკითხი და წარმოვადგინოთ წყლის ობიექტებისათვის როგორც ზოგადი, ასევე, კონკრეტული სახელწოდებების წარმოშობის ზოგიერთი ვერსია.

განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ხელახლა მოვიყვანოთ ციტატა პირველი თავიდან:

„აზიაში მიედინება მდინარე, რომლის სახელი ხუთი მარცვლისგან შედგება, მათგან თითოეული ამ მდინარის ნაპირებზე მცხოვრები და/ან უკვე გამქრალი ხალხების ენებზე აღნიშნავს მ დ ი ნ ა რ ე ს ან წ ყ ა ლ ს!“

ეს მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ათასწლეულების განმავლობაში ადამიანები წყლის ობიექტების სახელდებისათვის უკიდურესად მარტივ ალგორითმს იყენებდნენ:

მდინარე (წყალი) ერთი ან მეორე ტომის ენაზე + მდინარე (წყალი) მეორე ტომის ენაზე + ...

გადიოდა ხანი და ერთი ხალხი მეორეს ცვლიდა, რაც აისახებოდა მდინარეთა სახელწოდებებზეც!

ქვემოთ განვიხილავთ წყალსატევების სახელდებისათვის სხვა მოტივებსაც, აქ კი აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მდინარის ზემოთ ხსენებული ხუთკომპონენტიანი სახელი გამონაკლისი შემთხვევაა, მის მაგალითზე ადვილად ვლინდება ამ მოვლენისათვის დამახასიათებელი ზოგადი ტენდენცია, კერძოდ, ის, რომ **საქართველოში უამრავი მდინარეა,** რომელთა სახელწოდებები **ორი კომპონენტისგან შედგება;** ვხვდებით სამკომპონენტიან სახელწოდებებსაც *(რა თქმა უნდა, გაცილებით იშვიათად, რაც გასაგებია).*

მათგან მოგვყავს მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

- ორკომპონენტიანთა სახელები: ადიშისჭალა, ავნისხევი, არხოტისწყალი,… ბახვისწყალი,... გუბისწყალი,... ორწყალი,... წყალტუბო,... ხობისწყალი;
- სამკომპონენტიანები: შავწყაროსწყალი, წყალტუბოსწყალი.

ჰიდრონიმების ეტიმოლოგიის გასარკვევად ზემოთ აღწერილმა სტრუქტურულმა მიდგომამ, ბუნებრივია, წარმატებით უნდა იმუშაოს სხვა ენებში არსებული ჰიდრონიმების ეტიმოლოგიების დასადგენადაც, მაგალითად, არ გამოვრიცხავთ ასეთი ვერსიის შესაძლებლობას მდინარე დნეპრისათვის:

დნეპრი ← *DON + P * R*

შენიშვნა: *დნეპრის, დნესტრის და პრიპიატის* ეტიმოლოგიათა შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ამ სახელწოდებების წარმოშობა უცნობია.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრების საფუძველი შემდეგი ფაქტორებია:

- მდინარეებისათვის ახალი სახელწოდებები ხშირად მანამდე არსებული სახელების „შეწებებით“ მიიღებოდა, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ისინი ერთმანეთს ერწყმოდნენ.
    - პრიპიატი დნეპრის შენაკადია, რომლის თავდაპირველი სახელი, ჩვენი აზრით, დონია. გარდა ამისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პრიპიატი ამ მდინარის თავდაპირველი სახელი იყოს. წყლის თეორიაზე დაყრდნობით, ის, სავარაუდოდ, ტერმინ пир-ის „გაფართოებაა“, რომელიც пировать (←пир), перед (←*per), пора სიტყვებთან ერთად ქმნის *წყლის ცნების* გარშემო ჩამოყალიბებულ კლასტერს - სემანტიკურ ველს.

ამ მიდგომის საფუძველზე შესაძლებლად ვთვლით, შემუშავებულ იქნეს ეტიმოლოგიური ვერსიები სხვა ჰიდრონიმებისთვისაც, მაგალითად, იმავე დნესტრისთვის.

სანამ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარის, **მტკვრის** ეტიმოლოგიის საკითხზე გადავიდოდეთ, ხაზი უნდა გაესვას ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას:

საცხოვრებელი ტერიტორიის არჩევისას ადამიანები უხსოვარი დროიდან უპირატესობას ანიჭებდნენ იმ ადგილს, სადაც **მდინარეები ერთმანეთს კვეთენ.**

ამგვარი არჩევანი უზრუნველყოფდა მტრების თავდასხმებისგან მეტ დაცულობას. გარდა ამისა, აქ ნიადაგი უფრო ნაყოფიერი იყო გაზაფხულზე წყლის მოვარდნებისას მოტანილი შლამის წყალობით.

ჩვენი უძველესი დედაქალაქი მცხეთაც ხომ სწორედ ასეთ ადგილას მდებარეობს!

აი, როგორ განვითარდა მოვლენები მტკვრის ეტიმოლოგიის ძიებისას:

- თავიდან მივაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ მდინარე რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიედინება.
  აქედან გამომდინარე, ისედაც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო, მდინარის სახელდებაში მონაწილეობა მიეღო რამდენიმე ხალხს *(ყოველ შემთხვევაში საკუთარ ტერიტორიაზე გამავალზე).*
- ნიშანდობლივია, რომ თითოეული მათგანის „კუთვნილ“ ჰიდრონიმში ფიგურირებს **კ*რ** მარცვალი, ჩვენი აზრით, კომპონენტი.

- გზადაგზა მტკვრის მთავარ არტერიას მრავალი მდინარე, ღელე თუ ნაკადული უერთდება, მეტწილად იმ ადგილებში, სადაც უძველესი დროიდან არსებობდა დასახლებები.
- ზოგიერთ მათგანს ერქვა და დღემდე შეინარჩუნებული აქვს სახელი **მეტეხი.**

  ერთი ასეთი ადგილი მდებარეობს თავად თბილისში, ძველი ქალაქის ფარგლებში.
- უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ წყლის ფენომენთან დაკავშირებული ტერმინების წარმოშობაში ერთ-ერთი ქმედითი აქტორი არის **მ*ტ(დ)** მარცვალი.

  ქართულ ენაში ასეთი სიტყვებია: *მატალა, მიტალა, მიტარბი, მადლი, მატება, მეტი, მდელო, მტილი,* ***მატკვარცანა,*** *მტკაველი.*

  სხვა ენებიდან გამოვყოფდით **ვიშნუს** პირველი ავატარის **Matsya** სახელს, რომელიც სანსკრიტში **თევზს** აღნიშნავს.
- დაბოლოს, ვთვლით, რომ გამორჩეული ყურადღების ღირსია ტერმინი **მატ-კვარ-ცანა,** რომელიც აღნიშნავს წყლის ნაპირზე გავრცელებული გვარის **მ-ცენ-არეს**.

  აქვე შევნიშნავთ, საკუთრივ **ცან** ტერმინიც ფრიად დიდ ინტერესს იწვევს, როგორც ერთ-ერთ უძველესი სიტყვა. ამასთან ერთად, ის რიგი სხვა სიტყვების *(წ *ნელი, ცან, ...)* მშობელიცაა.

  კვარ კომპონენტი კი ასოცირდება როგორც უძველეს ტერმინ **კურა**-სთან *(შდრ. ყურე, ყურება, ყურყუმალი)*, ასევე, მდ. ვერასა და ამავე სახელის უბანთან, წარსულში ს-**კვირ**-ეთად წოდებულთან.

  თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმიიდან ამ კავშირის თაობაზე არაერთი სხვა მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. ესენია:

  ა) კვარათხევი (კორათხეთი) - მდინარე დიღმისწყლის მარცხენა შენაკადი;

  ბ) კვესეთი - ნასოფლარი და მთა ბეთანიის დასავლეთით;

  გ) კვესეთისწყალი - მდინარე ვერეს მარჯვენა შენაკადი;

  დ) კვირაცხოველი - ადგილი და ეკლესია კალაში, ზემოუბანში;

  ე)კვირიკობის მთა, თბილისის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე;

  ვ) კვირიკობისხევი (მშრალხევი) - მდინარე;

  ზ)კვირტაციხე - ნაციხარი, მთა ოქროყანის სამხრეთით.

ვთვლით, რომ მტკვრის ეტიმოლოგიისათვის ჩვენ მიერ შემოთავაზებული ვერსია გაცილებით უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს, ვიდრე, მაგალითად, ისეთი ეგზოტიკურების, როგორიცაა ამ სახელის „ტკვერვა“ სიტყვისგან წარმოშობა ან კიდევ ის, რომ ჩვენს დედამდინარეს სახელწოდება *კურა* სპარსეთის მმართველის კიროს II დიდის პატივსაცემად ეწოდა.

. . .

ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ ეტიმოლოგიური წარმოშობის ვერსიებს იმ ტოპონიმებისათვის, რომელთა უმეტესობისათვის ჰიპოთეზები, საერთოდ, არ არსებობს ანდა სავარაუდონი მეტად საკამათოა რიგი მიზეზების გამო.

მაგალითად, ცნობილია, რომ ენის წარმოშობის სამეცნიერო თეორიებს შორის ერთ-ერთია პოეტური აზროვნება.

მიგვაჩნია, რომ ენის გაჩენის საწყის ეტაპზე ამ თეორიას, საერთოდ, ვერანაირი გავლენა ვერ ექნებოდა არსთა სახელდების პროცესზე და მან მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო ნაყოფის გამოღება, როდესაც „პრესტიჟული“ მოსაზრებებიდან გამომდინარე, რიგი ქალაქების დაარსება და სახელდებაც მითურ ან ნახევრად მითურ გმირებს მიეწერებოდა.

ასე იყო, მაგალითად, მცხეთის, რომის, პარიზის, კიევის, კრაკოვის და ბევრი სხვა ქალაქის შემთხვევაში.

შემოთავაზებული ვერსიების განხილვას ვიწყებთ საქართველოს **Georgia** სახელწოდებისათვის, რომელიც მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული.

უკვე აღინიშნა, რომ სიტყვების ეტიმოლოგიის დადგენა განსაკუთრებით რთულდება მაშინ, როდესაც საქმე უძველეს ლექსიკას ეხება. სწორედ ამ ენობრივ ფენას მიეკუთვნება Georgia და გასაკვირი არაა, რომ ენათმეცნიერებს შორის არ არსებობს კონსენსუსი ამ ტერმინის ეტიმოლოგიურ წარმოშობასთან მიმართებით.

ერთ-ერთი ვერსიით, ქვეყნის ეს სახელწოდება დაკავშირებულია წმინდა გიორგის, საქართველოს ქრისტიანი მფარველის სახელთან და ის ძველი ბერძნული „**Γεώργιος**“ სიტყვიდან მომდინარეობს, რომელიც **მიწათმოქმედს** აღნიშნავს [7].

ამრიგად, ამ ვერსიის მიხედვით, აღნიშნული სახელწოდება ბერძნული წარმოშობისაა, რომლის შერჩევაზე გავლენა მოახდინა ჩვენი წინაპრების

ცხოვრების წესმა - ელინებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველები ათასწლეულების მანძილზე იყვნენ დაკავებული სოფლის მეურნეობით.

თუმცა, მეცნიერებმა დიდი ხანია გადაწყვიტეს, რომ ეს მოსაზრება მათთვის კარგად ნაცნობი ფენომენის, **გადააზრების** ნაყოფია.

ამასთან, ცნობილია, რომ ქრისტიანობის მიღებამდე ქართველები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ **მთვარის ღვთაება თეთრ გიორგის,** მეომარ-მხედარს, რომლის სახელზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, ბორცვებზე აღმართული ტაძრების რიცხვი, ლეგენდის თანახმად, გახლდათ ზუსტად **365.**

ამ შემთხვევაშიც უფრო დამაჯერებელი ვერსიის შესამუშავებლად ინტერდისციპლინურ მიდგომას მივმართეთ:

პირველ რიგში, ჩვენც გამოვდიოდით იმ ვარაუდიდან, რომ ქვეყნის სახელწოდების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო მისი მაცხოვრებლების ძირითადი საქმიანობა - სოფლის მეურნეობა.

მაგრამ, მიგვაჩნდა, რომ სიტყვა **Georgia**-ს ადგილობრივი ფესვები აქვს და იგი მომდინარეობს **გივ+რაგ** სახელიდან - პრიმიტიული, შესაბამისად, მეტად შორეული წარსულის მქონე საკულტო ნაგებობის სახელწოდებიდან.

ეს იყო მნათობების - მზის, მთვარისა და ცდომილების ტრაექტორიებზე დაკვირვებებისთვის გამიზნული ნაგებობა, რომლის სახელწოდებაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მამაკაცების სახელების - **გივარგისა** და **გივერგილის** - როლშიც მოგვევლინა.

ამასთან, წარმართული ეპოქის ძეგლები ახლო-მახლო, მთებზე განლაგებულ *მზისა* და *მთვარის („ქალის“ და „მამაკაცის“)* კერპებთან „თანამშრომლობით“ ასტრონომიული დაკვირვებებისთვის თავისებურ სამკუთხედსაც ქმნიდნენ, რასაც სავსებით ლოგიკურია, ასახვა ეპოვა თეონიმების და (მეტონიმიის გზით) - ტოპონიმების დასახელებებში!

ჩანს, რომ სწორედ ასეთი კონფიგურაციის გახლდათ მცხეთის მიდამოებში მთებზე განლაგებული **გაცის** და **გაიმის** - **ოქროს (მზის)** და **ვერცხლის (მთვარის)** კერპების - და მათზე დაკვირვების პუნქტისაგან შემდგარი, კომპლექსის სახის მქონე საკულტო ნაგებობა.

უმარტივესი სახით კი, რომელმაც დღემდე მოაღწია ე. წ. **მზის ბუდეების** სახელწოდებით, **გივრაგი** წარმოადგენდა პრიმიტიულ, შესაბამისად, არქაული სახის ნაგებობას, **მარგილებისა** ან ქვებისაგან ფორმირებულ

თავისებური „ციფერბლატის“ ფორმის წრეს (ან ნახევარწრეს), შემოხაზულს მიწაზე, მის ცენტრში ჩასმული **როკ** სვეტით.

ეს თემა დეტალურად აქვს გაშუქებული ორიენტალისტ **გიორგი გიგაურს** [8].

აქვე აღვნიშნავთ, რომ მკვლევარი **ავთანდილ გიორგობიანი**, რომელსაც წარმართული დროისა და ქრისტიანული საქართველოს შესახებ მეტად ღირებული ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული [9-10], კავშირს ხედავს ძველეგვიპტურ **გებ** მიწის ღვთაებასა და ზოგიერთ ქართულ ტოპონიმს შორის, კერძოდ, რაჭაში არსებულ **ღებ** სოფელთან და აღნიშნავს, რომ, საბას მიხედვით, სიტყვა **გება** ნიშნავს კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვას.

ამავე თემასთან მიმართებით მკვლევარ **გიორგი კოკოშაშვილის** ნაშრომში *“რამდენიმე მოსაზრება საქართველოს სახელის georgia-ს შესახებ”* გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერმინი **გივარგი** არის კომპოზიტი, რომელშიც პირველი მარცვალი **გი** (სვ. გიმ) მიწას აღნიშნავს, ხოლო დაბოლოება **ვარგ**-ს (სვანურად დიდებულს) ავტორი აკავშირებს ტერმინ **ვარგისთან**.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასტრონომიული დანიშნულების ნაგებობის **გ ი ვ ა რ გ** კომპოზიტ-სახელწოდებაში, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, უნდა ფიგურირებდეს როგორც **მიწის,** ასევე, მიწათმოქმედი ადამიანის **ზეცასთან** დამაკავშირებელი „ელემენტის“ სახელიც.

ვეთანხმებით გ. კოკოშაშვილს, რომ კერპის დასახელებაში პირველი **გ ი ვ** მარცვალი **მიწის** აღმნიშვნელია, მაგრამ, რაც შეეხება მეორე **რაგ (როკი)** მარცვალს, ის, ჩვენი აზრით, *მიწის ცასთან* კავშირზე უნდა მიუთითებდეს და ვვარაუდობთ, რომ კიდევ უფრო შორეულ ხანაში ცალკე **რაგ (რეგ)** ტერმინი ადამიანების ცასთან დამაკავშირებელ **წარმართულ კერპს** აღნიშნავდა. ამის თაობაზე მეტყველებს სხვადასხვა ენაზე შემორჩენილი შემდეგი ტერმინები *(ზოგჯერ მომდევნო ეპოქებში წარმართული კერპების შერისხვის გამო უარყოფითი დატვირთვის მატარებელნი):*

რეგვენი *(ეს სიტყვა ადრე მხნე, მედგარ კაცს აღნიშნავდა, ტერმინი მედგარი კი, პირიქით, საბას განმარტებით, - მცონარს, მოუძლურებულს, მზაკვარს),* რეკვა, **როკვა, rock** *(ინგლ. ცეკვა, ბედი),* **рок, ругань.**

აქვე, შევნიშნავთ, რომ **რაგ/როკ** მდგენლის ცასთან კავშირზე მიანიშნებს **რეგ-ვა** ტერმინიც, რომელიც, საბას მიხედვით, აღნიშნავს დასეტყვას.

შემდეგ, უზენაეს ღვთაებას ჩვენი წინაპრები **მო-რიგ-ე ღმერთის** სახელით მოიხსენიებდნენ და სადღესასწაულო დღეებში ამ და სხვა წარმართული საკულტო ნაგებობების გარშემო აღავლენდნენ ლოცვებს, ასრულებდნენ წარმართული ხასიათის სიმღერებს და **როკვად** წოდებულ ცეკვებს.

აქაც ხარკი გადავუხადოთ განსახილველი საკითხის საკრალურ მდგენელს:

1. უძველესი ხალხები წარმართული ძეგლების მეშვეობით უმაღლეს, ზეციურ ძალებს მიმართავდნენ!
2. კავკასიელებისათვის ასეთი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია მინიჭებული ჰქონდა მათ საერთო ტოტემს - **მგელს.**

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს მეზობლებისთვის ჩვენი ქვეყნის სახელწოდება განისაზღვრებოდა იმ სიტყვით, რომელიც სპარსულ და არაბულ ენებში სწორედ „მგელს“ აღნიშნავს.

ვეთანხმებით ამ აზრს, მაგრამ შემდეგი დაზუსტებით:

როდესაც ენები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდნენ, ტერმინი **გივ+რაგ,** ამა თუ იმ მოდიფიცირებული სახით, მართლაც, შეიძლებოდა გამხდარიყო საქართველოს სახელწოდება, კერძოდ, არაბებისა და სპარსე-ლებისთვის ეს სიტყვაა **Gurg** (გურჯ, გურზან), რუსებისთვის - **Грузия** და სომხებისთვის - **Virk**. აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვა **Virk** აშკარად ასოცირდება ქვეყნის ძველ სპარსულ სახელწოდებასთან **Vrkan** (ავესტურად vəhrka-, ძვ. ინდ. **vṛ́kas** ნიშნავს მგელს) და უფრო ახლოსაა **GIV+RAG**-თან.

. . .

განვიხილოთ რუსეთის დღევანდელი დედაქალაქის სახელწოდების ეტიმოლოგიური წარმოშობის საკითხიც.

ფაქტია, რომ საუკუნეების და უფრო მეტი ხნის განმავლობაში ასეთი მეგაპოლისების შექმნასა და სახელდებაში უამრავი ადამიანი იღებდა მონაწილეობას, ამასთან, სხვადასხვა ტომიდან.

(ამ ქალაქის მაგალითზე, რომელიც, საერთოდ, იმპერიების აღზევების მინიმოდელსაც წარმოადგენს, შესაძლებელი ხდება კიდევ უფრო ზოგადი დასკვნების გაკეთება).

ცნობილია, რომ რუსეთის დედაქალაქის ამჟამინდელი სახელწოდება **Москва** მომდინარეობს ძვ.-რუს. **Московь**-იდან.

ადრე დასავლეთში ამ ქალაქს და რუსეთს **Московия**–ს სახელით მოიხსენიებდნენ. ასეთ არჩევანს განაპირობებდა ის ფაქტორი, რომ მაშინ უპირატესობა ენიჭებოდა ქალაქებისა და ქვეყნების სახელწოდებების ლათინიზებული ფორმით წარმოდგენას (შდრ.**Varsovia, Kiovia**).

შემდეგ, ქალაქის მდინარე *მოსკვაზე* მდებარეობამ ექსპერტები მიიყვანა იმ ლოგიკურ აზრამდე, რომ ეს ჰიდრონიმი უფრო ძველია, ვიდრე ქალაქის სახელწოდება *(და ჩვენი წყლის თეორიაც სწორედ ასეთ სცენარს ანიჭებს უპირატესობას).*

რაც შეეხება თავად მდინარის სახელწოდებას, ვერსია, რომ ის უფრო ძველი ***Моск-** („влага“) ტერმინის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა, უფრო დამაჯერებლად ითვლება.

საინტერესოა, რომ სხვა, უფრო ნაკლებად დასაბუთებული ვერსიებიც ეტიმოლოგიურად წყლის ცნებასთანაა დაკავშირებული!

საერთოდ, მოსკოვის ეტიმოლოგიის შესახებ იმდენი ვერსია არსებობს, რომ მათგან უფრო მნიშვნელოვნებს 3 ჯგუფად ყოფენ [11, 12].

ამ ყულაბას ჩვენ კიდევ ერთს ვამატებთ, ქვემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების საფუძველზე:

- თავდაპირველად, აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ადრე დღევანდელი მოსკოვის ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომები ცხოვრობდნენ, რომლებიც თანდათან გაერთიანდნენ და უკვე დიდი ტერიტორიისათვის სახელის არჩევისას დადგნენ „სოციალური კონტრაქტის“ დადების აუცილებლობის წინაშე. შედეგად ქალაქისთვის წარმოიშვა (დაზუსტდა) დღევანდელი სახელწოდება.
- ცნობილია, რომ ამ ტერიტორიაზე მოედინებოდა ასზე მეტი პატარა მდინარე და რამდენიმე ასეული ტბა არსებობდა.

  წყალსატევებთან მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური ჯგუფები ბუნებრივია, „თავის“ წყალსატევს საკუთარი სახელით ნათლავდნენ, სავარაუდოდ, ერთმანეთისგან არცთუ ძალიან განსხვავებულებით, რამეთუ ისინი ძირითადად ინდოევროპული წარმოშობის ადამიანები იყვნენ.

  ამ მოსაზრებას ამაგრებს შემდეგი ტერმინების არსებობა:

სლოვაკური **mo^zga** (გუბე), **Mozgawa** - მდინარეთა სახელწოდებები პოლონეთსა და გერმანიაში.

- მოსკოვის ეტიმოლოგიის განხილვისას სამუშაო ჰიპოთეზად ავიღეთ მისი წარმოდგენა ამ ორკომპონენტიან კომპოზიტად: **Мос(т) + ков.**

  დავიწყოთ მეორე ნაწილით:

  მარცვალი **ков** (ვარიანტები: **хов**, **гов**)) სლავურ არეალში არაერთი ჰიდრონიმის სტრუქტურაში გვხვდება. არ გამოვრიცხავთ ამ სიტყვის ეტიმოლოგიურ კავშირს **говор**, *გვარი* და სომხურ **gavar** ტერმინებთან და შესაძლებლობას, რომ მათი წინაპარი იყო უძველესი წარმოშობის სიტყვა **ხევ-ი!** [13]. ამ სიტყვას კი შესაძლოა, ეტიმოლოგიური კავშირი ჰქონდეს **ევასთან** - ებრ. חַוָּה *(თანამედროვე ებრ. - ჰავა),* რომელიც აბრაამისეულ რელიგიებში აღიარებულია **ყველა ხალხის წინაპარ პირველ ქალბატონად!**

- მარცვალი **kov** სლავურ არეალში ხშირად გვხვდება ელემენტად ისეთ ტოპონიმებში, როგორიცაა, მაგალითად, *ხარკოვი, ფსკოვი, კრაკოვი და ა.შ.* და არ გამოვრიცხავთ, რომ მან **კიევსაც** მისცა სახელი.

  შევნიშნავთ, რომ ჩამოთვლილი ტერმინების წარმოშობისათვის მეტნაკლებად დასაბუთებული მეცნიერული ვერსიები არ არსებობს, გარდა მითებისა, რომლებიც ამ სახელებს აკავშირებენ მითოლოგიურ ან ნახევრად მითურ გმირებთან.

- ბელარუსსა და პოლონეთში არის დასახლებები, რომლებსაც **Мостково** ჰქვია, ხოლო უკრაინაში არსებობს **Мостковский** სახელწოდების მქონე მთელი რაიონიც.

  არც ჩვენ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ამ სახელების წარმომშობი არის **Мостки** ტერმინი, თუმცა, უფრო დამაჯერებლად გვესახება ქვემოთ მოყვანილი ვერსია, შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე:

ა. ცნობილია, რომ დასახლებები ძირითადად იმ ადგილებში შენდებოდა, სადაც მდინარე ვიწროვდება და შესაბამისად, უფრო ადვილი ხდებოდა ერთი, მაღალი ნაპირიდან მეორეზე ხიდის გადება.

ბ. ასეთ ადგილებს სლავურ ენებში **мыс**-ს უწოდებენ. მისი ეტიმოლოგია უცნობია.

გ. ვთვლით, რომ ტერმინები **мыс**, **место**, **місто** (უკრ. ქალაქი) და **мост** ერთი წარმოშობისაა და წყლის აღმნიშვნელი უძველესი **M*S** ტერმინის შთამომავლებია.

არ გამოვრიცხავთ ისეთ შესაძლებლობასაც, რომ ამა თუ იმ ფორმით მისი შთამომავლები არა მხოლოდ ინდოევროპულ, სხვა ენებშიც *(ქართული, ებრაული,...)* გვხვდებოდეს.

საბოლოოდ, ჩვენეული ჰიპოთეზა ასეთი სახით ჩამოყალიბდა:

მოსკოვის *(ან მისი შემადგენელი ნაწილის)* თავდაპირველი სახელწოდება ასეთი შედგენილობის იყო **მოს(ტ)+კოვ'.**

. . .

ამ ნაკვეთში წარმოვადგენთ **თბილისის** ეტიმოლოგიისათვის ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ვერსიას.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან გამომდინარე, არ ვთვლით, რომ დედაქალაქის სახელწოდებისთვის ეტიმონია სიტყვა ***თბილი.***

ვიწყებთ იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ ადრე თბილისსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე რამდენიმე ტბა არსებობდა. შემორჩენილებიდან დღეს ყველაზე დიდია **ლისის** ტბა.

დედაქალაქის სახელწოდების წარმოშობაზე ახალი ხედვა კი სტრუქტუ-რულად ამ სახით წარმოგვიდგება:

*TABA

(ტაბ ტერმინის უძველესი ფორმა)

+

*LIS

(წყლის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ტერმინი - ეტიმონი მრავალ ენაში არსებული უამრავი სიტყვისათვის).

საქართველოში გვხვდება მსგავსი სტრუქტურის არაერთი ჰიდრონიმი და ტოპონიმი:

ტაბაკინი, ტაბახმელა, ტაბანათი, ტაბარუკი (ნასოფლარი ლისის თემში), ტაბაწყური, წყალტუბო, გვიშტიბი, ...

ინტერესს იწვევს ეს ეტიმოლოგიური კავშირებიც: *ტაბა - დაბა, დაბალი, დაბლობი.*

გადავიდეთ ქვეყნების სახელწოდებების წარმოშობის საკითხის განხილვაზე.

მეტწილად მათ შორეული წარსული აქვთ; ეს ტოპონიმები იქმნებოდა მაშინ, როდესაც ენები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდნენ და ადგილზე დაფუძნებული ადამიანები თაყვანს სცემდნენ მიწის ზეცასთან დამაკავშირებელ ღვთაებებს *(მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად).*

ამ მიმართებით უფრო მეტად კავკასიურ და ინდოევროპულ ენებს შორის მოსალოდნელი კავშირების მოძიება გვაინტერესებდა.

დავიწყოთ იმ, ცოტა არ იყოს, გასაკვირი ფაქტის კონსტანტირებით, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია *ქავთარაძე.*

საინტერესოა, რომ ამ სიტყვის **кабӯтар** ძირი ჰინდის, სპარსულ, ტაჯიკურ და რიგ სხვა აღმოსავლურ ენებში ასოცირდება როგორც ფრინველთან, კერძოდ, **მტრედთან,** ასევე, - მტაცებელ ცხოველ **Āptāra**-თან *(ლათ. Hyaenidae).*

ქართულ ენაშიც ამ ცხოველს *აფთარ* სახელით მოიხსენიებენ.

რაც შეეხება მისი მეორე ჰიპოსტაზის სახელწოდებას, ცნობილია, რომ დღევანდელი სიტყვა **მტრედი** მომდინარეობს ძველქართული **ტრედისგან** *(ამის თაობაზე ქვემოთ).*

აღნიშნულ არაორდინალურ ფაქტებს ასეთ ახსნას ვუძებნით:

წარმართი ხალხების მიერ კერპების სახით წარმოდგენილი ღვთაებების თაყვანისცემისას **მტრედი** აღიქვებოდა მათ **სულიერ,** ხოლო გარეული ცხოველი კი **მიწიერ** ჰიპოსტაზად და რადგანაც ყოველივე ამას მეტად შორეულ წარსულში ჩაეყარა საფუძველი, არ გამოვრიცხავთ „ქავთარ“ და „ავატარ“ ტერმინებს შორის კავშირის არსებობასაც:

ინდუისტური რელიგიური შეხედულებით, კრიტიკულ მომენტებში სწორედ ზეციდან დაშვებული ავატარები ეხმარებოდნენ ადამიანებს და იხსნიდნენ მათ უბედურებისაგან.

ბიბლიის მიხედვით, სწორედ **მტრედი აცნობებს ნოეს დიდი ხნის ნანატრ ამბავს, რომ მისი სანუკვარი ოცნება ახდა!**

ებრაულად მრავალი საიდუმლოს მცოდნე ბიბლიური **იონას** სახელი **მტრედია.**

და სწორედ **მტრედის** სახით ევლინებოდა **სულიწმიდა** მრევლს ზეციდან, გარშემო შემოუფრენდა კომპლექსის ცენტრალურ **ტარ** ელემენტს და ხევიბერებს თუ განდობილებს გადასცემდა ტომისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას!

ჩვენი აზრით, *მტრედის* ანუ *ტრედისათვის* დამახასიათებელი ქმედება ასახულია შემდეგ ქართულ სიტყვებში:

ტრ-ედი ← ტარ → ტრ-იალი.

რაც შეეხება მზაკვრული ქცევების ცხოველის ტოტემად არჩევას, როგორც ჩანს, ეს გამოწვეული იყო ადამიანების გასაგები სურვილით - დაეწყნარებინათ ბოროტი მიწიერი ძალები, თუმცა, შემდგომ ხანებში კავკასიაში უპირატესობა მიენიჭა გაცილებით უფრო კეთილშობილ არსებას - **მგელს** და „მმართველობის სადავეები“ აფთრიდან მას გადაეცა.

ჩრდილო კავკასიაში კი ადგილობრივი მცხოვრებლების მეხსიერებაში იდუმალი და სასტიკი ძალებისადმი შიში ბოლო ხანებამდე შემორჩა - აქ კაპტარი ასოცირდებოდა **იეტისთან.**

ქავთარ ტერმინს სხვა, შესაძლოა საკამათო, მაგრამ ასევე საინტერესო მოსაზრებებამდე მივყავართ [14] :

1. ასეთი დანიშნულების ობიექტთა თაყვანისცემის ფორმები, რიტუალები მკაცრად განსაზღვრავდნენ უძველესი ხალხების ცხოვრების წესს, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში თანდათან რთულდებოდა და იხვეწებოდა.

   ადამიანების მიწათმოქმედებითი სახის საქმიანობაზე გადასვლის შემდეგ საჭირო შეიქნა იმ ვადების განსაზღვრაც, მათ მიწა როდის მოეხნათ, დაეთესათ, მოსავალი მოეწიათ, ხე მოეჭრათ, ... და ა. შ., შთამომავლობის ჩასახვაზეც კი რომელ პერიოდში უნდა ეზრუნათ, რომ, გაზაფხულიდან მოყოლებული თითქმის მთელი შემოდგომის ჩათვლით დაძაბული სამუშაოების ჩატარებისას თემს მუშახელი არ შემოკლებოდა.
2. კიდევ უფრო შორეულ წარსულში ცხოვრების წესი ასეთი იყო:

ქალები და ბავშვები მეტწილად დაცულ ადგილებში - ხევებსა და გამოქვაბულებებში - ბინადრობდნენ, ხოლო მამაკაცებს, რომლებიც, ძირითადად, ნადირობით და შემგროვებლობითი საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, ხშირად უწევდათ ადგილმონაცვლეობა და ისინი იძულებულნი იყვნენ, მათ ხელში მყოფი იარაღი **სოლი** *(სარი, ტარი, KOL)* დროდადრო გამოეყენებინათ პრიმიტიული სახის მობილური საცხოვრებლის ასაგებადაც *(მისი მთავარი ელემენტის როლში).*

3. *ქავთარ* ტერმინის **ქავ (←ხევ)** კომპონენტი წყლის, მეტონიმიით მიწის და ქვისაც, აღმნიშვნელი უძველესი წარმოშობის ტერმინია. ის ხშირად გვხვდება ქართულ ჰიდრონიმებსა და ტოპონიმებში, მეორე, **თარ (ტარ)** კომპონენტი კი საქართველოს მთელი რეგიონის სახელ-წოდებაცაა.

4. შემდეგ, ბევრი ძველი ხალხის მითოლოგიაში დედამიწა **მდედრულ** საწყისთან ასოცირდება, ხოლო ზეცა – **მამრულთან.**

   ქართული სიტყვა **ტაროსი ← ტარ** ამინდს აღნიშნავს, რაც გასაკვირი არ არის - სწორედ **ტარ** იყო მთავარი ელემენტი მზის საათებში!

   გამოსარიცხი არ არის ასეთი ეტიმოლოგიური კავშირების არსებობაც:

   ტარ → დრო, ტარ → თარიღი.

   ენათმეცნიერები ბოლო სიტყვას არაბულიდან ნასესხებად თვლიან. ჩვენი აზრით კი, იგი კაცობრიობის თავდაპირველი ენის წევრია ისევე, როგორც სხვა, „საკამათოდ“ მიჩნეული ეს ტერმინები:

   დროშა და **პური.**

5. არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობასაც, რომ **ქავთარ** ტერმინმა *(შემდგომ უკვე ტოპონიმად ქცეულმა),* განაპირობა ქართველთა ლეგენდარულ წინაპრად, რამდენადმე სახეცვლილი ფორმით, ***თარ-გამ-ოს***-*ის* გამოცხადება.

6. ასევე, ვვარაუდობთ, რომ *ქავთართან* მეტნაკლებად გამჭვირვალე ეტიმოლოგიურ კავშირშია რიგი ისეთი ტოპონიმებისა, როგორიცაა, მაგალითად:

   ქავთარეთი, კვეტერა, ქეთრისი, სხვიტორი, ქვიტირი, ქართლი, კავთისხევი, ქუთაისი (კვიტაიონი), კინტრიში, ღვითორი, ხვითორი, ...

7. ამავე ტერმინთან უნდა იყოს დაკავშირებული ტერმინ **კუნტრუშის** წარმოშობაც, რომლის ირონიული შეფერილობა, ჩანს, განაპირობა

მომდევნო ხანებში ყოველივე წარმართული წეს-ჩვეულების დაგმობამ, თუმცა, ჭიაკოკონობის ხალხურ დღესასწაულში ის დღემდე შემორჩა კოცონზე აქეთ-იქით გადახტომების რიტუალის სახით, *„სხეულის ბოროტი სულებისგან განსაწმენდად“.*

8. გადავწვდეთ უფრო ფართო არეალსაც. ითვლება, რომ ლათინური ტერმინი **cantare** წინაინდოევრ. ტერმინ ***kan**-იდან მომდინარეობს.

   არ გამოვრიცხავთ ამ შესაძლებლობასაც: **cantare (← *kantar/kavtar)** და ისეთსაც, **კინტო** და **კინტოური** უძველეს დროში იღებდნენ სათავეს.

9. კერპი **ქავთარი** (← *kavtar/kantar) არა მარტო რელიგიური, მეტიც, თავდაპირველად მხოლოდ ასტრონომიული დანიშნულების ობიექტი გახლდათ და თავისი განლაგებით მსოფლიოს ოთხივე მხრისაკენ იყო მიმართული.

   აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვა **ჯვარს** ჩვენში ორი მნიშვნელობა აქვს: საკუთრივ ჯვრის და წარმართული ხანის საკულტო ნაგებობისაც.

   აქვე უპრიანია, გავიხსენოთ ტერმინები სლავური სემანტიკური ველებიდან:

   а) стрела, сторона, страна;

   б) крест, окрестность, край.

10. არ გამოვრიცხავთ უძველეს *ქავთარ* ტერმინთან შემდეგი სიტყვების კავშირსაც:
    - **ხუტორი** *(უკრ.,პოლ. - სოფელი),* რომლის სახელწოდებაც, ამჟამად მიღებული ვერსიით, მომდინარეობს ზემოგერმანული **Huntar**-იდან *(რაიონის ნაწილს აღნიშნავს);*
    - **Country** *(ინგლ. - ქვეყანა);*
    - **მკვიდრი, მკვიდრობა**;
    - **Quadrum** *(ოთხკუთხედი, კვადრატი)* ← **quattuor** *(ოთხი)* ← პროტოინდოევრ. ***kewtwor-, *kwetwer-;**
    - ძველბერძნული **κέντρο** - ცენტრი *(შდრ. ლათინური **centrum**);*
    - **alcantara** - ერთ-ერთი ვერსიით, მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან **κέντρον** („წრიული ცენტრი“). არაბულად **al-qantarah** „ხიდს“ ნიშნავს.

      აქვე აღვნიშნავთ, რომ **დასახლებათა ცენტრად** უმეტესწილად **ხიდის მიმდებარე ტერიტორია** გვევლინებოდა.

. . .

უფრო დეტალურად განვიხილოთ თეონიმების წარმოშობის საკითხი.

ხშირად სწორედ თეონიმები განსაზღვრავდნენ დასახლებების და თვით სახელწიფოების სახელწოდებებსაც კი.

(რამდენიმე მაგალითი ამ ნაშრომში უკვე მოყვანილი გვქონდა).

გავაგრძელოთ ეს თემა:

საქართველოს მთიან რაიონებში ზოგან დღემდე არის შემორჩენილი მთებზე განლაგებული ასტრონომიული კომპლექსების ნაშთები [იხ. სურ. 2].

მკვლევარი გიორგი გიგაური განმარტავს, რომ ჩვენს სოფლებში ამინდის პროგნოზირება და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის შესაფერისი ვადების განსაზღვრა ევალებოდა ამ საქმის მცოდნე პირს, ე. წ. **მემარგეს,** რომელიც მზის, მთვარის და ხილული პლანეტების ტრაექტორიებზე დაკვირვებით იღებდა საჭირო ინფორმაციას [8].

საქართველოს ყველა კუთხეში უძველესი დროიდან შენდებოდა პრიმიტიული სახის ობსერვატორიები, შეთავსებით, წარმართული სალოცავები, რომელთა ადგილები შემდგომ, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ქრისტიანულმა ეკლესიებმა დაიკავეს!

ამ თემასთან მიმართებით მკვლევარ ავთანდილ გიორგობიანს მოჰყავს, ერთი შეხედვით, ფრიად უცნაური ფაქტი:

უძველესი ცივილიზაციის ხალხები საქართველოს უწოდებდნენ ქვეყანას, სადაც *მზე ორჯერ ამოდის* !

და თვითონვე შესანიშნავად განმარტავს, თუ რა იყო ასეთი „აბსურდულობის“ მიზეზი:

საქართველოში მნათობებზე დაკვირვება ამგვარი ობსერვატორიების მეშვეობით სწორედ იმ ადგილიდან („ცენტრალური პუნქტიდან“) ხდებოდა, რომლის წინ მდებარე ორი მთის „ნაპრალს“ შორის ბუნიობის დღეებში მზის სხივი გადიოდა და იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მნათობი ცაზე ხელმეორედ ამოდის!

მზეს, მთვარესა და მოგვიანებით ვარსკვლავებზე დაკვირვებისათვის გამოიყენებოდა სხვა ორიენტირებიც, ახლომდებარე მთებზე განთავსებული ასტრონომიული პროფილის 2 კერპის სახით.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, ლეგენდის თანახმად, ახლომდებარე მთებზე განთავსებული იყო ოქროს

კერპი **გაცი** *(სავარაუდოდ, მოოქროვილი)* და ვერცხლისა **გაიმი,** შესაბამისად, მზისა და მთვარის განსახიერებები.

საინტერესოა, რომ ამ კერპებს, გადმოცემით, „ყოველი საიდუმლოს მცოდნეებად“ მოიხსენიებდნენ.

ამგვარად, იქმნებოდა თავისებური, ორი ტიპის სამკუთხედი, ვიწრო და ფართო ფუძეებით.

ჩვენი ვარაუდით, ერთ-ერთი ასეთი, თავდაპირველად მხოლოდ ასტრონომიული დანიშნულების და სამკუთხედის ფორმის კომპლექსის ცენტრალური პუნქტი უნდა ყოფილიყო თბილისის ცენტრში მდებარე, რუსთაველის პროსპექტის მშვენება **ქაშუეთის** (ქაშვეთის) ეკლესია, თუ დავაზუსტებთ, - ამ ტერიტორიაზე ადრე არსებული **ქვასვეტი.**

რა თქმა უნდა, მხოლოდ ქართველები არ იყვნენ დაკავებულნი ასტრონომიული ინფორმაციის მოპოვებით. დავუკვირდეთ სხვადასხვა ტიპის ტაძრებს, პირამიდებს, მაგალითად, **მაჩუ-პიქჩუს,** და მათ გარშემო ადგილმდებარეობის კონფიგურაციას [იხ. სურ. 3-4], ასევე, ევროპაში ნაპოვნ მეტად საინტერესო ექსპონატ **ნებრას დისკოს,** უძველეს ასტრონომიულ ხელსაწყოს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს ეხმარებოდა მზის ბუნიობის დღეების გამოანგარიშებაში [სურ. 5].

ეს საკითხები დეტალურად განიხილება ჩვენს სტატიებში [15, 16].

ვისაუბროთ ზოგიერთი მათგანის შესახებ:

1. ერთ-ერთი დასახლება, სადაც „მზე ორჯერ ამოდის“, იყო **ანატორი** - დღეს ნასოფლარი ხევსურეთში.

   ჩვენი აზრით, ეს სახელწოდება შემდეგი სახის კომპოზიტია:

   ან (მთვარე) + ტორ (მზე)

   *(ტერმინ T*R-ის ცასთან კავშირის საკითხი ზემოთ განვიხილეთ).*

2. ასეთივე აზრის ვართ **ანატოლიის** *(ადრე ის დასავლეთ საქართველოს ნაწილი იყო)* და **ანდორას** სახელებთან მიმართებითაც.

   ამასთან, ანდორა ბასკეთს ესაზღვრება, ქვეყანას, რომლისთვისაც მეცნიერები არ გამორიცხავენ კავკასიასთან შორეული კავშირების არსებობას.

   (შევნიშნავთ, რომ ანატოლია, ანდორა სახელების ეტიმოლოგიური წარმოშობისათვის ტოპონომისტებს დამაკმაყოფილებელი ახსნა არ მოეპოვებათ).

მსოფლიო ფართოვდება და ევროპული ქვეყნებიდან ახალ ზელანდიაში ჩასახლებულმა კოლონისტებმა სახელი **ანატორი** მიანიჭეს *ორი მდინარის შეერთების ადგილას* დაარსებულ დაბას და, სავარაუდოდ, მანამდე - მათი გაერთიანების შედეგს.

აღვნიშნავთ, რომ ასეთ ადგილას მდებარეობს ზემოთ ნახსენები *ანდორაც.* სწორედ, ამგვარი ტერიტორიებისათვის არის დამახასიათებელი კომპოზიტური სტრუქტურის ჰიდრონიმების, ტოპონიმების და თეონიმების არსებობა.

აქედან გამომდინარე, შესაძლებლად (და საჭიროდ) ვთვლით, ვიფიქროთ უძველესი წარმოშობის სიტყვების რიგის, ამა თუ იმ სახის ასოციაციით, ეტიმოლოგიურად იმ ადგილების არეალთან დაკავშირებაზე, სადაც მდინარეები ერთმანეთს ერთვიან.

ვვარაუდობთ, რომ კავკასიიდან პირენეის ნახევარკუნძულის გავლით ბრიტანეთში კელტ-იბერების ტომთა გადასახლების შემდეგ სწორედ ასეთმა მოტივებმა განაპირობა, ახალ საცხოვრებელ ადგილსამყოფელს სახელად დარქმეოდა **Anglia** [17].

ეს ტერმინი ლათინური წარმოშობისაა, რომლის ეტიმოლოგიური წარმოშობა ბუნდოვნად მიიჩნევა *(ვიმედოვნებთ, რომ აქამდე).*

შორეული წინაპრების მიერ შექმნილ ობსერვატორიებთან დაკავშირე-ბული სიტყვების სემანტიკური ველი შესაძლებელია, კიდევ უფრო გაფართოვდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ზედმეტი არ იქნებოდა ქვემოთ მოყვანილი სიტყვების ამ „პროფკავშირის“ წევრობაზე შესაძლებლობის შესწავლა:

- ციური სხეულების ტრაექტორიებზე დაკვირვებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მნათობებსა და სპეციალურად შერჩეულ ნიშნაკებს შორის კუთხის დაფიქსირებას.

  მაგალითად, **Angulus** *(კუთხე, დისტანციური წვდომის არეალი)* და **an + gur (hel, gel)** ტერმინებს შორის კავშირი მრავალ ენაში დასტურდება, ექსპერტების აზრით, სლავური **угол** ტერმინისთვისაც კი, რომელიც დიდადაა დაშორებული წარმომშობი წყაროსაგან.

- იგივე შეიძლება ითქვას **anchor**-ის (ღუზის) აღმნიშვნელ ტერმინებზეც, შესაძლოა მისი ფორმის მსგავსების გამო ასტრონომიული დანიშნულების ისეთ უძველეს ნიმუშებთან, როგორიცაა **კვადრანტი** და **ასტროლაბი.**
- ამ მხრივ ინტერესს იწვევს ქართული სიტყვა **ანგარიში**. ვფიქრობთ, რომ ის შემოღებული იქნა **მემარგეების** მიერ მნათობებზე დაკვირვებებით მიღებული მონაცემების დამუშავების პროცესის აღმნიშვნელად.
- საერთოდ, პირები, რომლებიც ასეთ გამოთვლებს ატარებდნენ, ზოგან საიდუმლოდ ინახავდნენ საკრალურად მიჩნეულ ცოდნას. ამასთან, ჩანს, რომ ისინი მხოლოდ ამინდის პროგნოზირებით არ იყვნენ დაკავებულნი: **Augur** (ლათ.). (←**angur**(?)) ანუ მკითხავად წოდებული პერსონა მომავალ მოვლენებს წინასწარმეტყველებდა ფრინველების, ცხოველების ქცევის და ციურ ან სხვა უჩვეულო მოვლენებზე დაკვირვებით მიღებული ნიშნების საფუძველზე.
- არ გამოირიცხება როგორც ეტიმოლოგიური, ასევე, არსებითი კავშირის არსებობა ისეთი ტიპის საქმიანობის აღმნიშვნელ ცნებებსა და შემდეგ კომპოზიტ-სიტყვებს შორის, როგორიცაა:

  მის-ან-ი და **მიზ-ან-ი**, რომლებშიც კომპონენტი **მის/მიზ** ← $*mz_1e$- *(შდრ. სვან. მიჟ)* აღნიშნავს **მზეს**, ხოლო **ან** – **მთვარეს.**

დაბოლოს, ბევრი ენა იყენებს, მაგალითად, ბერძნულ და ლათინურ ტერმინებს, ამასთან, - დიდი რაოდენობით. არსებობს სხვა ენებისგანაც სიტყვების სესხების (ჯობია, ითქვას, *ენების ურთიერთგამდიდრების)* კიდევ ბევრი მაგალითი.

დღეს საქართველო ტერიტორიულად და მოსახლეობის ოდენობით მცირე სახელმწიფოა.

მაგრამ, ათასწლეულების მანძილზე მრავალი დიდი სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესების „ობიექტს“, ქვეყანას, რომლის ისტორიაშიც ბევრი კარგი რამ მომხდარა *(და კიდევ მეტი... არც ისე კარგი),* ბერ იოანე ზოსიმეს გზავნილისა და ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, დარწმუნებული ვართ შეუძლია და ვალდებულიც არის, შეახსენოს „ყოველსა ენას“ ის, რისი გადმოცემაც ამ ნაშრომში ვცადეთ.

დასკვნითი თავი

ხშირად ხდება, რომ ის, რაც დღეს ურყევ ჭეშმარიტებადაა აღიარებული, გუშინ იგმობოდა ან უკეთეს შემთხვევაში აბსურდად მიიჩნეოდა.

მოგვყავს მაგალითები:

- დემოკრიტეს ატომური სწავლება. ათასობით წლის მანძილზე ადამიანის აზროვნებისთვის ადვილი არ იყო იმ იდეის მიღება, რომ მის გარშემო არსებული მთელი სამყარო თვალისათვის უხილავი ატომებისგან შედგება!
- რაკეტის გამოყენებით მთვარეზე გაფრენის შესაძლებლობა;
- ჰელიოცენტრიზმის იდეა გეოცენტრიზმის წინააღმდეგ;
- მეტეორიტების არსებობა.

  საინტერესოა, რომ ფრანგ მეცნიერთა მიერ, თვით ლავუაზიეს ჩათვლით, გამოტანილი ვერდიქტი *(განმანათლებლობის ეპოქაში!)* ასეთ ლოგიკას ემყარებოდა:

  „ქვები ცაში არ დაფრინავენ“!

ამავდროულად, მრავალი საუკუნის განმავლობაში დომინირებდნენ აშკარად აბსურდული, ფსევდომეცნიერული თეორიები, როგორიცაა, მაგალითად, ალქიმია, მოძღვრება სითბომბადის არსებობის შესახებ და სხვ.

ასე რომ, ყველაფერს თავისი დრო აქვს!

სიტყვების ეტიმოლოგიის დადგენა ზუსტ მეცნიერებათა არეალის ფარგლებში ვერ თავსდება.

საქმეს ართულებს ისეთი ფენომენები, როგორიცაა კონტამინაცია, ტერმინის მნიშვნელობის გადააზრება, სიტყვების შემთხვევით მსგავსებაზე დაფუძნებით მათი „მახვილგონივრულად“ ინტერპრეტირება *(ხალხური ეტიმოლოგიისთვის აგრე რიგად დამახასიათებელი).*

შემთხვევითი არაა, რომ სპეციალიზებულ ლექსიკონებში უამრავი სიტყვისათვის მოიყვანება ეტიმოლოგიური წარმოშობის რამდენიმე ვერსია, ანუ საბოლოო დასკვნის გამოტანა ხშირად სპეციალისტებსაც არ ძალუძთ.

ბუნებრივია, კონკრეტული ტერმინების ეტიმოლოგიის თაობაზე ჩვენს განხილვებშიც ყველაფერი მისაღები არ აღმოჩნდეს.

აქედან გამომდინარე, ეტიმოლოგიების შესწავლა, მართლაც რომ, დელიკატური საკითხია...

მაგრამ, თუ კვლევის პროცესში ამა თუ იმ ჰიპოთეზის სასარგებლოდ საკმარისი რაოდენობის ფაქტები გროვდება *(ამ ფაქტებს „მოზაიკური ელემენტები“ ვუწოდოთ),* მაშინ გარკვეულ მომენტში სურათი ყველა *(ან თითქმის ყველა)* დამკვირვებლისთვის ნათელი ხდება და ასეთ დროს ექსპერტები დარწმუნებით ამბობენ, რომ მათ თვალწინაა არა, ვთქვათ, არქტიკის, არამედ - აფრიკული სავანის პეიზაჟი, ან პირიქით.

(ასეთი რამ, რა თქმა უნდა, არ ეხება პოლიტოლოგების მიერ გეო- და პოლიტიკური ლანდშაფტების ამოცნობას).

ამრიგად, პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად შეესაბამება რეალობას სურათზე გამოსახული თითოეული დეტალი *(ფოთოლი ან ტალღის შხეფი),* ნაკლებად მნიშვნელოვანია.

მთავარია, შევძლოთ სურათის მთლიანობაში დანახვა.

სწორედ ასეთ სიტუაციებში ვლინდება ზემოთ ნახსენები, მათემატიკაში ცნობილი **დიდ რიცხვთა კანონის** ძალა, რომელიც შემთხვევითი პროცესების ანალიზისას ახდენს ფლუქტუაციების ნიველირებას და გამოკვეთს პროცესებისათვის დამახასიათებელ მთავარ ტენდენციებს, რაც ასე მნიშვნელოვანია, საერთოდ, მეცნიერებისათვის და მოცემულ შემთხვევაში ლინგვისტიკის სფეროსათვის:

შედეგად ხდება ღირებული იდეების გამოცალკევება პოეტური აზროვნების თუ ხალხური ეტიმოლოგიისთვის დამახასიათებელი ბრჭყვიალა „მიღწევებისაგან“.

აღნიშნული კანონის ეფექტიანობის საჩვენებლად მოვიყვანდით ასეთ მაგალითს:

ვერც ერთი, თუნდაც ყველაზე გამოცდილი ჰიდროლოგი ვერ შეძლებს ზუსტად იწინასწარმეტყველოს, თუ რა გზას გაივლის უახლოეს პერიოდში ხის ტოტზე ჩამოკიდებულ წვეთში მყოფი ესა თუ ის მოლეკულა, მაგრამ თითოეული მათგანი შესანიშნავად აღწერს წყლის უზარმაზარი მასების ბუნებაში მოგზაურობის მარშრუტებს.

სიტყვების ეტიმოლოგიის დადგენის პროცესი შეიძლება ჩაითვალოს სახეთა ამოცნობის დისციპლინის სპეციალიზებულ მიმართულებად, რომელიც მჭიდრო კავშირშია კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან და

გადაწყვეტილებების მიღების სფეროში ინტერდისციპლინურ მიდგომაზე დაყრდნობის ეფექტიანობის თვალსაჩინო მაგალითია.

ამ ტექნოლოგიის დანიშნულებაა, საგნებისა და პროცესებისთვის დამახასიათებელი თვისებების შესწავლა-გაანალიზების მეშვეობით მოახდინოს მათი კლასიფიცირება-იდენტიფიკაცია ადამიანის საქმიანობის, ფაქტობრივად, ნებისმიერი სფეროსათვის, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციული ნაკადების მოზღვავების დღევანდელ პირობებში.

დღეს კომპიუტერული ტექნოლოგიები უზარმაზარ როლს ასრულებენ ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, თან მათი გამოყენების ასპარეზი მეტად სწრაფი ტემპებით ფართოვდება.

და ცხადია, ლინგვისტიკა გამონაკლისი არ არის, მით უფრო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ადგილი აქვს ენებისადმი ინტერესის ზვავისებურ ზრდას, რასაც ნათლად ადასტურებს, მაგალითად, ვიკილექსიკონებში ინფორმაციის უპრეცედენტო მატება.

უფრო დეტალურად განვიხილოთ ეს თემა:

კაცობრიობის უზარმაზარი სიმდიდრის, ენობრივი მრავალფეროვნების შესწავლისა და შენარჩუნების საქმეში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ძვრებია. კერძოდ, შეიქმნა ვიქსიკონი - საერთაშორისო ლექსიკოგრაფიული ონლაინ-პროექტი, კლონებით მრავალ ენაზე, რომლის პოპულარობა ყოველდღიურად იზრდება.

ჩვენ ვხედავთ მათი შემდგომი განვითარების შესაძლებლობებსაც, რომელთა არსი ასეთია [18, 19]:

ვიქსიკონები გარდაიქმნას იმგვარად, რომ, ამ ძალიან საინტერესო, მაგრამ მაინც სტატიკური სახის სტატიების კრებულთა ნაცვლად მიღებულ იქნეს **ახალი ცოდნის გამომუშავებაზე ორიენტირებული კვლევითი ექსპერტული სისტემა**, რომელიც მოახდენს სიტყვების ეტიმოლოგიის ძიების პროცესის ავტომატიზებას.

შედეგად:

1. მომხმარებლისთვის შესაძლებელი გახდება სისტემასთან დიალოგში შესვლა;
2. ამ პროცესში მოთხოვნების ფორმულირება და მათი კორექტირება მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე;

3. სისტემა შეაფასებს ტერმინებს (ცნებებს) შორის შესაძლო ეტიმოლოგიური კავშირის ხარისხს;
4. ახალი ცოდნის ფორმირებისთვის გამოიყენებს ხელოვნური ინტელექტის მეთოდებსაც;
5. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ექსპერტები მიიღებენ - მათი ნებართვის შემთხვევაში სისტემის ბაზაში დაფიქსირდება ახალი ცოდნის ელემენტები.

ასეთი სისტემა, ასობით ენის უზარმაზარი ლექსიკის ტერმინებს შორის სემანტიკური კავშირების შესახებ დაგროვილი ცოდნის ბაზის გამოყენებით, დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სპეციალისტებს, ასევე, - ყველა დაინტერესებულ პირს. კერძოდ, გამარტივდება არა მხოლოდ ცალკეული სიტყვებისათვის ეტიმონების მოძიების პროცესი, არამედ შესაძლებელი გახდება, შემოწმდეს და რაოდენობრივად შეფასდეს ენათა ფენებს შორის სემანტიკური კავშირების დონე.

მაგალითად, დავუშვათ, სისტემის მომხმარებლის ვარაუდით, შესაძლოა არსებობდეს ეტიმოლოგიური კავშირი **საცხოვრებლისა** და **ცეცხლის** ცნებებს შორის *(ყოველ შემთხვევაში, ამ ტერმინთა წყვილების გარკვეული ნაწილისთვის).*

სისტემა მოკლე დროში შეამოწმებს ჰიპოთეზის რელევანტურობას აღნიშნულ ცნებათა კონკრეტული წყვილების შემცველი სემანტიკური ველის ფორმირების გზით და ამ წყვილების შესწავლის საფუძველზე რაოდენობრივად შეაფასებს ჰიპოთეზის სისწორეს 0-1 დიაპაზონის ფარგლებში.

აი, როგორი შეიძლება იყოს ასეთი ველის ფრაგმენტი *(მოცემულ შემთხვევისათვის ხელით, ავტომატიზების გარეშე შექმნილი):*

- კერა (საცხოვრებელი) - კერია (ადგილი ცეცხლის დანთება-შენარჩუნებისთვის);
- კომლი (ოჯახი სოფელში) - კვამლი;
- дом – дым;
- племя – пламя;
- чадо, чадь (дети, люди, народ, дружина) – чадить (სლავ. ენებში чад ნიშნავს угар-ს).

- ამავე ორი მნიშვნელობის მატარებელია რუსულში ენაში ტერმინი очаг. ის თურქულიდან ნასეხებად მიაჩნიათ, ისევე, როგორც ქართული *ოჯახი.* ჩვენი ვარაუდით კი, ეს სიტყვები შორეული წარსულში არსებული ***ჩაღ*** ეტიმონიდან იღებენ სათავეს *(შდრ. გა-ჩაღ-ება, ჩახჩახი, ჯოხი).*

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

- სისტემას დავუკვეთოთ ერთმანეთთან სემანტიკურად დაკავშირებული ტერმინების კლასტერის შექმნა იმ ტიპის მეტონიმიების გამოყენებით, რომელთა რელევანტურობა უკვე დადგენილია და ცოდნის ბაზაში შენახულია შემდეგი წყვილების სახით:

  წყალი → მიწა;
  წყალი → თევზი;
  წყალი → დადებითი ემოციები;
  წყალი → ხმაური,
  წყალი → სარკე.

  მოველით, რომ სისტემა მოგვაწვდის ასეთ შედეგებს *(და არამარტო მათ):*

  *SUM → земля, шум, сом, смех, smile (ინგლ. ღიმილი), სმა, სმენა, შუმი (ღვინო), сам, ლათ. similis←*smei (მსგავსი)← წინაინდოევრ *sem (ერთი, მსგავსი), ლათ. semol (ერთად), ზმანება, ინგლ. seem (როგორც ჩანს) ← წინაინდოევრ. *sem (ერთი, მთელი),...

- Berg (გერმ. მთა), Burg (გერმ. ციხე), Brucke (გერმ. ხიდი), ბრეგი, ბრეკი (ქართულ დასავლურ დიალექტებში ამაღლებული ადგილი, კონცხი), ბრგე (მაღალი და ძლიერი ადამიანი), სლავ. берег.

ასე რომ, ამ სახის კომპიუტერულ სისტემას შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს ექსპერტებს სიტყვებს, ცნებებს შორის ეტიმოლოგიური კავშირების მოძიებაში, მაგრამ, ამ სპეციფიკური, „უტილიტარულის“ გარდა, მისი დახმარებით მიღწეული იქნება

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზანი...

რეზიუმე

1. ნაშრომში განიხილება ენის (ენების) წარმოშობის თაობაზე ახალი შეხედულება, წარმოდგენილი სამსაფეხურიანი სქემის სახით.

   მასში წამყვანი როლი დაკისრებული აქვს *წყლის თეორიას,* რომლის არსი ასე განისაზღვრება - ადამიანის მეტყველების წყაროს, „ყოველივეს საწყისს“ წარმოადგენს **წყლის ცნება**.
2. ენების წარმოშობის ახალი თეორია არ ეწინააღმდეგება დღემდე არსებულ სამეცნიერო თეორიებს და არათუ არ ეწინააღმდეგება, სულ მცირე, აერთიანებს მათ ნაწილს მაინც.
3. ყველა სამეცნიერო თეორია სწორია, მაგრამ თითოეულმა მათგანმა ენათა მხოლოდ გარკვეული პლასტები შექმნა.
4. წყლის თეორია სრულ თანხმობაშია ბევრი უძველესი ხალხის მითოლოგიურ შეხედულებებთან, ამასთან, ერთმანეთისგან შორს, დროსა და სივრცეში „მიმოფანტულებთან“; და, რაც განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია, - ბიბლიურ შეხედულებებთან.
5. თავის დროზე ქართველი ენათმეცნიერი ნიკო მარი ძალიან ახლოს იყო წყლის თეორიის (ხელახლა) აღმოჩენასთან.

   ასე რომ, მართლაც, ახალი არის კარგად დავიწყებული ძველი! (განსახილველი თემისთვის - თითქმის კარგად დავიწყებული ძველი).
6. წყლის თეორია უპირატესობას არ ანიჭებს არც ერთ ენას, ის ადამიანებს მხოლოდ დღეს არსებულ ენათა უზარმაზარი გორგლის საწყისზე მიუთითებს.
7. ნებისმიერი თეორია მაშინ ფასობს, თუ ის პრაქტიკულ შედეგებს იძლევა.

   შემოთავაზებულმა სიახლემ სიცოცხლისუნარიანობაზე გამოცდა ჩააბარა ლინგვისტების მიერ აქამდე „უიმედოდ“ მიჩნეული სიტყვებისთვის ეტიმონების მოძიების გზით.

   ამრიგად, ის სამეცნიერო თეორიად იქცა.
8. წყლის თეორიას მოჰყვა ენის (ენათა) განვითარების შემდგომი ორი ეტაპი:

   ერთი მათგანი დაკავშირებულია ცეცხლის „მოშინაურების“ ხანასთან, მომდევნო კი - ეპოქასთან, როდესაც ადამიანი ფუძნდება ადგილზე, ხელს ჰკიდებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და იწყებს

სტაციონარული საცხოვრებელი ნაგებობების, სოფლების და ქალაქების მშენებლობას.

9. ცხოვრების ახალი წესი მოითხოვს ამინდის პროგნოზირებისათვის მნათობების ტრაექტორიებზე დაკვირვებას და მოპოვებული ინფორმაციის ფიქსირებას; ყალიბდება და ვითარდება შესაბამისი საშუალებები, მითოლოგიური და რელიგიური იდეები...

   ყოველივე ეს განაპირობებს მეტყველებაში სრულიად ახალი ფენების შექმნას.

10. დღეს, სიტყვათა ეტიმოლოგიის დადგენის ავტომატიზების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია, შეიქმნას *სპეციალიზებული კომპიუტერული სისტემა,* რომელიც მომხმარებელს დაეხმარება ამ მიმართულებით მოქმედებების შესრულებაში.

   ნაშრომში ზოგადი სახით წარმოდგენილია ასეთი კომპიუტერული სისტემის კონცეფცია.

ვუბრუნდებით ზემოთ შეწყვეტილ აზრს:

სპეციფიკური, უტილიტარული დანიშნულების ამოცანების გადაწყვეტის გარდა, ვთვლით, რომ ეს სისტემა თავის თავზე აიღებს კიდევ ერთი, ამასთან, უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულებას - ბერ იოანე-ზოსიმეს სიტყვით, ყოველსა ენასა (ერს) მიანიშნებს მათს საერთო წარმომავლობაზე და... მისცემს შესაძლებლობას, განახორციელონ

საერთო კეთილი საქმენი.

აი, ერთი მათგანი:

- წინადადება შემოგვაქვს, მთაწმიდაზე აღიმართოს ძეგლი ხევსურეთის სოფელ *ანატორის* მცხოვრებელთა ხსოვნისადმი პატივის მისაგებად.

ანატორელები, მათს თავსდატეხილი სასიკვდილო ინფექცია ქვეყანაში მთელს ქვეყანას რომ არ მოსდებოდა, ყველანი, დიდიან-პატარიანად სოფელში ჩაიკეტნენ:

ქალნი პაწია ბავშვებით, მამაკაცები, ახალგაზრდები, მოხუცები და ...

გვსურს, ამ ძეგლმა შეახსენოს ყველას, რომ *ადამიანი ადამიანის მეგობარია* და ლიტონი არ გახლავთ ქართული სიტყვა

გენაცვალე!

თეოლოგებმა გამოთქვეს აზრი:

აბელისა და კაენის, იაკობის და ესაიას, იოსების და მისი უფროსი ძმების შესახებ ბიბლიური ისტორიები მოგვითხრობს იმ გზაზე, რომელიც სამოთხიდან განდევნილმა ადამისა და ევას შთამომავლებმა გაიარეს - ჩვენს წინაშე იშლება სურათი, თუ როგორ ინაცვლებდნენ ადამიანები სულიერი განვითარების ერთი საფეხურიდან მომდევნო, უფრო მაღალ საფეხურზე!

დღეს ნათლად ჩანს, რომ კაცობრიობას ნამდვილად სჭირდება წინსვლა ამ გზით და ვისურვებდით, ქვეყნები, ერები ერთმანეთს მხოლოდ ერთ რამეში შეეჯიბრონ:

ვინ უფრო მეტ სიკეთეს გააკეთებს დედამიწისათვის!

გადაფრენებისას, დიდ დროს რომ მოითხოვს, წინა პოზიციაზე მყოფ ფრინველთა გუნდის წევრებზე დიდი დატვირთვა მოდის და ფრთოსნები მორიგეობით ერთმანეთს ენაცვლებიან,...

დაე, ერებმაც დაისახონ საერთო მიზანი და მის მისაღწევად ამ ფრინველებისგან აიღონ მაგალითი!

P.S. ოთხი მხრიდან დაფებით მჭიდროდ შემოღობილ ვოლიერში მყოფმა სპილომ როგორღაც მოახერხა და ხორთუმის დაბოლოება ნახვრეტში გაყო. თუ ერთი ადამიანისთვის ნაგებობის „შემცველობის“ გამოსაცნობად შესაძლოა, საკმარისი აღმოჩნდეს ამ სურათისთვის წამით თვალის შევლება, გამორიცხული არაა, მეორისაგან *(მით უფრო, თუ ის „სპილოლოგია“),* ვოლიერშიც რომ შეიყვანოთ, მოისმინოთ:

„აბა, სად ხედავთ აქ სპილოს, გინახავთ სადმე ეს ცხოველი იმ თითის (აფრიკულს ორიც აქვს) გარეშე?“

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, თქვენზეა დამოკიდებული, როგორ განსჯით, რა გამოვიდა წინამდებარე ნაშრომიდან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ანუ შეფასების „ქულათა“ ოდენობის მიუხედავად, დიდ მადლობას გიხდით ყურადღებისთვის!

26/05/2020 – 26-09-2025

ლიტერატურა

1. გ. ღვინეფაძე. აკად. ივერი ფრანგიშვილის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია "მეცნიერება და რელიგია". მოხსენებათა კრებული. „ენების წარმოშობის ახალი, წყლის თეორია მითოლოგიური, ბიბლიური და მეცნიერული შეხედულებების ჭრილში". თბილისი. სტუ-ს გამომცემლობა. 2015. გვ. 313-322.
2. გ. ღვინეფაძე. „მტკვრის სახელდების საკითხი და ინტერაქტიული სისტემის კონცეფცია ეტიმოლოგიური კვლევებისათვის". თბილისი. სტუ-ს გამომცემლობა, „შრომები", 2018, №1 (507), გვ. 18-31. ISSN 1512-0996.
3. https://gtu.ge/ims/pdf/G_Gvinepadze_shemoqmedebiTi_azrpvneba.pdf
4. გ. ღვინეფაძე. "ზოგიერთი მოსაზრება წარმართული პანთეონის და დამწერლობის წარმოშობის სათავეების შესახებ". ISBN 0235-8417, ჟურნალი "პარალელი", #2, 011. გვ. 188-194.
5. https://ka.wikipedia.org/wiki/ამირანი_(მითოლოგია)
6. https://kartaslov.ru/значение-слова/маздеизм
7. https://en.wiktionary.org/wiki/ Γεώργιος
8. https://kvirispalitra.ge/article/38718-cis-mzomeli-mzis-budeebi
9. ა. გიორგობიანი. „ედენა. რა საიდუმლოებას ინახავს რაჭის მთები". თბილისი 2016.
10. https://iberiana2.wordpress.com/georgia/giorgobiani/
11. https://aif.ru/dontknows/file/otkuda_proizoshlo_i_chto_oznachaet_slovo_moskva
12. https://ru.wiktionary.org/wiki/Москва
13. https://shromebi.gtu.ge/admin/uploads/07-ghvinephadze-1.pdf
14. გ. ღვინეფაძე. „ინტერდისციპლინური მიდგომის დახმარებით ზოგიერთი რთული ლინგვისტიკური ამოცანის გადაწყვეტა". თბილისი. სტუ-ს გამომცემლობა, „შრომები", 2020, №1 (515), გვ. 59-79. ISSN 1512-0996.
15. გ. ღვინეფაძე, "ქაშუეთის ტაძრის ეტიმოლოგიისათვის", სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები" , 2021, № 14- 15, გვ. 133-138, ISSN 2233-3266.
16. გ. ღვინეფაძე, „ლინგვისტიკური პრობლემების გადაწყვეტა კრეატიული აზროვნების მეთოდებით (ქაშუეთის ტაძრის ეტიმოლოგიის და მისი არქეტიპის დანიშნულების კვლევათა მაგალითზე)". სამეცნიერო-

პრაქტიკული კონფერენცია „ქართული ტოლერანტობა - გუშინ და დღეს“. სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 2025. ივნისი.

17. G. Gvinepadze. Version of the origin of the term Anglia. Tbilisi. Publishing House „Technical University“, „WORKS“, 2022, №4 (526), pp. 55-61. ISSN 1512-0996.
18. გ. ღვინეფაძე. კომპიუტერული სისტემა ეტიმოლოგიური ძიებების პროცესის ავტომატიზაციისათვის. სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი “სვეტიცხოველი”, #2, 2011. გვ. 35-39. ISSN 1987-6874.
19. გ. ღვინეფაძე. კონცეფცია ეტიმოლოგიური ძიებების კომპიუტერული სისტემისათვის. მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის დაარსების მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია. 2011. გვ. 244-247. ISSN 1512-3979.

დანართი

სურ. 1 წარმართული ღვთაების ქანდაკება

სურ. 2. საქართველო - სოფელი სნო



სურ. 3. შოტლანდია - უძველესი კალენდარული კომპლექსის ნანგრევები

სურ. 4. მაჩუ-პიქჩუ

სურ. 5. დისკო ნებრადან